

**ლია ქობალაშვილი
ზაირა ფარულია**

**ჩვენი
გეგმვების
სენაკი**

2018



„ვაჰ, დრონი, დრონი ნაგემნი მტკბარად, წარილტვენ, გაქრენ სიზმებრივ ჩქარად!...“—ეს ცნობილი სიტყვები პოეტს მისმა თანამედროვე ეპოქამ ათქმევინა და ვაი, რომ დღესაც არა თუ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, არამედ დუხჭირი ყოველდღიურობით გადაღლილებს გულის საოხად ხშირად გვახსენდება ხოლმე... ამ წუთებშიც, როცა წინამდებარე წიგნისთვის წინათქმავზე ვფიქრობ, კიდევ ერთხელ ვაღიარებ, რომ არც ისე შორეულ წარსულში ადამიანებს ხალისიანი, შინაარსიანი, რაც მთავარია, პერსპექტიული ცხოვრების სტიმულს თვით დრო აძლევდა. დრო, რომელიც ყველაფერ ამას თავისთავში მოიცავდა.

დღეს, როცა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უცხოეთშია გადახვეწილი საკუთარი თავის თუ ოჯახის გადასარჩენად და ვაიმამული შვილების მიერ ასევე უცხოელებზე საუკუნოვანი ხელშეკრულებებით გაყიდულ-გასხვისებული და შაგრენის ტყავივით შეკუმშული ტერიტორიები ლამის ყვაფ-ყორანთა საძიძენი გახდეს, მართლაც დიდი კეთილშობილური ქესტია ახლო წარსულის წინაპრებს (რომელნიც რუდუნებით, რწმენით, სიყვარულით და შორსმხედველი გეგმით აშენებდნენ თავიანთ ქალაქს) არდავიწყების სანდო ხელი გაუწოდო და მათი სახელები სიყვარულით დაწერილი წიგნის ფურცლებით შემოუნახო თაობებს.

დიახ, ეს საშვილიშვილო საქმე იკისრა ორმა სენაკელმა მანდილოსანმა—**ლია ქობალაგამ და ზაირა ფაჩულიამ**, რომელთა მშობლებიც გახლდნენ აქტიური მონაწილე იმ აღმშენებლობითი პროცესისა, რომლის დაწყებიდან დღემდე თითქმის სრული საუკუნეა. ეს წიგნიც სწორედ ამ საუკუნოვანი აღმშენებლობის ისტორიას ეძღვნება—როცა სენაკი ქალაქად ყალიბდებოდა, შენდებოდა საცხოვრებელი სახლები თუ წარმოება-დაწესებულებები, როცა განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადამიანს, როცა ყველაფერი კეთდებოდა მისი დასაქმებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. რაც მთავარია, თვით ავტორებსაც უდევთ თავიანთი გარკვეული წილი მშობლიური ქალაქის ფიზიკური თუ სულიერი აღმშენებლობის კეთილშობილურ საქმეში!

მათ დიდი შრომა გასწიეს წიგნისთვის საჭირო მასალების მოსაძიებლად. წიგნს ჩანაფიქრშივე უწოდეს სათაურად „**ჩვენი მშობლების სენაკი**“. წიგნი არამარტო მშობელთა თაობისადმი პატივისცემის, მონატრებისა და არდავიწყების სურვილითაა გაქმენილი, არამედ იგი გულწრფელი ღალადია იმ საოცარი პატივისცემისა, რწმენისა, სიყვარულისა, რომლითაც წარსულისკენ იყურებიან აღნიშნული ავტორები და რომლითაც აწმყოსა თუ მომავალსაც შესძახებენ: **ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა!**

რედაქტორი ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია

სენაკი

147 წლის წინათ, 1871 წლის 14 აგვისტოს, სენაკის სადგურში პირველი მატარებელი ჩამოდგა, რამაც განაპირობა სენაკის ქალაქად ჩამოყალიბება. ქალაქისებური ტიპის დასახლება აქ 1870 წლიდან ჩნდება. პირველმა რკინიგზამ და რკინიგზის სადგურმა, რომელმაც მკერძო საფუძველი ჩაუყარა ამ ადგილზე ახალი დასახლების სწრაფ განვითარებას, პირველობა მალე წაართვა სამეგრელოში ცნობილ სავაჭრო და კულტურულ ცენტრს, ძველ სენაკს და მისგან განსხვავებით ახალი სენაკის სახელით შევიდა ქვეყნის მატრიონში. ხელსაყრელმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ და სატრანზიტო გზებმა მალე გაუთქვეს მას სახელი, რის გამოც 1930 წლამდე საბაზრო ცენტრად და ქალაქად იწოდებოდა, ხოლო 1989 წლამდე-ცხაკაიას რაიონად და ქალაქ ცხაკაიად. შემდეგ კვლავ პირვანდელი სახელი დაუბრუნდა ქალაქს.

სენაკი ღირსეული ისტორიული და კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქია. აქ ჩაყარა საფუძველი პირველი ქართული სპექტაკლების დადგმას, რომელსაც მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან დგამდნენ აქაური სცენის მოყვარულნი. აქ ფუნქციონირებდა სამეგრელოში პირველი კლუბი და საჯარო წიგნთსაცავი-ბიბლიოთეკა. აქ, ძმები თავართქილაძეების სტამბაში, დაიბეჭდა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ და სახალხო ბიბლიოთეკის სახელით ცნობილი 90-მდე სხვა წიგნი, რომელთა ნაწილი დღეს ინგლისში, ინგლისურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის ოლივერ და მარჯორი უორდროპების პირადი ბიბლიოთეკაშია დაცული. აქ ფუნქციონირებდა წიგნის პირველი მაღაზიაც. აქ აღიზარდნენ სცენისა და მეცნიერების, მწერლობის ქართველი კორიფეები: **შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, აკაკი ხორავა, კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, თეოფანე დავითაია, პეტრე ქავთარაძე.** ასობით მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი, სხვა სფეროს ცნობილი მოღვაწენი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სენაკის აღორძინებისა და აღმშენებლობის საქმეში.

2017 წლის მდგომარეობით სენაკის მოსახლეობა შეადგენს 51 800 ადამიანს.

... და მე შეამაყება, რომ ჩემი მშობლიური სენაკის აღმშენებლობის საშვილიშვილო საქმეში მამაჩემის, დომენტი ქობალავას, დიდი წვლილია.

მოზონება მამაზე



„ცეკავშირის“ შენობა ჩემი ტოლია




შენობა, რუსთაველისა და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე რომ არის და დღემდე ალამაზებს ჩვენს ქალაქს, განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის, რადგან იგი უშუალო კავშირშია ჩემს ბავშვობასთან. „ცეკავშირის გამგეობა“—ასეთი სახელწოდებით მახსოვს მამას სამსახური, რადგან ასე მესმოდა ყოველდღე. დღეს იმ შენობას სენაკელები ფოსტის შენობას ეძახიან. მეორე სართულზე განთავსებულია კავშირგაბმულობა, სილქნეტი. 2017 წელს აღნიშნული შენობის პირველ სართულზე განთავსდა ბანკი „ფინკა.“ ასევე პირველ სართულზე ფუნქციონირებს ლომბარდი, შხამქიმიკატების მაღაზია, ტელეატელიე, საპატრიარქოს მაღაზია, ტაქსის გამოძახების პუნქტი, შენობის მარჯვენა მხარეს—ყვავილების მაღაზია და კაფე. ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, ამ შენობაში საკმაოდ ბევრი სენაკელია დასაქმებული. იქვეა ქალაქის შიდა სამარშრუტო გაჩერება. სწორედ იმ გაჩერებაზე ვჯდები მენჯში მიმავალ ტრანსპორტზე და მივდი-

ვარ ჩემს მშობლებთან...

ამ მოგონებებს 2017 წლის ცხელი აგვისტოს დღეებში ვწერ. არ ვიცი რამდენი სენაკელი წაიკითხავს მას, მაგრამ ძალიან მინდა ყველა სენაკელმა (განსაკუთრებით მან, ვინც იქ მუშაობდა და ვინც დღეს მუშაობს) იცოდეს ყოფილი ცეკავშირის (მოგვიანებით, ფოსტის შენობად წოდებული ნაგებობის) მოკლე ისტორია.

მამა (დომენტი ქობალავა) მუდამ მენატრებოდა, რადგან სამუშაოზე გათენებამდე მიდიოდა და ღამით ისე გვიან ბრუნდებოდა, რომ სახლში ყველას გვეძინა. მამისადმი უდიდესმა სიყვარულმა და მუდმივმა მონატრებამ პატარა გოგონას გამოსავალი მაპოვნინ-



დომენტი ქობალავა
ახალგაზრდობაში მშობლებთან
და ახლობლებთან ერთად. სოფ.
ზანათი

ნა—გაკვეთილების შემდეგ პირდაპირ წავსულიყავი მამას სამსახურში და დამეკმაყოფილებინა მონატრებული მშობლის ნახვისა და მოფერების წყურვილი. სწორედ იმ პერიოდში შენდებოდა აღნიშნული შენობა. მამას კაბინეტი მეორე სართულზე კუთხის ოთახში იყო. ფანჯრები ორივე ქუჩას გადაჰყურებდა. ბაზრის წინა ტერიტორია მუდამ ხალხმრავალი იყო. ჩემს სახლამდი არც ისე დიდი მანძილი იყო, ამიტომ რამდენიც მინდოდა იმდენ დროს ვატარებდი მამასთან და მის თანამშრომლებთან.

ყველასგან ძალიან დიდი ყურადღება და სითბო მახსენდება. ისინიც მიჩვეულნი იყვნენ ჩემს ყოველდღიურ ვიზიტს. არასოდეს ვტრიახობდი სკოლაში მიღებული მაღალი ნიშნებით. სწავლა ჩემი სამყარო, ჩემი სტიქია იყო. არც მამა მამბეზრებდა თავს შეკითხვებით, რადგან ჩემი სჯეროდა და იმედი ქონდა.

მახსოვს მამა ძალიან თავაზიანი, მაგრამ ამავე დროს მომთხოვნიც იყო თანამშრომლების მიმართ. მხოლოდ ერთხელ შევეუსწარი ხმამაღალ საუბარს და მაშინაც ჩემი დანახვისას ხმის ტონი სწრაფად შეიცვალა, საუბარიც მალევე დასრულდა.

მშენებლობის გარემო თავისი მრავალფეროვნებითაც მხიბლავდა: შენობას უკან ქონდა მიშენებული პატარა ოთახები, სადაც მუშა-მოსამსახურეები იყრიდნენ თავს. ისინი საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან და მეზობელი რესპუბლიკებიდანაც იყვნენ ჩამოსულნი სამუშაოდ. ძირითადად იყვნენ აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან... დიდხანს ვჩერდებოდი მათთან—მაინტერესედა მათი ყოფა და საუბარი. თითქმის ყველა ენაზე შემეძლო მათთან ურთიერთობა. მათაც უხაროდათ და სიამოვნებით მასწავლიდნენ ახალ სიტყვებს.

მამა შაბათ-კვირასაც მუშაობდა. შვებულებაში არასოდეს არ გასულა. მუშა-მოსამსახურეებს მათს მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა—რუსულთან ერთად სალაპარაკოდ იცოდა ყველა კავკასიური ენა.

მამას ემსახურებოდა მსუბუქი ავტომანქანა. რაც იმ დროს

ძალიან დიდი იშვიათობა იყო. ჩვენი ეზოს კარებთან პირველად რომ დავინახე მწვანე ფერის „მოსკვიჩი“, მახსოვს, მოულოდნელობისგან გაოცებული პირდაპირ გადავეშვი მეორე სართულიდან (საბედნიეროდ, ქვიშაზე დავეცი, ჩემი სახლი შენდებოდა და კიბე ჯერ არ იყო დასრულებული).

მიუხედავად დროის სიმცირისა და დატვირთვისა, მამა სულ კითხულობდა. მარტო ჟურნალ-გაზეთებზე არ არის საუბარი. სახლში გვქონდა ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა: მსოფლიო კლასიკა რუსულ და ქართულ ენებზე. ადრეულ ასაკში, როგორც კი კითხვა ვისწავლე, დაუკითხავად ვკითხულობდი ყველაფერს. დღეს განსაკუთრებით სასაცილოდ მიმაჩნია მოპასუნისა და დრაიზერის წიგნების კითხვა იმ ასაკში.

განსაკუთრებით მიყვარდა კვირა დღე, რადგან ამ დღეს შედარებით უფრო მეტი ხანი შემეძლო მამასთან გამეტარებინა. ერთად მივდიოდით ბაზარში. მეგრულად საუბრობდა, არ ევაჭრებოდა არავის. ჩემთვის ეს დღე ზეიმი იყო არა იმისთვის, რომ მამა აუცილებლად მიყიდიდა რამეს, არამედ იმიტომ რომ შემეძლო უფრო მეტ ხანს ვყოფილიყავი მის გვერდით. რასაც შეიძენდა ყველაფერი განსაკუთრებით გემრიელი იყო. უპირატესობას ანიჭებდა ზანათიდან ჩამოტანილ პროდუქტებს—მამა ხომ ზანათიდან, აბაშის რაიონიდან იყო წარმოშობით.

დღევანდელი სენაკის ბაზარი დიდად არ განსხვავდება გასული საუკუნის 50-იან წლებში არსებული ბაზრისგან, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე პატარა ნაგებობას. დიდ დარბაზში ძირითადი ადგილი ყველის გამყიდველებს ქონდათ დაკავებული. მეგრული ყველი ყოველთვის იყო გამორჩეული. დღესაც ასეა.

ბაზრის ჯიხურებში ძირითადად ებრაელები მუშაობდნენ. მათ ყოველთვის განსაკუთრებული საქონელი ჰქონდათ.

როგორც დღეს, მაშინაც ბაზრობისთვის პარასკევი და კვირა დღეები იყო.

არასოდეს არ მიცხოვრია ფუფუნებაში. უფროსი ძმა

სტუდენტ იყო და მეტ ყურადღებას ითხოვდა. მუშაობა დავიწყე 17 წლის ასაკში ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ. პირველი ჩანაწერი ჩემს შრომის წიგნაკში ასეთია: **ცხაკაიას №1 საშუალო სკოლასთან არსებული მუსიკალური სტუდია**. დირექტორი გახლდათ **ნოე კაკაშიელი**, სასწავლო ნაწილის გამგე **ლუბა ტყეზუნავა**.

ზედმეტი არასოდეს არაფერი შეუძენიათ ჩემს მშობლებს. ოჯახში ძროხაც გყავდა და ფრინველებიც. მამა თვლიდა, რომ ქალის ადგილი ოჯახში იყო, დედა—**ინჟინერ-მშენებელი ლუბა რამიშვილი** ძირითადად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა—ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას.

მამა სულ ახალგაზრდა წავიდა თბილისში სასწავლებლად. 25 წლისა კი სამუშაოდ მოაველინეს სენაკში, სადაც მან შემდგომ მთელი სიცოცხლე გაატარა.

მე ვიტყვოდი ასე: **მამამ მთელი თავისი სიცოცხლე სენაკის აღმშენებლობას მიუძღვნა!**



ნებისმიერ ამინდში, განუსაზღვრელი სამუშაო გრაფიკით შენდებოდა, ღამაზდებოდა ჩვენი სენაკი. იმ პერიოდში არ იყო კონდიციონერი და გაუსაძლის სიცხეში თუ მკ-

აცრი ზამთრის სიცივეში შეუწყვეტლივ შენდებოდა ჩვენი ქალაქი. მამა ზაფხულობით ოჯახს ბახმაროში გააცილებდა, დაგვაბინავებდა და თვითონ მშენებლობას უბრუნდებოდა.

100 წლამდე ვიცხოვრებ!—ასე ხშირად იტყოდა ხოლმე მამა. ბუნებით სიტყვის კაცმა მხოლოდ ეს პირობა ვერ აღასრულა—ვერ იცოცხლა 100 წელი. 79 წლისა იყო, როცა მძიმე ავადმყოფობამ აიძულა შეეწყვიტა თავისი საყვარელი საქმიანობა, 84 წლისა კი აღესრულა (დაიბადა 1900 წლის

28 გიორგობისთვის აბაშის რაიონის სოფელ ზანათში) ბოლო ხუთი წელი სიცოცხლე არ იყო—ეს იყო ხელჩართული ბრძოლა სიკვდილთან!

მე დღის სინათლეზე მამა სახლში არც მახსოვს მანამ, სანამ ავადმყოფობამ საწოლს არ მიაჯახვა და ეს სულაც არაა გადაჭარბებული ნათქვამი. ან სადღა ექნებოდა ოჯახში სანებივრო დრო იმ კაცს, რომელიც დღედაღამ სამშენებლო პოლიგონზე იყო.

ავადმყოფობის ორი წლის შემდეგ ფეხზე დავაყენე: თავიდან ვასწავლეთ სიარული. ვუყვებოდი სხვადასხვა შემთხვევებს თუ როგორ დასძლიეს დაავადება ძლიერმა ადამიანებმა. ერთ დღეს მამა გამოვპრანჭე და სალონში გავყევი—ფეხით წავედით. ქუჩაში შემხვედრი ნაცნობები გაოცებას ვერ მაღავედნენ. სალონის შემდეგ სამსახურამდე მივაცილე —(ბოლო სამუშაო ადგილი №7 ტრესტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდიკო ხუბულავა). მამა სიხარულით მიიღეს. დიდხანს არ გაგრძელებულა ეს სიხარული — მამა კვლავ საწოლს მიაბრუნა დაუნდობელმა სენმა.

მინდა გავიხსენო ადამიანები, რომლებიც მამასთან ერთად მუშაობდნენ: **ნუნუ ადამია, ბოჩია სირია, მაკარ პირტახია, შალიკო ინალიშვილი, ალიოშა კუპრეიშვილი** და მრავალი სხვა, ვისაც არ ვიცნობდი.

დღეს, როცა ამ შენობას ვუახლოვდები, თითქოს ვგრძნობ საშენი მასალების სპეციფიკურ სუნს, ვხედავ საქმიან მამას და თავი მოსწავლე მგონია.

იმ პერიოდში (50-იან წლებში) აშენდა საცხოვრებელი სახლები ბაქოსა და გეგეჭკორის (დღეს უიული შარტავას) ქუჩებზე, ჩაის ფაბრიკა, ხალიჩების კომბინატი... —ეს არასრული სია გახლავთ, რომლის სრულყოფაც მივანდე **ქალბატონ ზაირა ფაჩულიას**.

ვინ იფიქრებდა, რომ 30 წლის შემდეგ პირადად მე ვიკისრებდი და ბოლომდე მივიყვანდი წერეთლის ქუჩაზე მდებარე სენაკის სამუსიკო სკოლის მშენებლობა-რეკონსტრუქციას. ყოფილი სასტუმროს ორსართულიანი შენობა არ აკმაყოფილებდა სამუსიკო სკოლის გაზრდილ მოთხოვნებს —ოთახ-

ების უკმარისობის გამო პედაგოგები გაკვეთილებს ბინებში ატარებდნენ, სკოლას არ გააჩნდა საკონცერტო დარბაზი და აი, 1983 წელს დაიწყო სკოლის მშენებლობა, რომელიც 1984 წლის 8 ნოემბერს დასრულდა. ეს ფაქტი ზეიმით აღინიშნა. ძალიან მინდოდა მამა მოსწრებოდა ამ დღეს–28 ნოემბერს მამას 84 წელი შეუსრულდებოდა. არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ გავიხსენო ის ადამიანები, ვინც ამ საქმეში უდიდესი დახმარება გაგვიწია. ბატონები: რაიკომის პირველი მდივანი **ვახტანგ ესვანჯია**, კულტურის განყოფილების გამგე **აკაკი განგია**, მშენებლები: **დიდიკო სუბულავა** და სამუშაოთა მწარმოებელი **თენგიზ კვირიაა**. მოგვიანებით, სხვადასხვა პრობლემის დროს, დახმარების ხელი არაერთელ გამოგვიწოდა ბატონმა **დემურ გაღელიამ**, რომელიც ცნობილია თავისი ქველმოქმედებით.

აღბათ უინტერესო არ იქნება მკითხველისთვის დღევანდელი გამგეობის შენობის ისტორიაც, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სამუსიკო სკოლის მშენებლობას: ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე აშენდა ჩვენს ქალაქში პირველი სამსართულიანი კაპიტალური ადმინისტრაციული შენობა – რაიკომი. მთავარი შესასვლელი ჭავჭავაძის ქუჩიდან იყო. მოგვიანებით ამ შენობას დამატებით მიაშენეს ორსართულიანი ნაგებობა, რაიკომის შიდა მხარეს იყო დიდი ეზო ავტოსადგომით. მანაქანები თაღის გავლით შედიოდნენ ეზოში. როდესაც სამუსიკო სკოლის პროექტი მზადდებოდა, რაიკომის პირველმა მდივანმა მკითხა საკმარისი იქნებოდა თუ არა მხოლოდ მესამე სართულის დაშენება. მე მივხვდი რაც ჩაიფიქრა ბატონმა ვახტანგ ესვანჯიამ. მეც იგივე ჩანაფიქრი მქონდა და ასე გაერთიანდა რაიკომის და სამუსიკო სკოლის შენობები, რომლითაც სამუსიკო სკოლის შენობა ახალი სასტუმროს და რაიკომის ძველ შენობებს გაუტოლდა.

გადიოდა დრო. იცვლებოდნენ მთავრობები. ამასთან ერთად იცვლებოდა რაიონის ხელმძღვანელობაც.

შენობის მესამე სართულზე განთავსებული იყო პარტიის რაიონული კომიტეტი შესაბამისი სამსახურებით, ბიბ-

ლიოთეკა. კომკავშირის რაიკომს რამდენიმე ოთახი ქონდა დაკავებული. იმავე მესამე სართულზე იყო სხდომათა დარბაზიც. მეორე სართულზე ფუნქციონირებდა აღმასრულებელი კომიტეტი, საფინანსო განყოფილება, სოფლის მეურნეობის სამმართველო, განათლების განყოფილება, არქიტექტურის სამსახური, განათლების პროფესიული კავშირი, რაიონული გაზეთის რედაქცია. პირველ სართულზე იყო საბავშვო ბიბლიოთეკა, დეპუტატის ოთახი, სტამბა, სასადილო, სამორიგეო... წლების განმავლობაში უამრავი სენაკელი ეწეოდა ამ შენობაში საქმიანობას. კარგი პროექტი, მაღალი ჭერი, დიდი და ნათელი ოთახები... შეიძლება ითქვას, მთელი რაიონის გული ამ შენობაში მუშაობდა. ადამიანებმა იცოდნენ ერთმანეთის ფასი, ურთიერთპატივისცემა.

სამწუხაროდ, დასასრული ყველაფერს (კარგსაც და ცუდსაც) აქვს. ჩვენი ქალაქის ცხოვრების უმძიმეს პერიოდში დაიწვა ეს სამსართულიანი შენობა.



ყოფილი რაიკომის შენობა.
XX საუკუნის 70-იანი წლები.

ხანძარი დღისით ერთდროულად გაჩნდა სახურავზე რამდენიმე ადგილას. ეს იყო აღდგომის დღეს. სასწრაფოდ გავეშურე შემთხვევის ადგილზე. ჩვენი, სამუსიკო სკოლის შენობაც საშიშ სიტუაციაში აღმოჩნდა. მივიღეთ განკარგულება დაგვეცალა სკოლა ინვენტარის გადარჩენის მიზნით. საბედნიეროდ, ჩვენი შენობა გადარჩა. ინვენტარი კი დაზიანდა. უნდა აღინიშნოს, რომ დღესაც იმ ინვენტარით მუშაობს სკოლა. სახანძრო რაზმი გვეხმარებოდა შენობის დაცლაში. როიალები და პიანინოები უმოწყალოდ მიგორავდნენ კიბეებზე. იმ კიბეებსაც აქამდე ამჩნევია ინსტრუმენტების დაჯახებათა კვალი. იყო ერთ-ერთი როიალის გატაცების მც-

დელობაც, მაგრამ მისი აღკვეთა მოვახერხე (ეს ეპიზოდი დაწვრილებით მაქვს აღწერილი ჩემს ნაშრომში: „მუსიკა – არსი,” წიგნი პირველი. 2002 წ.).

დაიწვა რაიკომის შენობა – ჩვენს ქალაქში პირველი სამსართულიანი კაპიტალური ნაგებობა... მის აშენებას მამამ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები შეაღია, დღე და ღამე შრომაში ქონდა გასწორებული. იმ დროს სენაკში მუშახელი ნაკლებად მოიძებნებოდა. ხელოსნები და მუშები მოწვეულები იყვნენ. დღეს ალბათ არც კი ახსოვთ ის შენობა, რომელმაც ასე მატკინა გული. გაქრა, მიწასთან გასწორდა. ჩემი მეხსიერებიდან კი ის დამწვარი ადმინისტრაციული შენობა არასოდეს წაიშლება, ბევრ სენაკელს ახსოვს ის დიდებული სამსართულიანი შენობა. დასავლეთ საქართველოში ისეთი ნაგებობით ვერავინ იტრაბახებდა. არ ვიცი გამოძიებამ რა დაადგინა, მაგრამ მე პირადად არცერთ ვერსიას არ გამოვრიცხავ. მამას პირველი ნაშრომი, ახალგაზრდობის უძილო ღამეები და შრომით დატვირთული დღეები ცეცხლმა შთანთქა. ამას მამა რომ მოსწრებოდა, ალბათ ვერც გადაიტანდა (ეს იყო 1994 წელი). მამა უკვე ცოცხალი არ იყო. დედა 1993 წელს წავიდა ამ ქვეყნიდან და მე მარტოს მომიწია შებრძოლება ყველაფერთან. გადმოცემით ვიცი ბატონი გიგუჩი გაბისონიას ნათქვამი: „პატარა ბიჭი ვიყავი და მშენებლობაზე დავრბოდი, როცა დომენტი ქობალავა რაიკომის შენობას აშენებდა.” ახლა იქ მანქანების სადგომი და პატარა მოედანია.

მახსოვს ბოლო პერიოდი მამის მუშაობისა: ეს იყო ობიექტები სამტრედიისაში, აბაშაში, ტამიშში (აფხაზეთი). ძირითადად იყო საცხოვრებელი სახლები და ჩაის ფაბრიკები. იმერეთიდან აფხაზეთის ჩათვლით ყველგან მოიძებნებაშენობები, რომელთაც მამას მადლიანი ხელი შეხებია. კახეთშიც არის მისი აშენებული სახლები.

არასოდეს გამიგია, რომ იმ პერიოდში მშენებლობაზე რომელიმე მომუშავე პერსონალს რაიმე სახის ტრავმა მიედო (უნდა აღინიშნოს რომ ეს პერიოდი 60 წელს გულისხმობს).



1939 წელი. თეთრიწყაროს რაიონი

მშენებლის რთული და საინტერესო გზა მართლაც აღმასვლით გაიარა მამამ. იმ აღმართს კი 24 წლის ასაკში შეუდგა და საინჟინრო ხელოვნებას გამოიჩენილ პროფესიონალთან, ბატონ შალვა რამიშვილთან (ნინო რამიშვილის მამასთან) დაუფლებულ ჭაბუკს არც გასჭირვებია ამ საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვა. მითუმეტეს იმ პერიოდში, როცა მშენებელთა პირველი პლეადა (რომლის წრმომადგენელიც თვითონ გახლავთ) გამოვიდა ასპარეზზე და მას აღვიღზე არც ჰყოლია წინამძღოლი, რომელიც ამოუდგებოდა გვერდში. პირიქით, თავად იყო წინამძღოლი და სხვები ამოიყენა. მისი თავდადება მინდობილი საქმისადმი, პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა და ენთუზიაზმი სხვებისთვის გახდა მისაბაძი.

პასუხსაგებ თანამდებობებზე იმუშავა: სენაკის საქალაქო საბჭოს მთავარ ინჟინრად, თბილისის ელექტრომექანიზებული ტრესტის სამშენებლო განყოფილების უფროსად, წულუკიძის

აგურის ქარხნის დირექტორად, ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის მთავარ ინჟინრად, სენაკის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის მთავარ ინჟინრად, ცეკავშირის მშენებლობის კანტორის უფროსად, საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს და აბაშის სამრეწველო კომბინატის მთავარ ინჟინრად, მარტვილის სამშენებლო-სარემონტო კანტორის უფროსად, ზუგდიდის №7 სამშენებლო ტრესტის სენაკის რაიონის სამშენებლო უბნის უფროსად, №11 ტრესტის ტექნიკურ ზედამხედველად. ყველა სამუშაოზე მას იცნობდნენ, როგორც მაღალი კულტურის მშენებელს.

მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენს რაიონში არაერთი ობიექტის გადაცემა ექსპლოატაციაში, მათ შორის: ადმინისტრაციული სახლი, ჩაის ფაბრიკა, კავშირგაბმულობის კვანძი და მრავალი სხვა. აბჰესის მშენებლობა, მარტვილის ჩაის ფაბრიკა, მშენებლობები ხობში, აფხაზეთში და სხვა შესრულებული სამუშაოები მხოლოდ „ფრიადით“ ბარდებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან მამა ტრიალებდა საუკეთესო სპეციალისტების გარემოცვაში. მისი პედაგოგები და უახლესი მეგობრები იყვნენ აკადემიკოსები: ზავრიევი, მუხაძე და ბევრი სხვა.

სამუშაოებზე საოცრად მოწესრიგებული და მობილიზებული იყო. თან დაატარებდა პირად კალენდარს, სადაც ჩანიშნული ჰქონდა ყოველდღიური წვრილმანი საქმეები თუ გეგმები.

განსაკუთრებული ადგილი მამას საქმიანობაში (ჩემი აზრით) აგურის ქარხანას უკავია. რომ არა ეს პირველი სამრეწველო ობიექტი დასავლეთ საქართველოში, ასე ვერ დამშვენდებოდა ჩვენი ქალაქი და არამარტო ჩვენი ქალაქი.

ეს პირველი ობიექტი ძიგურში აშენდა. მამა მაშინ 25 წლისა იქნებოდა. მე არ ვიცი მამას მოღვაწეობის თბილისური პერიოდი, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ქარხანა არ იქნებოდა ახალგაზრდა დომენტი ქობალავას პირველი ნაშრომი. ასეთ საქმეს გამოუცდელ ინჟინერს არავინ მიახლოებდა.

დღევანდელ სენაკში არსებული გასული საუკუნის ნაგებობები (ძირითადად საცხოვრებელი სახლები) სწორედ იმ მოწითალო ფერის აგურებით არის აგებული. მამას აბჰრე-

ბი-ასე ვუწოდებ მე ამ აგურებს.

ასე, რომ აბაშაში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა მთელი თავისი ცხოვრება სენაკს დაუკავშირა, საბოლოოდ აქვე დამკვიდრდა და სახლების აშენებასთან ერთად აურაცხელი სიკეთე და მადლიც დათესა, რასაც მადლიერებითვე უპასუხეს სენაკელებმა და იმ ქუჩას, რომელზეც პირველი აგურის საცხოვრებელი სახლი აშენდა და სადაც ცხოვრობდა დომენტი ქობალავას ოჯახი (ყოფილი კომუნარების ქუჩა) ეწოდა დომენტი ქობალავას ქუჩა. ამით კი კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ კეთილი ადამიანის კეთილი საქმეები არ იკარგება.

მინდა აქვე გავიმეორო ის გულწრფელი მადლობა, რომლითაც ამ სასიამოვნო ფაქტს გამოვეხმაურე გაზეთ „კოლხეთის“ მეშვეობით:

„მღელვარებისგან მიჭირს მადლიერების სრულად გამომხატველი სიტყვების პოვნა იმ პატივის პასუხად, რომელიც მამაჩემის ხსოვნას მიაგეთ და ქუჩას, სადაც მან თავისი ცხოვრების შეგნებული წლები გაატარა, მისი სახელი უწოდეთ: კომუნარების ქუჩა დღეიდან დომენტი ქობალავას სახელობის ქუჩაა.

მადლობა არის ალბათ ის მაგიური სიტყვა, რომელიც პირველ რიგში ამ ქუჩის მაცხოვრებლებს, ამ კეთილშობილური საქმის ინიციატორებს ეკუთვნით. არდავიწყების მადლი უხვად გცხებიათ. დმერთმა დაგლოცოთ, გამრავლოთ და გაბედნიეროთ!

კრძალვით ვუძღვნი მადლობას რაიონის ხელმძღვანელობას, რომლებმაც ესოდენ დიდად შეაფასეს მამაჩემის ღვაწლი რაიონის მშენებლობის ისტორიაში და განამტკიცეს რწმენა, რომ კეთილი საქმე კეთილ ხალხში არ იკარგება, მას დრო მეტი შარავანდედით მოსავს. მადლობა ჩემს მეგობარს, ქალბატონ ზაირა ფაჩულიას, თბილი კორესპონდენციისათვის ჩვენი საყვარელი გაზეთი „კოლხეთის“ ფურცლებზე.

ყველა, ყველა სენაკელს გეკუთვნით ჩემი მადლობა და სიყვარული იმ სიტბოსათვის, რომელიც დახარჯეთ მამაჩემისათვის მის სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდგომაც.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!”

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მამამ 84 წელი იცოცხლა. აქედან 60 წელი კი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს მიუძღვნა. სპეტაკი, კეთილსინდისიერი ინჟინრის სახელი დატოვა და მაინც, ხმამაღლა და გულწრფელად ვიტყვი, რომ მამას მიერ განვლილი გზა ისე ნათელი და სახელოვანი არ იქნებოდა, გვერდით თანამდგომი, გამგებნი, ერთგული მეუღლე რომ არ ყოფილიყო!..



დედაჩემი, **ლუბა რამიშვილი**, დაიბადა 1905 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებში. 1924 წელს დაამთავრა ჩოხატაურის რაიონის ჰუმანიტარული ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. 1930 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, საიდანაც გადავიდა კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში და გახდა ინჟინერ-მშენებელი, მაგრამ ოჯახმა საბოლოოდ მაინც მასწავლებლობა აარჩევინა, რომ ქმარ-შვილისთვის თავისუფალი დრო ჰქონოდა.

მშობლებმა ურთიერთშეთანხმებით შემირჩიეს სახელი ლუბა, რომელიც დედისა და ბებუის (მამის მხრიდან) სახელების—ლუბა, ირა (ირინე)—სინთეზია.

დედამ მთელი თავისი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მოახმარა. ჩუმად, უხმაუროდ იარა ამ წუთისოფელში... არის იმისთანა საქმეები, რომელთაც უღარუნები არა აქვთ და არ ხმაურობენ, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ცხოვრების შესავსებად. ადამიანმა ის უნდა აკეთო და შესწირო ქვეყანას, რაც შენ გაგაჩნია, მაშინ მოიხდი ვალს საკუთარი თავისა და ქვეყნის წინაშე—ეს საუკეთესო თვისებები არაჩვეულებრივი

გარეგნობასთან ერთად გააჩნდა დედას.

დედა ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. შვილებზე, ოჯახზე, სამსახურზე გადაგებულს მუდამ ენატრებოდა თავისი გურია, თავისი სურები (დიდი ვანი).

სურების მოების ასულმა—სანდომიანმა, ფიზიკურად მშვენიერმა გურულმა ქალმა საოცარი სიყვარულით შეიყვარა სამეგრელო და შვილებსაც გვასწავლა ეს სიყვარული. გვასწავლა როგორ უნდა „ჭირსა შიგან გამაგრება.“ მე ფიქრში ყოველთვის ასე ვეფერები დედის ხსოვნას და მინდა ახლაც ხმამაღლა ვუთხრა ეს გულწრფელი სიტყვები: **ყველა დედა ლამაზი და განუმეორებელია,**



ლუბა რამიშვილი
და კოტე ქობალავა

მაგრამ შენ მართლაც არაჩვეულებრივი იყავი, დედა! ამქვეყნად წელგამართულმა იარე, იმქვეყნად კი ვალმოსდილი წახვედი! ყველაფრისათვის გმადლობ, დედა!

დიახ, გურულმა ქალმა და აბაშელმა კაცმა, რომელთაც ყველა პირობა ქონდათ თბილისში ეცხოვრათ და სათანადო კარიერაც გაეკეთებინათ, სენაკი აირჩიეს საბოლოო საცხოვრებლად. აქვე აღესრულნენ, ამ მიწას, ვითარცა მშობლიურს, მიაბარეს შრომაში მაშვრალი სხეულები, სული კი ალბათ სიყვარულით დასტრიალებს მათივე ხელებით ნაშენებ ქალაქს!

... ასე რომ, ჩემი მშობლების ქალაქში ვცხოვრობ და ამით უსაზღვროდ ამაყი ვარ!

სწორედ ამ გრძნობის გამო, ამ სიყვარულის გამო ვერ დავტოვე სენაკი... არადა, დარწმუნებული ვარ, სულ სხვა ცხოვრების გზა მექნებოდა... მძიმე ტვირთად დამყვება აზრი — რამე ხომ არ დავაკელი ჩემს მშობლებს?!...

იზაბელა და... მე (მამას ჩუმი ტკივილი)

მამას ორი ასული დარჩა—იზაბელა და მე.

იზაბელა ქობალავამ დაამთავრა ცხაკაიას ქალთა სკოლა (დღევანდელი №2 საჯარო სკოლა). იყო გამორჩეული მოსწავლე.

მე დღემდე გული მტკივა, რომ ჩემს ნახევარდასთან ურთიერთობა ვერ ავაწყვე. მე ვცადე, მე გადავდგი პირველი ნაბიჯი. ჩვენი პირველი შეხვედრა ჩემი თხოვნით მოახერხა მისმა თანაკლასელმა ცისანა ჩიქოვანმა მისივე სახლში. ვისაუბრეთ ზოგად საკითხებზე. სამწუხაროდ, ჩვენი ურთიერთობა არ შედგა. მისკენ გადადგმულ ჩემს პირველ ნაბიჯს საპასუხო მცდელობა არ მოყოლია. არადა, ძალიან მიხლოდა და დარწმუნებულიც ვარ შემეძლო მასთან მეგობრობა. ჩვენი ბრალი არ არის... საერთო ნაცნობებიც გვყავდა, რომელნიც ხშირად მისი სახელით (ბ ე ლ ა) მომმართავდნენ... მეც მიხაროდა. ვმეგობრობდი მის თანაკურსელ იზა მჭედლიშვილთანაც, რომელიც წერილებში ხშირად მისი სახელით მომმართავდა, რაზეც მერე ვხალისობდით.

მე მას ვაფასებდი და ვაფასებ როგორც ნიჭიერ, პრინციპულ პიროვნებას. სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკაში მოვიძიე **იზაბელა ქობალავას** ნაშრომი „**ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში**“.

წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: ... საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, ენა არის ურთიერთობის საშუალება. სწორედ ამაში მდგომარეობს ენის, როგორც სოციალური მოვლენის, არსი. მაგრამ ენობრივ ურთიერთობაში ჩაბმულ ინდივიდებს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ რაიმე სახის ფიზიკური ზემოქმედების გზით. ამიტომაც ნებისმიერი ენა, კომუნიკაციის ნებისმიერი სისტემა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ენა, თავისი ფუნქციონირებისათვის აუცილებლად საჭიროებს ფიზიკურ საშუალებას. სხვანაირად, ენის გაგება გულისხმობს არა მხოლოდ იმას, თუ როგორ ხდება, ე. ი. რა ფუნქციონალურ მექანიზმს ემყარება ურთიერთობა, არამედ იმასაც, თუ რით ხდება ურთიერთობა. ე. ი. ფიზიკური საშუალების რა სახეა გამოყენებული კომუნიკაციისათვის მოცემულ შემთხვევაში.

ბუნებრივი (ადამიანური) ენებისათვის ასეთ საშუალებას წარმოადგენს ბგერები. ამიტომაც ენის შესწავლა არ იქნება სრული თუ მასში თავისი ადგილი არ დაეთმო ბგერითი ფაქტების შესწავლასაც. მაგრამ საკითხი ეხება იმას, თუ რა პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად ამ კვლევას, როგორ და რა ტერმინებით უნდა განისაზღვროს ბგერითი ერთეულები, როგორია ენობრივი ასპექტის მიმართება ბგერათა ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ ასპექტებთან, შესაბამისად მათი შემსწავლელი დისციპლინების ურთიერთმიმართება და ა. შ. ის ძირითადი ცნება, რომლის გარშემო თავს იყრის მთელი ეს პრობლემატიკა, არის ფონემის ცნება.

მიუხედავად ასეთი აქტუალობისა (და ნაწილობრივ სწორედ ამის გამო), ფონემის ერთგვაროვანი გაგება ენათმეცნიერებას არ მოეპოვება. ამიტომაც ძნელია მსჯელობა ზოგადად ფონემის ცნებაზე, მის მიშენელობაზე. მისი გამოყენების შემდგომ პერსპექტივებზე, თუ დადგენილი არ იქნება ის საერთო და ის განსხვავებული, რაც აერთიანებს არსებულ თვალსაზრისებს როგორც „ფონემის თეორიებს“ და რაც ქმნის თითოეული მათგანის სპეციფიკას. ასეთი მიმართულებით კვლევა ენათმეცნიერებისათვის უცხო არ არის და მისი მნიშვნელობა სრულიად უდავოა. ამ პრობლემებს ეხება ეს ნაშრომიც.

ნაშრომში განხილულია თეორიები, დაკავშირებული ფონოლოგიური კვლევების გარკვეულ ეტაპთან, რომელსაც ახლა უკვე თავისუფლად შეიძლება ეწოდოს კლასიკური ფონოლოგიის ეტაპი. თანამედროვე წარმომქნელი ფონოლოგიის პრინციპების დაწვრილებითი ანალიზი წარმოდგენილი იქნება სპეციალურ გამოკვლევაში.

წინამდებარე ნაშრომს არა აქვს პრეტენზია მთელი სისრულით გააშუქოს განხილულ თეორიებში დასმული ყველა საკითხი. ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ფონემის რაობასა, მისი დადგენის მეთოდებსა და ფონეტიკა-ფონოლოგიის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე. ავტორი იძულებული გახდა შეზღუდულიყო საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის გამოყენების მხრივაც. იმ მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომების დიდი ნაწილის გათვალისწინება, რომელიც იწერებოდა და იწერება გასუ-

ლი საუკუნის დასაწყისიდან და განსაკუთრებით ჩვენი (მეოცე საუკუნის) 30-იანი წლებიდან, თანდათან რთულდება, რაც, ბუნებრივია, რამდენადმე აძნელებს მნიშვნელოვანი დეტალების სრულად გათვალისწინებასაც.

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. (გამომცემლობა „მეცნიერება“ – 1976 წ.)



ჩემი შრომითი ბიოგრაფია დაიწყო სენაკის №1 საშუალო სკოლასთან არსებულ სტუდიაში პედაგოგიური მოღვაწეობით.



ეს იყო 1964 წელი. მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი. 1965 წელს დავამთავრე №4 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე და იმავე წელს ჩავირიცხე თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის №3 სამუსიკო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილებაზე. სასწავლებელში ჩემი პედაგოგები გახლდნენ **ელენე ნოვაკი** და **ირინა სოლოდოვსკაია**. ძალიან კარგი მოგონებები მაკავშირებს ჰარმონიის პედაგოგ **ელენე ედილაშვილთან**. სასწავლებლის დირექტორი

ქალბატონი **ქსენია ჯიქია** კი სიცოცხლის ბოლომდე ჩემი უფროსი მეგობარი და მრჩეველი გახლდათ.

თაყვანისცემით და და პატივისცემით მინდა გავიხსენო კონსერვატორიის პედაგოგები: **ლევან ფალიაშვილი**, **ბორის გულისაშვილი**, **ლატავრა პატარიძე**, **გულბათ ტორაძე**, **შალვა მშველიძე**, **ბიძინა კვერნაძე**, **ნოდარ მამისაშვილი**, **ევგენი მაჭავარიანი**, **დალი ჩხეიძე**. მხარდაჭერა და თანადგომა, ყურადღება და სიყვარული ყოველთვის მქონდა კულტურის სამინისტროს თანამშრომლებისგან: **მანანა დავითაშვილი**, **ნინო ბესტავაშვილი**, **დოდო მამალაძე**, **დალი ბაიაძე**.

ხანმოკლე მუშაობამ მომიწია ნოქალაქევის საშუალო და ხო-

ბის სამუსიკო სკოლებში. სადაც კი მიმუშავია ყველგან დიდი სითბო მიგრძენია. ბედმა არაჩვეულებრივ ხალხთან დამაკავშირა და ამ მხრივ ყოველთვის ბედნიერი ვიყავი. 1966 წლიდან ვმუშაობ სენაკის სამუსიკო სკოლაში. ჩემი კლასის კურსდამთავრებულებისგან განსაკუთრებული სიყვარულით მინდა გავისხენო: ნანა ბახტაძე, მარიანა ასტვაცატუროვა, ირინა წულაია, ნინო ბელქანია, შოთა შეროზია, ქეთინო არჩაია, ალექსანდრე ქადარია, თამარ ბართაია, ნინო ლოლუა, ელგუჯა ფირცხალავა, მირანდა რობაქიძე, დავით გადელია, მედეა ქადარია, ანა ნაროშვილი, მარია და ეკა მიქაძეები, ეკატერინე ხარებავა, დავით ვახანია, ნინო კიტოვანი, ეკატერინე ქუთელია, თამარ სიჭინავა, ვერიკო გოგინავა, ჯულიეტა ცირამუა.

კურსდამთავრებულები 2006 წლიდან: მიშიკო და ნათია სანიკიძეები, ირაკლი გელენავა, მელანო ჯღამაძე, მარიამ მამულია, ლიზი ეჯიბია, ანა და ალექსანდრე ჩიქოვანები, თეკლა და მარიამ შეროზიები, თამარ კინწურაშვილი, სერგი ძიძავა, გვანცა სახეიშვილი, ნანა გვასალია, ანი ქუთელია, მარიამ ადამია, ანა სიჭინავა, მარიამ გოგია, ქრისტინე ოკუჯავა.

მათ შორის მუსიკალური ათწლედი დაამთავრეს ირაკლი გელენავამ და ნათია სანიკიძემ.

ფორტეპიანოს გარდა წლების მანძილზე ვასწავლიდი მუსიკის ლიტერატურას, ბევრი ნიჭიერი მოსწავლევც გამიზრდია.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ხელი მოვკიდე მეცნიერულ მუშაობას. ავირჩიე ქართულ-ხალხური სიმღერასთან დაკავშირებული თემა. სადისერტაციო თემა გახლდათ „ოთხხმიანობის ფენომენი ქართულ ხალხურ შემოქმედებაში.“ ჩემი ხელმძღვანელი იყო მსოფლიოში ცნობილი ეთნომუსიკოლოგი იოსებ ჟორდანიას, რომელიც დღეს ავსტრალიაშია. სამეცნიერო მუშაობამ დამაკავშირა ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორებიც არიან ედიშერ გარაყანიძე, ასევე მანანა შილაკაძე, ზურაბ კიკნაძე და სხვა.

1972-77 წლებში ვწავლობდი კონსერვატორიაში მუსმცოდნეობის სპეციალობაზე. ძალიან ბევრი დრო მიჰქონდა ადმინისტრაციულ მუშაობას, რომელიც მოითხოვს ფანატიზმსა და თავდადებას. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ სკოლის ხელმძღვანელს ფაქტიურად არასოდეს არა აქვს დრო იფიქროს საკუთარ თავზე. ხშირად ჩემი მოსწავლეებიც იჩაგრებოდნენ ამის გამო, მიუხედა-

ვად ყველა სირთულისა, არაერთი გამარჯვება ამშვენებს ჩემს კლასს. მინდა გამოვეყო ზონალურ კონკურსში გამარჯვებულები: ნანა ბახტაძე, ირინა წულაია, მარია მიქაძე, ეკატერინე ხარებავა, ლიზი ეჯიბია, თეკლა შეროზია, ლიკა თუნთია.



სენაკელ მეგობრებთან



ბულგარელ მომღერალ სტოიან ნიკოლოვასთან.1980 წელი.
სურათი გადაღებულია ქალაქ სენაკში, მეგრულ ოდასთან. დღეს
ამ ადგილას ირანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარია.

სიღარბაისლით გამორჩეული ჩვენებური კაცი

სენაკს უამრავი წარმატებული და საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება აღუზრდია. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ბატონი **კონსტანტინე (კოტე) ქობალავა**. ბატონი კოტე წელს 70 წლის გახდა. ქუთაისს ამშვენებს პროფესიონალი, წლების გამოცდილებით გათეთრებული, სიღარბაისლით გამორჩეული ჩვენებური კაცი, რომელმაც საქართველოს ორი კუთხისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებების სინთეზი საკუთარ ხასიათში მოახდინა და ამით გამორჩეული ქუთაისსა და ქუთათურებში, ამით განსხვავდება სენაკელებისგან.



დმერთმა დაბადება არგუნა გამორჩეულ ოჯახში. ახალგაზრდა ინჟინრების, **დომენტი ქობალავასა და ლუბა რამიშვილის**, ოჯახში პირველი ვაჟიშვილი დაიბადა 1935 წლის 9 ოქტომბერს. მაშინ ოჯახი თბილისში ცხოვრობდა. პატარა კოტე მშობლების, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის გარემოცვაში იზრდებოდა. თუმცა ეს სიახლოვე კოტეს მესხიერებაში მხოლოდ ნათესაურ კავშირად დარჩა. რადგან სამი წლის პატარა სენაკში გადმოიყვანეს მშობლებმა და აქედან დაიწყო მან სამყაროს ნამდვილი შეცნობა, მეგობრობისა და სიყვარულის შეგრძნება. ამიტომაც თბილისში დაბადებული თავს ჭეშმარიტ სენაკელად თვლის. შემდეგი იყო სენაკის (იმდროინდელი ცხაკაიას) №3 საშუალო სკოლაში სწავლის წლები და სკოლის მეგობრები—**გურამ ფირცხალავა, გოგილო ჭუბაბრია, ლერი ჩაგანავა, ორდიკო კაკაჩია** და სხვები.

სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. სწორედ ინსტიტუტმა დააკავშირა ბატონი კოტე ქუთაისს. განაწილებით ქუთაისის ავტოქარხანაში ინჟინრად დაიწყო მუშაობა. აქედან გადაიყვანეს მარტვილის, მაშინდელი გეგეჭკორის, ატკ-ის დირექტორად. მიუხედავად კარგი თანამდებობისა, ბატონი კოტე მშობლიურ ქალაქს უბრუნდება, იწყებს მუშაობას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში პედაგოგად. პარალელურად მუშაობს საკანდიდატო დისერტაციაზე და წარმატებითაც იცავს. 1972 წლიდან მიწვეულიქნა ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მანქანათმშენებლობის კათედრაზე, სადაც ლექციებს კითხულობდა მხაზველობით გეომეტრიაში.

70 წელი შინაარსიანი და დატვირთული ცხოვრების რიტმით იარა, სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის შერწყმით მოღვაწეობდა. სტუდენტებისათვის მისაბაძი პროფესორი, კოლეგების პატივისცემით სარგებლობდა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა ცხოვრების შეიღმა ათეულმა წელიწადმა.

... ცხოვრობს ქუთაისში ჩვენებური კაცი. სენაკზე მონატრებას, ახალგაზრდობის მეგობრებთან შეხვედრის სურვილს მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლით იკმაყოფილებს. ალბათ კონსტანტინე ქობალავას მსგავს ადამიანებზე უთქვამს ბრძენ ქართველს: „დედა ნახე, მამა ნახე შვილი ისე გამონახეო.“

ბატონო კოტე! სენაკს ეამაყება თქვენი მსგავსი თანაქალაქელის ყოლა ქვეყნის ნებისმიერ ქალაქში. გილოცავთ 70 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, მხნეობას! გისურვებთ კვლავაც დაუღალავად თესოთ სიკეთე და სიყვარული. ჩვენს ქალაქს უფაღმა კვლავაც უმრავლოს თქვენნაირი საამაყო შვილები!...

ლია ღვამბურია.

2005 წელი.

P.S. აღნიშნული წერილი კოტე ქობალავას ოჯახში თვალსაჩინო ადგილზე ჰქონდა შენახული დაქსეროქსებული და ლამინირებული.



2014 წლის 28 ივლისი...

დასრულდა ეპოქა და ზღაპარი, რომელსაც კოტე ქობალავას პიროვნება ალამაზებდა. ჩემი მშობლებისთვის კოტე იყო დიდი იმედი, განძი, მათი ახალგაზრდობის სიმბოლო. პირველი სიხარული და თვალისჩინი.

ჩემთვის – სიწმინდის, ერთგულების, სისპეტაკის განსახიერება. 12 წელი გვაშორებდა. 12 წელი არც ისე პატარა დროა.

მე რომ სკოლაში წავედი, კოტე უკვე სტუდენტი იყო. ყველანაირად მოწესრიგებული პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობით გამოირჩეოდა. ქუთაისში დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. შემდეგ კი სამუდამო ბინა დაიდო ქუთაისიდან წყალტუბოსკენ მიმავალ გზაზე, მარცხნივ ჩასახვევში არსებულ სასაფლაოზე.

მისი საფლავიდან აღებული მიწა მშობლებს მოვუტანე მენჯის სასაფლაოზე და მათ გულზე დავაყარე, რამაც ერთგვარი შვება მაგრძნობინა – თითქოს ვალი მოვიხადე მშობლების წინაშე.

კოტეს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აკავშირებდა მშობლებთან – სათნოება, დიდი პატივისცემა და ყურადღება. არასოდეს უფიქრია კარიერაზე. მისთვის მთავარი იყო პროფესიონალიზმი... მიაჩნდა რომ ჭეშმარიტი პროფესიონალი არასოდეს იბრძოლებს კარიერისთვის და კიდევ ერთი დეტალი დომინირებდა ურთიერთობაში: მისგან არასოდეს მომისმენია საუბარი ქონების დაგროვების შესახებ – რატომ მეტი ქონება არ ქონდა ჩვენს ოჯახს!... სამწუხაროდ, ადამიანთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში მთავარია ძლიერი ეკონომიკა ... ეს ჩვენ არც გექონდა და არც ვნერვიულობდით ამის გამო.

იმ უსამართლობამ, რაც ჩემს ირგვლივ დატრიალდა, გული ძალიან ატკინა კოტეს. მას არ უნდოდა ამ მტკივნეულ საკითხზე საუბარი. ჩემთვის სასიკვდილო განაჩენი იყო მისი სიტყვები: „მე მრცხვენია, სენაკში აღარ ჩამოვალ!“. მართლაც არ ჩამოსულა, ის ტკივილი და სირცხვილი თან წაიღო...

უძიმესი ტკივილის გამო ოთხთვიანი წამებით, ტანჯვით წავიდა კოტე ამ ქვეყნიდან. მანამ კი მოახერხა საჭამიასერის ეკლესიის მონახულება. დიდხანს ემზადებოდა ამისთვის,

შესაწირი წაიღო, რაღაც ძალა იზიდავდა—ეს სოფელი ხომ ჩვენი ბებიის, მინადორა ქორიძის, სოფელია. კოტემ სანთელი აუნთო ჩვენს წინაპრებს და ისე წავიდა... სამუდამოდ. ალბათ, პირველი სწორედ მინადორა ბებია შეეგება სასახელო შვილიშვილს მარადიულ სასუფეველში.


ჩემს ცხოვრებაში იყო ერთი, განსაკუთრებულად ტკბილად დასამახსოვრებელი დღე, რომლის ბასახსენებლადაც მიზანშეწონილად მიმაჩნია ბაზეთ „კოლხეთში“ გამომქვეყნებული ლია ღვამბერიას წერილი:

წიგნის დაბადება

2003 წლის 22 მაისს სენაკის სამუსიკო სკოლა მისთვის უჩვეულო გარემოში იმყოფებოდა. სკოლის მთელი პედკოლექტივი დღევით ელოდებოდა წიგნს, რომელიც სამუსიკო სკოლის მატჩანის დასაწყისი უნდა გამხდარიყო.

ს. ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში ხალხმრავლობა იყო. იქ თავი მოეყარა სამუსიკო სკოლასთან სხვადასხვა დროს დაკავშირებულ სენაკელებს. განსხვავებული პროფესიის, ასაკისა და შეხედულებების ადამიანებს სამუსიკო სკოლა აერთიანებდა. წიგნი „მუსიკა არსის“ ავტორს, ქალბატონ ლია ქობლავას, ასეთი რთული და დაძაბული დღე ალბათ არასოდეს ქონია.

„წიგნი „მუსიკა არსის“ ხელში აღებამ 20-30 წლით უკან დამაბრუნა და გამახსენა ის მშვენიერი წლები, ის ადამიანები რომლებიც მართლაც



ამშვენებდნენ სენაკს.”—ასეთი იყო მწერალ ბორის დავითაიას შეხედულება ნაშრომზე და მადლობის სიტყვები წიგნის ავტორისადმი. მოიწონა და წიგნის გამოცემის აუცილებლობას ხაზი გაუსვა ყველა გამომსვლელმა.

ქალბატონებმა: **ციური ხორავამ** (საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი), **ქეთევან ლატარიამ** (საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე) აღნიშნეს წიგნის ღრმა შინაარსობრივი მხარე და მოიწონეს სამუსიკო სკოლის ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალის ერთ წიგნად გამოსვლა.

წიგნის რედაქტორმა, ქალბატონმა **ლეილა ლემონჯავა-ხოშტარიამ**, მადლობა გადაუხადა საზოგადოებას წიგნის გულთბილი მიღებისათვის.

წიგნის პრეზენტაციაზე მოსულმა პირველი თაობის მოსწავლეებმა, შემდგომ სენაკის ინტელიგენტმა ქალბატონებმა: **როზა კოკაიამ**, **ლამარა წერეთელმა** და **ციალა კანკიამ** წიგნს მაღალი შეფასება მისცეს. სკოლის პედკოლექტივის სახელით მადლიერება გამოხატა ქალბატონმა **ნესტან ფირცხალავამ**.

წიგნის პრეზენტაციაზე ჩამოვიდა საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი **ანზორ შომახია**, რომელმაც წიგნის ავტორს და სენაკის საზოგადოებას გულთბილად მიულოცა სამუსიკო სკოლის ისტორიის ამსახველი წიგნის გამოსვლა. წიგნის პრეზენტაციაზე მოსულ თითოეულ სტუმარს სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა მიუძღვნეს მუსიკალური ნომერი.

პრეზენტაციამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. იყო მილოცვები და ყვავილები. ყველა სტუმარი წიგნის არსებობის აუცილებლობასა და ამით საშვილიშვილო სიკეთის თესვაზე საუბრობდა.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ბატონმა **ანზორ შომახიამ**, მაგაღანის საოპერო თეატრის სოლისტმა **ნატალია განინამ**, სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა: **ირაკლი გელენავამ**, **ნათია სანიკიძემ**, **სალომე ჩიქოვანმა**, **ქეთევან კულუამ**, **თამარ ესებუამ**, **თამარ მირცხულავამ**, ნორჩმა მომღერალმა **ვალერი ბარქაიამ**, **ფოდკლორულმა**

ტრიო „კოლხამ, პედაგოგებმა რ. მილიუტინმა, დ. შეროზიამ, თ. გაბუნიათ, კურსდამთავრებულმა ნ. შეროზიამ.

ამ საღამოს შემდეგ უფლება გვაქვს ყველა სენაკელს, სამუსიკო სკოლის ცხოვრებით დაინტერესებულ პიროვნებებს მივულოცოთ სამუსიკო ცხოვრების მატინის, ხოლო წიგნის ავტორს – ქალბატონ ღია ქობალავას პირველი წიგნის გამოცემა.

ეპიზოდი წარსულიდან

2011 წლის 29-30 ნოემბერს ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარა ჩვენი დროის გამოჩენილმა ქართველმა პიანისტმა **ლექსო თორაძემ**.

30 ნოემბერს მომეცა საშუალება დავსწრებოდი ლექსო თორაძის კონცერტს. ორკესტრს უძღვებოდა დირიჟორი **ვანტანგ მაჭავარიანი**.



ღია ქობალავა
ლექსო თორაძესთან

საღამოზე მართლაც რომ არდავიწყების, ურთიერთ პატივისცემის და თანადგომის, სიყვარულის, ნიჭიერების ზეიმი იყო. მინდა მკითხველს ერთი ეპიზოდი მოვუყვე წარსულიდან:

მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ პიანისტს ერთი დღე აკავშირებს ჩვენს პატარა ქალაქთან. ეს იყო 1976 წელს. ახალგაზრდა პიანისტმა დიდ წარმატებას მიაღწია.

წია საერთაშორისო კონკურსზე ამერიკაში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ესტუმრა რამდენიმე ქალაქს, მათ შორის სენაკს.

კონცერტის ჩატარების დღეც დაინიშნა. როგორც ყოველთვის, მწვავედ განვიცდიდი რომ სკოლას არ გააჩნდა და, საერთოდ, ქალაქში არ იყო შესაბამისი საკონცერტო დარბაზი. სამუსიკო სკოლა მოთავსებული იყო შენობაში, რომელიც არ

აკმაყოფილებდა სათანადო მოთხოვნებს. იმ დროს სამუსიკო სკოლა კულტურის სამინისტროს სასწავლო დაწესებულება გახლდათ.

მახსოვს, სამუშაო დღე დასასრულს უახლოვდებოდა. უეცრად გამიჩნდა დარბაზის მოწყობის სურვილი. ერთადერთი საკონცერტო როიალი იდგა ღია ფოიეს კუთხეში. დერეფანში კი 30-მდე მსმენელი თუ დაეტეოდა. ამოსასვლელი კიბის ზევით შესაძლებელი იყო ესტრადის მოწყობა, რომელზედაც დავდგამდით როიალს „დარბაზში“ კი 150-მდე მსმენელი მოთავსდებოდა. ამ იდეით მივმართე რაიონის ხელმძღვანელობას. მათ მოიწონეს ჩემი გეგმა. ყველაზე გასაოცარი კი ის გახლავთ, რომ ყველაფერი გაკეთდა ერთ დღეში. იმ საღამოს არც მშენებლებს და არც მე არ გვიძინია. მეორე დღეს სკოლამ უმასპინძლა ახალგაზრდა პიანისტს. სენაკელები ოვაციებითა და სიყვარულით შეხვდნენ ლექსო თორაძეს. დაუვიწყარი და განუმეორებელი იყო ეს შეხვედრა.

კონცერტის შემდეგ სტუმარს ვაუწყე, რომ ეს დარბაზი მისთვის გაკეთდა საგანგებოდ, მანაც არ დამალა სიხარული და გაცეკბა... დასასრულს კვლავ მინდა დაეუბრუნდე 30 ნოემბრის კონცერტს—ეს იყო შეხვედრა ჭეშმარიტ, ამაღლებულ საშემსრულებლო ხელოვნებასთან. მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს მიეცათ შესაძლებლობა მოესმინათ განუმეორებელი და მონატრებული ლექსო თორაძისათვის.



არ შემიძლია აქვე არ ჩავსვა ის პატარა ჩანახატი, რომელიც ადრე დამაწერინა ერთმა შემთხვევამ:

„მარიამობა“

რატომღაც გამიჩნდა დაუოკებელი სურვილი შევაჩერო დროის მაჯისცემა. დღეები მირბიან... ხშირად ვათვალიერებ ძველ ფოტოებს—ეს შეჩერებული წამები ძალიან ბევრს მოიცავენ—ბავშვობის, ახალგაზრდობის, მეგობრობის უხილავ წამებს და მაინც ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრების უდიდესი

სიხარული და სიამაყე ჩემი მშობლები იყვნენ. ყოველდღე ჩუმი ვესაუბრები მათ, მესიზმრებიან (უფრო ხშირად დედა). დღეს კი არაჩვეულებრივი ჩანახატი მინდა გავაკეთო:

ჩემი მეგობრის თხოვნა გავითვალისწინე და ერთად შევხვდით წმინდა მარიამის მიძინების დღეს. ვერ დავიტრიალებ რელიგიური განათლებით და ცოდნით. ესაა რომ მტკიცედ მწამს სულის უკვდავება. მწამს რომ ცოდვა არ უნდა ჩაიდინო. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემა თუ დაკარგე, მერე ალბათ ყველაფერი სულერთია.

საოცრად ლამაზია ჩემი ქალაქი, სადაც დავიბადე. ვერ მივატოვე და სიცოცხლის ბოლომდე არსად ვაპირებ წასვლას... ჩემი მეგობრის ახალაშენებული სახლი ამდღებულ ადგილზეა—კალანდაძის ქუჩაზე. აქ 20 წლის წინათ ქორწილში ვიყავი მიწვეული. დამხვდა ხის პატარა ნაგებობა. კოხტა, მოვლილი ეზო, ხეხილი, არაჩვეულებრივი სამეგობრო წრე. ოჯახის ერთ-ერთ წევრს კარგად ვიცნობდი. დღეს ეს ნიჭიერი სენაკელი ქალბატონი ირა ადამია საბერძნეთში ცხოვრობს. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმძიმეს პერიოდში გაემგზავრა, იქ დაოჯახდა და თავისი შრომით მხარში ამოუდგა სენაკში დარჩენილ ოჯახის წევრებს. მე ასეთ თანადგომას და ურთიერთპატივისცემას, მშობლიური კუთხის უსაზღვრო სიყვარულის მაგალითს ბევრს



ვერ ვიხსენებ...

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა 28 აგვისტოს ჩემს თვალწინ გადაშლილმა სურათმა: მე ვნახე ნიჭიერი არქიტექტორის ჩანაფიქრის რეალური შედეგი—ჩემს თვალწინ არაჩვეუ-

ლებრივი სახლი იწონებდა თავს, გადაჰყურებდა ლამაზ სენაკს და ზაფხულის მიწურულში მზისგან დასიცხულ ადამიანებს ელოდებოდა, ეპატიჟებოდა და გრილი ნიავით უმასპინძლდებოდა. ვერ აღვწერ რა გრძნობა დამეფულა ამ დროს—ამ ლამაზი ნაგე-

ბობის შიდა კედლები მთლიანად აშენებულია ჩემთვის ძალიან კარგად ნაცნობი მოწითალო ფერის აგურით... უჩვეულოდ კომფორტულად ვიგრძენი თავი. ცოტა ხანში მივხვდი თუ რატომ? მამა... ეს ხომ მამაჩემის შექმნილი აგურებია. ვინ შემოინახა ამ დრომდე? როგორ?... ამდენი წლის შემდეგ 7 თვის განმავლობაში მთელი ოჯახი დღე და ღამე მუშაობდა—წვიმასა და ქარში, აუტანელ სიცხესა და სიცივეში, რომ გაეცოცხლებინა ეხოს ერთ კუთხეში საგულდაგულოდ კოხტად დაწყობილი ჩემი მოწითალო აგურები.

90 წლის წინ, გასული საუკუნის 20-30-იან წლებში იწყება ჩვენი ქალაქის აღმშენებლობის ისტორია. იყო ხის სენაკი, მეგრული ოდები, ჯარგვლები. დედაქალაქიდან სენაკში მოაგვლინეს ახალგაზრდა ინჟინერი... ძიგურში აშენდა აგურის ქარხანა.

დაიწყო აგურების წარმოება. ყოველდღიურად იცვლებოდა ჩვენი ქალაქის იერსახე, შენდებოდა ახალი სახლები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ საქართველოს ამ კოპწია მხარეს. დღეს აგურის ქარხანა არ არსებობს, მაგრამ ადამიანების ხსოვნაში ცოცხლობს ის მადლიერების გრძნობა, რომელიც მოსახლეობაში იმთავითვე დაინერგა იქ წარმოებული აგურებით აშენებული საცხოვრებელი სახლებით შექმნილი თვითმყოფადი იერსახის გამო, რითაც რეგიონში დღესაც გამორჩეულია სენაკი. სწორედ ამ მადლიერების დასტურია რკინიგზის პატარა სადგურისთვის (სოფელ ნოსირის ტერიტორიაზე) „აგურქარხნის“ სახელის მიკუთვნება... ფიქრებში წასული გამომაფხიზლა დიასახლისის ომახიანმა შეძახილმა: გაიშალა ტრადიციული მეგრული სუფრა. ოჯახის უფროსი, ბატონი პლატონი, თავისი ხელით დაწურული თეთრი და შავი ღვინოთი იწონებდა თავს...



...სანდომიანი ქალბატონები სამზარეულოში ფუსფუსებდნენ. ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი მარიამი, რომლის მიმართ სიყვარულმა გაგვაერთიანა უფროსი თაობის სენაკელები, კომპიუტერით შორეულ საბერძნეთს ეკონტაქტებოდა. შემდეგ

შემოგვიერთდა და ყველანი ერთად „გაცილებლით” სენაკიდან **მარიამობის მზეს...**

ისე ღამაზი იყო ყველაფერი ეს, რომ თავი სიზმარში მეგონა. ვეფერებოდი კედლებს, თითოეულ აგურს. იმ დღეს მამა ჩემთან ერთად იყო თითქოს, მამსნევებდა, მაძლიერებდა ეს შეგრძნება – ასე უსიტყვოდ, არაჩვეულებრივ გარემოში შევხვდით ჩვენს წარსულს. მინდა იხაროს ჩემი მეგობრების ახალმა ჭერმა – გამრავლება და დღეგრძელობა დაეხედოს მათს წმინდა ოჯახს.

აწმყო არ არსებობს წარსულის გარეშე. თბილისში ყოფნის დროს ყოველთვის ფეხით ავდივარ ელბაქიდის აღმართზე, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ. განსაკუთრებით მიყვარს დედაქალაქის ეს უბანი. დღეს იქ მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სადარბაზოა დარჩენილი. თბილისიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა ოჯახმა ცოდნა და სიყვარული სწორედ სენაკს უანდერძა. მადლობა უფალს!!!

2015 წელი.

ქველმოქმედება

მიმაჩნია, რომ ქველმოქმედება ჩემი სიცოცხლის მოწოდება იყო... არასოდეს არაფერი მიკეთებია ანგარებით. მეგობრობაში, ურთიერთობებში, საქმისადმი დამოკიდებულებაშიც არასოდეს „მიანგარიშია” რა მოგებას მივიღებდი... ეს ყველაფერი ჩემმა მშობლებმა მიანდერძეს. თავდადებული შრომა, პატიოსნება, ერთგულება, მოყვასისადმი გაჭირვების უამს დახმარების ხელის გაწვდენა... – ეს იყო ცხოვრების წესი.

მეც ვთვლი, რომ მშობლების კვალს გავყევი. უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ ყოველი ჩემი ნაბიჯი და საქმე გარშემომყოფთათვის იყო გათვლილი. არავითარი სხვა ძალა არ მამოძრავებდა. არც შურიანი ვყოფილვარ ოდესმე. „მშურდა” მხოლოდ ძალიან განათლებული ადამიანების და მინდოდა რაც შეიძლება მეტი ცოდნა შემეძინა ამას კი დასასრული არ უჩანდა., რაც ჩემში უკმაყოფილებას იწვევდა.

ჩემი სიცოცხლის 34 წელი სენაკის სამუსიკო სკოლას მივუძღვენი უშურველად, მთელი არსებით: ერთი წელი სასწავლო ნაწილის გამგედ ვიმუშავე, დანარჩენი 33 – დირექტორად. 25 წლის ასაკიდან ვზიდე ეს საპასუხისმგებლო ტვირთი.

2006 წლიდან ჩემი საქმიანობა ნაწილობრივ შეიცვალა: პირველ ნოემბერს საკლასო ოთახში შემომიგზავნეს 20 ოქტომბრიდან დირექტორობიდან გათავისუფლების



ბრძანება, რითაც ზაზა გოროზიამ და ვოკა გაბაშვილმა გააკეთეს არჩევანი... საოცარია, ისინი არც მიცნობდნენ და არც ვიცნობდი... მოვიდნენ, წამშალეს და წავიდნენ ჩემი ცხოვრებიდან. „წამშალეს“, მაგრამ არ წავიშალე. გადაურჩი, დაურჩი... პენსიაზე გასვლაც კი არ მაცალეს, ისე ეჩქარებოდათ სენაკის სამუსიკო სკოლის „აყვავება“, ჭაღარაც კი მერე შემეპარა. მოლოდინმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა...

...და მაინც, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის—მეტი თავისუფალი დრო დამრჩა და ეს დრო ჩემს მოსწავლეებს გადავუნაწილე. გაკვეთილები უფრო საინტერესო და თან შემოქმედებითი რომ ყოფილიყო, დავიწყე საკლასო ოთახში სალონური შეხვედრები, საუბრები... მრავალ აღსაზრდელს დაამახსოვრდება ეს მომენტები. უკვე 11 წელია ამ არჩევანით მოვდივარ და ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას.

2007 წლიდან ვმუშაობდი ჟ. შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლის მუსიკალურ ათწლეულში. სადაც არაჩვეულებრივი კოლექტივი და გარემო დამხვდა. ათწლეულის დირექტორი ქალბატონი ღია ქაჩიბაია სიხარულით შემხვდა და საქმეც ერთად გავაგრძელეთ. ამ გარემოებამ ჩვეული ენთუზიაზმი შემანარჩუნებინა: იყო უამრავი კონცერტი, შეხვედრები

გამორჩეულ პიროვნებებთან... სწორედ აქ, ამ ათწლეუდში, ჩაეყარა საფუძველი და შეიქმნა საინიციატივო საქველმოქმედო ჯგუფი, რომელიც დღესაც ცოცხალია.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დღეს ათწლეული არ ფუნქციონირებს. ჩვენი ძალისხმევით თბილისიდან ჩამოტანილი როიალი „პეტროფი“ კი დღესაც ამშვენებს სკოლის საკონცერტო დარბაზს და ემსახურება ახალ თაობებს. არ შეიძლება დავივიწყოთ ოპერის თეატრის დირექტორის მოადგილის, ბატონ ზურაბ ლომიძის, კულტურისა და ეკონომიკის სამინისტროების თანადგომა ამ კეთილ საქმეში. ეს მერვე როიალია, რომელთა ჩამოტანაშიც სხვადასხვა დროს აქტიურად ვიყავი ჩართული. მათ შორის 4–სამუსიკო სკოლაში, 2–თეატრში, 1–ხალიჩების კომბინატში. გამგეობაში ხანძრის დროს სკოლის საკრავების გატანა დაგვჭირდა, ოდნავ შეიღახა ძვირფასი ინსტრუმენტები, მაგრამ დღემდე ამ საკრავებზე იზრდებიან სენაკელი ნორჩ მუსიკოსთა თაობები. **ეს მახარებს და ვამაყობ კიდევ!...**

2010 წლის 16 მარტიდან კი დაიწყო და დღემდე გრძელდება ჩემი საქმიანობა უკვე ქველმოქმედების სახით. მკითხველს ვთავაზობ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, რომლებიც ასახავენ ჩემი კლასის წარმატებებს ამ ღონისძიებებში. დმერთი მაძლევდა ძალას... ყოველივე კი მაშინდელი წოდებით **სენაკისა და ჩხოროწყუს მეუფის, აწ უკვე საქართველოს პატრიარქის თანამოსაყდრე შიოს ლოცვა-კურთხევით დაიწყო.**

ჩემთვის ფასდაუდებელია ხატები, რომელნიც საჩუქრად გადმომეცა.

ვლოცულობ და ასე ვემზადები უფალთან შესახვედრად!...

ჩემს საქმიანობაში საქველმოქმედო ღონისძიებების გარდა დიდი ადგილი ეთმობა ლექცია-კონცერტებს. დღეს მინდა გავიხსენო ზოგიერთი მათგანი: **ირაკლი გელენავას** ლექცია-კონცერტი თემაზე „**იოჰან სებასტიან ბახი,**“ რომელიც მივუძღვენი მეუფე შიოს 2006 წელს; **ნათია და მიშიკო სანიკიძეების** სოლო კონცერტი თემაზე „**ლუდვიგ ვან ბეთჰოფენი-ჩვენი საყვარელი კომპოზიტორი**“; **მარიამ გოგიას** სოლო

კონცერტი გამორჩეული იყო მრავალფეროვნებით; ანა და ალექსანდრე ჩიქოვანების სოლო კონცერტი; ლიზი ეჯიბიას ორი სოლო კონცერტი; ირაკლი ჩიქობავას მხარდასაჭერი კონცერტები; თეკლა და მარიამ შეროზიების სალონური კონცერტები, მეა მარშანიას სოლო კონცერტი; მარიამ და ელენე ზარანდიების კონცერტები; მარიამ ადამიასა და ანა სიჭინავას სალონური შეხვედრები.

ყველა კონცერტი განუმეორებელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ აუდიტორიაც შეიკრიბა ჩემს გარშემო. ერთგული მსმენელები მახარებენ, სტიმულს მაძლევენ თავიანთი დამოკიდებულებით. ვგრძნობდი და დღესაც ვგრძნობ მათს თანადგომას და პატივისცემას ჩემი საქმისადმი. გამორჩეული იყო მიმდინარე წელს ჩატარებული ლექცია-კონცერტი „შოპენი – ჩემი საყვარელი კომპოზიტორია,” რომელიც მიეძღვნა სკოლის დამაარსებლის, მინადორა (დორა) კიკნაძის ხსოვნას.

კონცერტი მიჰყავდა მერვე კლასელ ლიზი სურციას.

დღეს კი ჩემი აღსაზრდელები ემზადებიან წინამდებარე წიგნის „ჩვენი მშობლების სენაკი“-ს პრეზენტაციისათვის. მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი კლასი: გიორგი ბარამია და ნიკა აბაკელია–პირველი კლასი; ნინო გვაზავა და მეგი ჭანტურია–მეორე კლასი; ელენე ზარანდია – მესამე კლასი; მეა მარშანია –მეოთხე კლასი; ანანო ბესელია და მარიამ ზარანდია– მესუთე კლასი; ანა ბერიძე – მეექვსე კლასი.

ძალიან ბევრი საქმე გვაქვს ერთად გასაკეთებელი და ჩვენ ამისთვის მზად ვართ!...

საქველმოქმედო კონცერტები

2003 წლის გაზაფხული ძალაში შედიოდა. მაისის ვარდებით აფერადდა ბუნება. სენაკის სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა გადაწყვიტეს სასკოლო ზეიმები და კონცერტები სკოლის შენობიდან გაიტანონ. ამით ეცადნენ გაზაფხულის ზეიმი მთელს ქალაქს მოსდებოდა. ასეთმა ზეიმმა სტარტი პირველ აპრილს ქალაქის პირველი სკოლიდან აიღო.

განსაკუთრებული იყო შვიდი მაისის ღონისძიება. სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა ყურადღების გა-
რეშე არ დატოვეს ინვალიდ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. ამ აქციისათვის მზადება სოლფეჯიოს გაკვეთილებზე, პედაგოგ თამარ გაბუნიას ხელმძღვანელობით, გაზაფხუ-
ლის შემოსვლასთან ერთად დაიწყო. კონცერტში მონაწილე ბავშვები მხოლოდ საკონცერტო ნომრებით არ მისულან ღვ-
თის შვილებთან. სათამაშოებით, ტანსაცმელებით, ნუგბარით ხელდამშვენებულები მივიდნენ პანსიონატში. საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის პედ-
აგოგის, ქალბატონ გულნაზ პაპავას შვილიშვილმა გიორგი ჩაჩავამ, რომელმაც პანსიონატის აღსაზრდელებს საკუთარი სათამაშოები და ტკბილეული უწილადა.

კონცერტში მონაწილეობისათვის შეარჩიეს სკოლის საუკეთესო მოსწავლეები და საკონცერტო ნომრები. უჩვეულო კონ-
ცერტი კლასიკური მუსიკის, სიმღერისა და ცრემლების თანხ-
ლებით ჩატარდა. დარბაზში დამსწრე ინვალიდი ბავშვები აღფრთოვანებასა და სიხარულს მქუხარე ოვაციებით გამოხ-
ატავდნენ.

აღსანიშნავია პანსიონატის აღსაზრდელთა საპასუხო კონცერტი, რომელიც იქვე გამართეს ანსამბლ „დედის ნანას“ წევრმა ბავშვებმა. სამუსიკო სკოლის ბავშვები მათთან ერთად ცეკვით აღამაზებდნენ შემოთავაზებულ საპასუხო კონცერტს. დარბაზში მაყურებლებად დარჩნენ სამუსიკო სკოლის პედ-
აგოგები და ღონისძიების მონაწილე სტუმრები, რომელთაც მთელი ნახევარი საათი თვალებზე ცრემლი არ შემრობიათ.

იყო მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, მაგრამ სილამაზეს ახლდა დარდ-
იანი ცრემლები.

აღბათ ვერ განხორციელდებოდა ღონისძიება, რომ არა ქალბატონი **ინეზა ღვინჯილიას** თანადგომა მხარდაჭერა. საერთოდ, საქველმოქმედო აქციები, როგორც წესი, ადამიანთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

აღნიშნული დღე განსაკუთრებული იყო კონცერტში მონაწი-
ლეებისათვის, რადგან მათ მსგავს ადგილებში კონცერტი არასოდეს ჩაუტარებიათ, მათი მსმენლები ყოველთვის სპე-
ციალისტები და კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემლები არი-

ან. განსაკუთრებულ გარემოს და მსმენლებს უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია პატარა მუსიკოსებზე. შეიძლება ითქვას პირიქით, ისინი გაცილებით თავისუფალნი და გახსნილები იყვნენ ნაწარმოების შესრულებისას და ცდილობდნენ შესაძლებლობის მაქსიმუმი ეჩვენებინათ, რათა გავლენა მოეხდინათ მათგან განსხვავებულ ბავშვებზე. მათს მცდელობას ტყუილად არ ჩაუვლია. შედეგად სტუმარ-მასპინძელთა მშვენიერი, კოლექტიური კონცერტი გამოვიდა.

ლია ღვამბურია.
2003 წელი

სენაკის პატარა მუსიკოსები ქველმოქმედებას ეწევიან

2010 წლის 16 მარტს სენაკის მე-2 საჯარო სკოლასთან შეიქმნა საინიციატივო-საქველმოქმედო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ ნორჩი მუსიკოსები. სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსის, მეუფე შიოს კურთხევით საინიციატივო ჯგუფი კონცერტებზე მიღებულ თანხას სწირავს სენაკის ეპარქიის ტაძრებს. ჩემი, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელის, ინიციატივით პირველი საქველმოქმედო დახმარება გაეწია სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როცა იოანე ნათლისმცემლის ტაძარზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ განსაკუთრებულ მომენტს, რომელსაც ჩვენი თანაქალაქელი **მერაბ ყურაშვილის** სიტყვებით გადმოგცემთ: როცა ადგილი შეირჩა ტაძრისთვის, მოსახლეობამ იმთავითვე მოწიწებით მიიღო ეს იდეა და მოთმინებით ელოდა აღსრულებას, მაგრამ თავდაპირველად საქმე ჭიანჭურდებოდა...

...მეუფე გრიგოლის კურთხევითა და შალვა სანიკიძის ხელმძღვანელობით გაერთიანებული საზოგადოებისა და შალვა სანიკიძის სულიერი მოძღვრის, მამა ნაზარეს, მისი მრევლის, ასევე თბილისში, რუსთავში, რუსეთში მცხოვრები

სენაკელების, იმერელი მშენებლების და ფოთელი ბიზნესმენების დახმარებით წარიმართა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მშენებლობა სენაკის ცენტრში.

შალვა სანიკიძე (2003 წელს ბერად კურთხევის შემდეგ **მამა ამბაკუმი**), რომელიც სულიერი მოძღვრის, მამა ნაზარეს ზეგავლენით იმ პერიოდში უკვე მზად იყო ეკლესიური ცხოვრებისთვის, საბოლოოდ გადაწყვიტა ამ უწმინდესი საქმისთვის მიეძღვნა საკუთარი შესაძლებლობები.

ამგვარად, მამა ნაზარეს ირგვლივ შეიქმნა მორწმუნეთა მტკიცე ბირთვი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა შალვა სანიკიძე.

საქმეც წინ წავიდა.

პირველ რიგში ჩვენ, მისმა მეგობრებმა, მამა ნაზარეს ინიციატივით, დახმარებითა და ლოცვა-კურთხევით დავედით ვაგონი ეკლესიისთვის ნაკურთხ მიწაზე და მოვაწყვეთ პატარა სამლოცველო, სადაც ხალხი მოდიოდა, სანთელს ანთებდა ხატების წინ და ლოცულობდა.

მე მინდა პირველ რიგში ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს ტაძარი ქრისტიანული მიტევების რეალური მაგალითია.

აი, რატომ და როგორ: ყველა სენაკელს ახსოვს ის ტრაგედია, რომელიც 1998 წელს დატრიალდა შალვა სანიკიძის ოჯახში— მისი ვაჟაკი შვილი, **კახა სანიკიძე**, მისმა თანატოლმა დანით გამოასალმა სიცოცხლეს. თავზარდაცემულ მშობელს, შვილის დამკარგავ მზრუნველ მამას, თითქოს საამქვეყნო არაფერი რჩებოდა გარდა შურისძიებისა, მაგრამ მორწმუნე ადამიანმა სძლია ადამიანურ სისუსტეს და ღვთისგან დაგმობილი შურისძიება უარყო — მას მიტევების ღვთიური გზა არჩია ისევე მისივე შვილის სულის საოხად, ხოლო მიტევების უწმინდესი გრძნობა პირველი აგურის სახით მიიტანა ეკლესიის საძირკველზე და ამ გრძნობით იღვაწა მისი მშენებლობის დასრულებამდე.

ყველასთვის გასაგებ ენაზე რომ აეხსნა საკუთარი მოქმედების არსი, ასე განმარტა: „შურისძიება ტკბილია, მაგრამ ამით ღვთის წინაშე ცოდვას ცოდვა ემატება. მე ლაჩარი არ ვარ, მე ჩემს შვილს ვერ შევაწუხებ ზეცაში და ვერც ეკლესიას ავაშენებ სისხლიანი ხელებით... მე მწამს უფლის და მჯერა ის

მართლზომიერად განსჯის ყოველივეს!”...

... როცა შეიტყო მისი შვილის მკვლელის დაპატიმრება, მე მისმო და მითხრა: მერაბ, ვიცი მილიციაში ნაცნობები გყავს და გთხოვ, ის უბედური არ ცემონ, არ აწამონ... მე გაოცებით შევხედე... ის მიმიხვდა და ისევ მტკიცედ გამიმეორა: იჩქარე, გთხოვ!... მას ციხე და ფიზიკური სასჯელი ვერაფერს უშველის. აქედან სამუდამოდ რომ გააძევო, მას არსად არა აქვს სხვა საცხოვრებელი და ჯობია იყოს დედასთან, ის საჭმელს მაინც აჭმევს...

დანარჩენს კი ღმერთი მიხედავს და განსჯის!...

მამა ნაზარე იხსენებს: ამბაკუმის გვერდით დადგა მთელი სასულიერო და საერო საზოგადოება. ეს იყო საოცარი ერთობა ერისა და ბერისა.

ტაძრის საძირკველი აკურთხა საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ.

...ტაძარი გაიხსნა 2001 წლის 22 ოქტომბერს. ამ მოვლენამ ანახა თუ რა ძალას იძენენ ადამიანები, როცა თავიანთ ნებას ღვთის ნებას დაუმორჩილებენ.

ტაძრის მშენებლობა სამნახევარ წელიწადში დასრულდა. ეს იყო პირველი ტაძარი, რომელიც საქართველოში კომუნისტური წყობილების დამხობის შემდეგ აშენდა.

მამა ამბაკუმი გარდაიცვალა 2005 წლის 23 ნოემბერს საგურამოს ილია მართლის სახელობის მონასტერში წირვის დასრულების შემდეგ. დაკრძალულია იმავე მონასტრის ეზოში.

ჯგუფის მოწოდებაა: **„გზა ტაძრისაკენ!”**

შემდეგი ქველმოქმედება მიეძღვნა ჩხოროწყუს დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მშენებლობის დასრულებას.

ჩემი აზრით სიკეთის უგულვებლყოფა გამოგვივა, თუ უყურადღებოდ დავტოვებთ სენაკელი პატარა მუსიკოსების შესახებ ჟურნალისტ თეონა ჯანაშიას მიერ რეგიონალურ გაზეთში იგივე სათაურით გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ვკითხულობთ: „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის დირექციამ ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მე-2 საჯარო სკოლას ჟიული შარტავას პატივისცემის ნიშნად საჩუქრად როიალი „პეტროფი” გადასცა, რაშიც დიდი

წელიწადის მიუხედავად სენაკის საპატრიარქოს მოქალაქესა და ამავე სკოლასთან არსებული მუსიკალური ათწლეულის პედაგოგ ლია ქობალავას.

საკონცერტო როიალმა დიდად გაახარა პატარა მუსიკოსები.

15 აპრილს შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში დებმა შეროზიებმა – 11 წლის მარიამმა და 8 წლის თეკლამ – გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ პირველი სოლო კონცერტი ნაჩუქარ როიალზე და ამით გამოეხატათ დიდი სიყვარული მუსიკისადმი, ქალაქისადმი და მსმენელისადმი. კონცერტის სახელწოდება იყო: „ჩვენ გვიყვარს მუსიკა, ჩვენი ქალაქი, თვითველი თქვენგანი.“

მათი საშემსრულებლო პროგრამა საკმაოდ რთულია. გოგონებმა მსმენელს შესთავაზეს ფალიაშვილის, ცინცადის, ახარაშვილის, თევდორაძის, ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შოპენის, შტრაუსისა და მაიკაპარის რჩეული ნაწარმოებები.

ღარბაზში შეკრებილთათვის დიდი სიურპრიზი იყო მარიამისა და თეკლას დედის– მაკა საიჭინავას გამოჩენა, რომელიც ვიოლინოზე ასრულებდა ნაწარმოებებს შვილების აკომპანიმენტების ფონზე.

უკრავდნენ მოწვეული სტუმრებიც: მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები ანი და ალექსანდრე ჩიქოვანები, მარიამ გოგია, მარიამ ადამია.

კონცერტის დასასრულს შესრულდა კომპოზიტორ ვაჟა ახარაშვილის „სენტიმენტალური ტანგო.“ ლია ქობალავამ დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ დიდი კომპოზიტორი მისი პედაგოგი გახლდათ და იგი პატივისცემითა და სიყვარულით ინახავს თავის არქივში კომპოზიტორის ნაჩუქარ ნოტებს სამახსოვრო წარწერით.

სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი ქეთევან გეგენავა. მან სიგელებით დააჯილდოვა კონცერტში მონაწილე ყველა პატარა მუსიკოსი.

„პატარა პიანისტებმა კიდევ ერთი ღამე და დღე აჩუქეს მსმენელებს. ასრულებოდეთ ყველა ოცნება და პირველ რიგში ესახელებინოთ თავიანთი პედაგოგი და მერე ჩვენი ქალაქი. კიდევ მრავალჯერ მოეწყობთ კონცერტი და დაეპყროთ დიდი სცენაც.“ – კეთილი სურვილები არ დაიშურა შარტავას სახე-

ლობის მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნანა თავართქილაძემ.

„ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით მინდა გამოვხატო დიდი მადლიერება ღია ქობალავას მიმართ იმ დიდი შრომისათვის, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ამ ციცქნა ბავშვებისათვის მუსიკის შეყვარება და ასე წარმატებულად წარმოჩენა.“—გვითხრა სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს დირექტორმა იამზე დგებუაძემ.

კონცერტზე საქართველოს ეროვნული გმირის დის, ცისანა შარტავას კეთილი სურვილები და დიდი სიყვარული გაუღერდა სენაკისა და სენაკელებისადმი.”

თანადგომა რჩეულებს

დრო მიდის. საუკუნეები იცვლებიან, ეპოქები სხვადასხვაობენ, მაგრამ სიმღერა, მელოდია მარადიულად ახლდება და მომხიბვლელს ხდის გრძნობას, განცდას, ემოციას... ამისი ნათელი დადასტურება იყო 2010 წლის 29 აპრილს ჟიული შარტავას სახელობის სენაკის № 2 საჯარო სკოლასთან არსებული სამუსიკო ათწლედის მიერ ჩატარებული საქველმოქმედო ლექცია-კონცერტი „თანადგომა რჩეულებს“ სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საკონცერტო დარბაზში.

დაიწყო კონცერტი და დარბაზი აივსო ჯადოსნური მუსიკის ჰანგებით. კონცერტს უძღვებოდა მუსიკათმცოდნე ქალბატონი ღია ქობალავა.

ერთმანეთის მონაცვლეობით უღერდა **ი. ს. ბახის, ლ. ვ. ბეტხოვენის, პ. ჩაიკოვსკის, ზ. ფალიაშვილის, ო. თაქთაქიშვილის, რ. ლადიძის, ალ. მაჭავარიანის** და სხვათა ნაწარმოებები, არამც თუ ბავშვს, მოზრდილ ადამიანსაც კი მღელვარება შეიპყრობს იმისი წარმოდგენით, რომ აუდიტორიის წინაშე უნდა წარსდგებოდა შეასრულო გენიალური კომპოზიტორების ნაწარმოებები, აჩვენო თავი და გამოამჟღავნო ყველა შესაძლებლობა. უნდა ითქვას რომ **ლიზი ეჯიბიამ, ლიკა თუნთიამ, თეკლა შეროზიამ, ანა სიჭინავამ, მარიამ ადამიამ, მარიამ შეროზიამ, გვანცა**

სახეიშვილმა, ნათია ჩალიგავამ შესაშური შინაგანი სიმტკიცითა და არტისტიზმით შეძლეს მსმენელთან კავშირის დამყარება და მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

აღსანიშნავია, რომ კონცერტში მონაწილეობას ღებულობდა სენაკის მკვიდრი, ქალბატონი ლია ქობალავას აღზრდილი **ირაკლი ჩიქობავა** (ბარიტონი), რომელმაც შეასრულა არიები სხვადასხვა ოპერიდან.

ქალბატონმა ლიამ ასევე აღნიშნა, რომ საქველმოქმედო კონცერტის მხარდაჭერისათვის მადლობას და პატივისცემას იმსახურებენ ბატონი მურად შამათავა, კონცერტმეისტერი მანანა ზარქუა, მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომელი ქალბატონი ბაია ბერიძე. სასურველი იყო კონცერტი მოესმინათ ჩვენი ქალაქის 2010 წლის კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მიუძღვნეს თავიანთი შემოქმედება ნორჩმა ქველმოქმედებმა.

ვინ იცის როგორ წარიმართება ნორჩი მუსიკოსების შემოქმედებითი გზა... დასაწყისი უთუოდ მრავლისმეტყველია. იმედია, ნიჭისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად შემდგომშიც არ მოსცილდებით წარმატებები.

მაია ბერბაია

2010წ.

ქველმოქმედების ეპილოდი

2012 წლის 31 მარტს ჩვენი ქალაქის კლასიკური მუსიკის თაყვანისმცემელთა ერთი ჯგუფი ქ. ქუთაისს ეწვია. ამჯერად ნორჩი მუსიკოსები, მათი მშობლები სტუმრობდნენ დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილის სახლმუზეუმს. როგორც ცნობილია მიმდინარე წელი „ფალიაშვილის წლად“ არის გამოცხადებული. მუზეუმში ჯერ კიდევ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. პატარა სენაკელებმა თავიანთი წვლილი შეწირულობის სახით გაიღეს სახლ-მუზეუმის საკეთილდღეოდ. მუზეუმის დირექტორმა ქალბატონმა

მარინა სულაქველიძემ საინტერესო შეხვედრა მოგვიმზადა. სენაკელებმა დავათვალიერეთ ექსპოზიცია, ზ. ფალიაშვილის პირადი ნივთები, საკრავები. ფილმის „აბესალომ და ეთერის“ ჩვენების შემდეგ სენაკელმა ბავშვებმა მუზეუმის თანამშრომლებს თავიანთი შემოქმედება გააცნეს. ისაუბრეს გენიალურ კომპოზიტორზე, ვირტუალურ სალონში აუღერდა ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა.

ამჯერად საინიციატივო ჯგუფს წარმოადგენდნენ: **ლიზი ეჯიბია, თეკლა და მარიამ შეროზიები, მარიამ გოგია, ანა და ალექსანდრე ჩიქოვანები, მარიამ ზაქარაია, მარიამ ადამია, ანი ქუთელია, თამთა ფიფია, სერგი ძიძავა.** საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მიიღო მომღერალმა **ირაკლი ჩიქობავამ.** მინდა მკითხველებს შევახსენო, რომ ეს იყო მეხუთე საქველმოქმედო შეხვედრა ზემოთ აღნიშნული საინიციატივო ჯგუფისა, რომელიც თავის საქმიანობას ითვლის 2010 წლიდან. ყოველივე დაიწყო მეუფე შიოს ლოცვა-კურთხევით. ჯგუფის შემოქმედების შედეგია ჩვენი ეპარქიის სენაკისა და ჩხოროწყუს ტაძრების მშენებლობის დასახმარებლად ჩატარებული კონცერტები. ყველა ჩატარებულ აქცია-კონცერტებს მხარს აქტიურად უჭერს ხელოვნების სკოლა „ლირა“-ს დირექტორი, ქალბატონი **ლია ქაჩიბაია.** ეს დღე დაუვიწყარი იქნება როგორც სენაკელებისთვის, ასევე ქუთაისელი მასპინძლებისთვისაც, რომლებიც კმაყოფილების და აღტაცების სიტყვებს არ იშურებდნენ ნორჩი მუსიკოსებისათვის.

p.s. მინდა მკითხველებს ვაუწყო, რომ ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია ის გარემოება, რომ ფალიაშვილების მრავალშვილიანი ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი — ლევან ფალიაშვილი, ზაქარია ფალიაშვილის უმცროსი ძმა, ჩემი პედაგოგი იყო.. ამით ვამაყობ! ბატონი ლევანი წლების მანძილზე კითხულობდა ჰარმონიის კურსს ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, იყო მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი.



საქველმოქმედო კონცერტი

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატულ თეატრში 2010 წლის 16 მარტს საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა ე. შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლასთან არსებული სამუსიკო ათწლეულის დირექციისა და პედკოლექტივის ინიციატივით, სენაკისა და ჩხოროწყუს **მთავარეპისკოპოსი მეუფე შიოს** ლოცვა-კურთხევით. კონცერტის სულისჩამდგმელი იყო **მუსიკათმცოდნე ლია ქობალავა**.

აქციას მხარი დაუჭირეს ჩვენი რაიონის სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციებმა: პოლიკლინიკამ (დირექტორი მურმან ბოჯგუა), ბავშვთა საავადმყოფომ (ხელმძღვანელი იამზე დგებუაძე), სამშობიარო სახლის თანამშრომლებმა (ხელმძღვანელი ლიკა ვაბუნია), ქ. სენაკის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა. აქცია-კონცერტის მსვლელობის დროს აქტიურად შემოუერთდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მისაბიშვილი.

შეწირული თანხა მთლიანად მოხმარდება სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის მოხატვის კეთილშობილურ საქმეს. აქცია გრძელდება. ჩვენი ქალაქის რამდენიმე ქუჩის მაცხოვრებელმა გამოთქვა სურვილი მიიღოს მონაწილეობა ტაძრის მოხატვის საქმეში.

თავად კონცერტი მეტად საინტერესო და მაღალი დონის იყო. ძირითადად კლასიკური მუსიკის რეპერტუარი აჟღერდა. თვითოეული მონაწილე უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა თავის საქმეს და აუდიტორიის მაღლიერი განწყობა დარბაზში სიჩუმით, წესრიგით და ხანგრძლივი ტაშით გამოიხატა. რაც ათწლეულის აღზრდილებმა და პატარებმა თავიანთი შემოქმედებით უდაოდ დაიმსახურეს. კონცერტს ესწრებოდნენ: **მეუფე შიო**, მამაოები: **ნაზარე, ალექსი, დავითი**. სენაკისა და ჩხოროწყუს მთავარეპისკოპოსმა მეუფე შიომ უმაღლესი შეფასება მისცა კონცერტს, სამახსოვრო ხატები გადასცა შემსრულებლებს, დალოცა აღსაზრდელები და

დარბაზში მყოფი თვითეული მსმენელი.

მეუფეს სიტყვები:

„უპრეცედენტო შემთხვევაა ეს კონცერტი. კარგ კონცერტს ველოდებოდი, მაგრამ მოსმენილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასეთი დონის კონცერტის მოსმენამ დიდი სიხარული და სიამოვნება მოგვანიჭა.“

ყველა მონაწილე განუმეორებელი იყო, მაგრამ ათწლეულის კურსდამთავრებულების—**ირაკლი ჩიქობავას** (ბარიტონი) და **ირაკლი გელენავას** (ფორტეპიანო, სალამური) საშემსრულებლო ხელოვნებამ დაუფიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

სენაკის ჟ. შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლასთან არსებული სამუსიკო ათწლედი ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა 1958 წლიდან. მუსიკალური განათლების ეს კერა გარკვეულ როლს ასრულებს რაიონისა და საჯარო სკოლის კულტურულ ცხოვრებაში. ათწლეულის აღსაზრდელები ხშირად ხვდებიან თავიანთ თანატოლებს შემოქმედებითი ანგარიშით. ტარდება გამორჩეულ მოსწავლეთა სოლო კონცერტები. 2008 წელს საზეიმოდ აღინიშნა ათწლეულის დაარსებიდან 50 წლისთავი. იმავე წელს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა №2 საჯარო სკოლას სამუსიკო ათწლეულის მოსწავლეებისათვის გადასცა როიალი „პეტროფი“. სამუსიკო ათწლეულის მუდმივად თანამშრომლობენ მისი კურსდამთავრებულები. 2010 წლის საქველმოქმედო კონცერტი პირველია ათწლეულის ისტორიაში. დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი იმედს იტოვებენ, რომ ასეთი შეხვედრები მრავალ სენაკელს აზიარებს მუსიკალური ხელოვნების სიღიადესა და სილამაზეს.

გაზეთი „კოლხეთი“



„რაოდენი უყავით ამას

მცირეთაბანსა, იგი მე მიყავით.“

„ველოდებოდი რომ კარგი კონცერტი ჩატარდებოდა, მაგრამ ასეთ დონეს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.“–
მეუფე შიო

კონცერტი. კონცერტი საქველმოქმედო, ტარდებოდა სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 16 მირკანისას 2010 წლისა.

(კურთხევითა ვისისა? – ლოცვა-კურთხევითა სენაკისა და ჩხოროწყუს მთავარეპისკოპოსისა მეუფე შიოსი).

უჩვეულოდ არაჩვეულებრივ-საკვირველი იყო დღე ეგე: ყოვლადმიუხედავი კედლები თეატრისა. კედლები ნესტიანი. სცენა, სადაც გუბები დამდგარა წვიმის ჩამონაწვეთთაგან. ყავლგასული, მშვენებადაკარგული, გახუნებული ფარდები, მოძველებული დგამ-ავეჯი, ლოჟა თუ კარები... არარა ბრწყინვალეა ფიზიკური გარდა სულმნათი დიმიტრი ბარქაიას კოლხურ-ბერძნულ-რომაულ პერსონაჟთაგან გადმომდინარე მშვენიერებისა, მაგრამ დღე ეგე, სწორედაც საოცარ კამკამებასა და ამადლება-აწვენილობას აფრქვევდა მიზეზთა მრავალთა გამო. კერძოდ: პირველყოვლისა, სადამო ეგე მუსიკალური ქველმოქმედების დიადმა სურვილმა შვა და ეძღვნებოდა იგი იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძრის მოხატულობისათვის საჭირო სახსრის პირველშეწირულობას.

მიზეზი მეორე: დარბაზს ტონს აძლევდნენ ღვაწლმოსილი საეკლესიო პიროვნებები.

მიზეზი მესამე: დარბაზი შეიცავდა ყველა თაობას. მაგრამ ყველაზე ჭარბად კი იყვნენ სწორედ ისინი, რომელთაც ჯერ არს ისწავლონ უანგარო ქმედება საზოგადოებრივ-საქვეყნო საქმისათვის და მათ ერქვა ახალგაზრდობა სენაკისა, ახალგაზრდობა საქართველოსი. მთავარი კი სწორედაც ის იყო, რომ დარბაზში შემთხვევით მოსულნი კი არ იყვნენ, არამედ საზოგადოების ყველა ნაწილი, ოღონდაც მუსიკის, ქველმოქმედებისა და, საერთოდ, ყოველი წმინ-

და-ღვთაებრივი საქმის დამფასებელი.

დიდება, უფალო შენდა, რომ ადამიანთ ძალუბთ სიყვარული ყოვლის წრფელისა და ღვთაებრივად ამაღლებულისა.

საღამო გახსნა ქალაქის №2 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელმა ლიკა ფაჩულიამ. ყოვლადგაწონასწორებულმა ყველა საჭირო კრიტერიუმით, დარბაზში დააწკრიალა ღვთაებრივი აზრები:

„იღვიძებდით უკვე...“

„... რამეთუ მშობდა და მეცით მე ჭამადი, რამეთუ მწყუროდა და მასუთ მე...“

სიტყვებს უფლისეულს საგალობლით მიეგება ქალბატონი ნანა ტყებუჩავას რუდუნებით დაფუძნებული მგალობელთა (მეორე საჯარო სკოლის მეცხრეკლასელთა) გუნდი. ისმოდა საგალობელი და იფრქვეოდა უფლისადმი მიძღვნილი ჰანგები.

დარბაზი აღემაღლებოდა კონფერანსიე ლიკა ფაჩულიასგან აღმომდინარე სიბრძნითა უფლისეულითა: „რაოდენ უყავთ მცირეთაგანსა, იგი მე მიყავთ!“

და ასე: გიყვარდეთ მტერი თქვენი ვითარცა თავი თქვენი...

და... შესავალი დაასრულა მგალობელთა ჰანგებმა, მიძღვნილმა უფლისადმი: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“

ამ ღვთიურად პოეტურ-მუსიკალური, შესავლით გაიხსნა თავისი მიზნით ფრიად ამაღლებული საღამო №2 საჯარო სკოლასთან არსებულ სამუსიკო ათწლედისა. სამუსიკო ათწლედის ამაგდარმა მოღვაწემ, ქალბატონმა **ლია ქაჩიბაიამ**, კიდევ ერთხელ წარუდგინა საზოგადოებას ის სასწავლებელი, რომელმაც თავისი არსებობის ნახევარ საუკუნეს გადააჭარბა. აღნიშნა ის ღვაწლი, რაც ამ სკოლამ დასდო სენაკელთ და, ამდენად, საქართველოს მუსიკალურ-ესთეტიკური სულიერების დახვეწას.

ჯერი მიღმა საქველმოქმედო საღამოს იდუის ავტორზე, ქალბატონ **ლია ქობლავაზე**. დარბაზი, რომელიც დიდი სულიერებით ელოდა მის ხილვას, მოწიწებით შეეგება ქალბატონს. იცოდა დარბაზმა, რომ სცენაზე დაისადგურებდა

უჩვეულო სიმშვიდე, გაწონასწორებულობა, სტილის დახვეწილობა, არა-მოჩვენებითობა, არა-ფარსი, არამედ ჭკმშიარტი სიმაღლე შემსრულებელთა და... და... წელთა მრავალთა რუდუნება, რამაც „შვა“ ისეთი ადამიანები, როგორიც არიან: **ბატონი ირაკლი ჩიქობავა, ბატონი ირაკლი გელენავა, ლიზი ეჯიბია, მარი შეროზია, მარი ადამია, ნათია სანიკიძე, თეკლა შეროზია, ლიკა თუნთია, გვანცა სახეიშვილი, ნათია ჩალიგავა, ნინო ჩიქობავა.**

ბატონი ირაკლი ჩიქობავა ბარიტონია. იგი სენაკის მკვიდრი—ქალბატონი ლიას აღზრდილი, რომელიც თბილისში განაგრძობდა სწავლას, მაგრამ არ ეძინა ბოროტს, ქვეყანაც ნგრევის ქაოსში იძირებოდა და ირაკლი ეწვია პეტერბურგს, სადაც არანაკლებ ინგრეოდა ყოველი და... ისევ ადგილის დედას მოაშურა, თუმცა ქვეყანა დღემდისაც არ დაინტერესებულა თავისი საოცარი შვილით. ირაკლის გული კი ისევ ანთია ცეცხლით მოგიზგიზედ, რათა ხმითა თავისითა ჩუქურთმა მოავლოს თავისი ქვეყნის ბედნიერებას, მაგრამ ვინაა გამკითხავი?!... და მაინც, დიდი არს უფალი, რომელიც სიკეთეს მისეულს სიმღერით აღმოათქმევინებს ამ ახალგაზრდა კაცს და... თავის პაწია ნინიკოსთან ერთად ამღერებს ნ. გაბუნias „**მაინც მიყვარხარ!**“ და... იფრქვეოდა მისი გამორჩეული ბარიტონი იმ უკვე ტილოდგამოსაყენებელი ფარდებისა და ნესტიანი კედელ-სცენის წინაშე, რათა ძალა შემოქმედებითი, ბოძებული ღვთით, წარმოეჩინა მისი მომლოდინე ხალხის წინაშე.

მქუხარე ოვაციებით აჯილდოებდა მას დარბაზი... სიყვარულს უდასტურებდა თავის მიუხედავ შვილს. ეგეც არ ყოფილა საკმაო: სცენაზე გამოვიდა №2 საჯარო სკოლის აღზრდილი, ქალბატონი ლიას ნამოწაფარი, მრავალი სოლო-კონცერტის ავტორი, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, ფორტეპიანოზე, ფანდურზე, ვიოლინოზე, სალამურსა და დოლზე დამკვრელი მუსიკოსი ირაკლი გელენავა (ოცნებობს დაეუფლოს ყველა სახის საკრავს). იგი გაწონასწორებული ქუსტით ანთებდა ცეცხლს სცენასა და დარბაზში: დუღდა მუსიკოსი, შემოქმედი, იმპროვიზატორი და დიდი გო-

ნიერებით გაბრწყინებული ახალგაზრდა კაცი და დარბაზი მქუსარე ტაშით აჯილდოებდა მას.

სიცივეში სიცივესაც ვერ გრძნობდნენ 3,7,8 წლის შემსრულებლები. მღეროდნენ, უკრავდნენ, ცეკვავდნენ და ბედნიერი იყო დარბაზი და ბრწყინდებოდა მომავალი ქვეყნისა, ამად ბრძანა ღრმად პატივცემულმა მეუფემ: „მე ისე ვვლავდი, რომ ვერ გადმოვცემთ მას სიტყვებით. ველოდი რომ კარგი კონცერტი ჩატარდებოდა, მაგრამ ასეთ დონეს, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი...“

კონცერტში მონაწილეობდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლიდანი“-ხელმძღვანელები: **ნონა ჯანაშია, იმელო თუნია**, . აქტიურად უჭერდნენ მხარს სამუსიკო ათწლეულის პედაგოგები: **ლია ლეთორდიანი, დარეჯან კაჭარავა, ნინო სერგია**, მეორე საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგები, მოსწავლეები, კონცერტმეისტერი **მარინე ბერიშვილი**, ქალბატონი **ლალი გოგია**, სამუსიკო ათწლეულის მოსწავლეთა მშობლები.

მეუფე შიომ და მამაოებმა: **ნაზარემ, ალექსიმ, დავითმა**, აქცია-კონცერტის მონაწილენი შეიტკბეს და გაახარეს: მადლობა გადაუხადეს თითოეულ შემსრულებელს, ორგანიზატორს, ქალბატონ ლია ქობალავას, თითოეულ შემომწირველს, №2 საჯარო სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლეთა მშობლებს, რომელთაც სათავე დაუდეს სენაკის საკათედრო ტაძრის მოსახატად საჭირო თანხის პირველ შემოწირულობას.

დარბაზის კმაყოფილება-ზეაწეულობას გამოხატავდნენ სიტყვით გამოსულნი: **თეა ფუტყარაია**, (მეორე საჯარო სკოლა), **თენგიზ თოფურაძე** (თეატრის მმართველი).

ქველმოქმედებით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ტაძრის მოსახატი თანხის ქვაკუთხედად, შემოწირულ იქნა 1633 ლარი და 75 თეთრი, რაც იმ დღესვე გადაეცა ტაძარს. იქვე აღინიშნა, რომ ქველმოქმედება გაგრძელდება.

ლუარა ჯიქია

ტაძარი აშენდა ზეცაში!...

„დღეს, 2010 წლის 16 ივნისს, ჩხოროწყუში აშენდა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი“—ამ სიტყვებით დაასრულა საქველმოქმედო კონცერტის ინიციატორისა და მონაწილეებისადმი სამადლობელი სიტყვა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე შიომ და მისთვის დამახასიათებელი ღვთიური მადლით სავსე ღმიძლით დაამატა: „ტაძარი აშენდა ზეცაში!“

... დიახ, იმ დღეს, 2010 წლის 16 ივნისს, მართლაც აშენდა ტაძარი. ის აშენდა ზეცაში და იქ დამსწრე საზოგადოების სულში. ტაძარს ერქვა რწმენა, ერქვა ღვთისადმი სიყვარული და მოწიწება. ის გამოძახილი იყო იმ დიდი სურვილის, რომელიც ქვეცნობიერად ცოცხლობს თვითეული ადამიანის სულში: ბოლოსდაბოლოს დადგეს ქვეყანაში გამეფებული ბოროტებისა და შურის სიყვარულით, ურთიერთ თანადგომით ძღვეის უამი. ეს კი მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ ღვთის ნებით, მისი მადლით. ღვთის მადლს კი მოპოვება უნდა. უფალი მადლს მხოლოდ სიკეთისათვის გასცემს.

იმ დღეს ჩხოროწყუს კულტურის ცენტრის საკონცერტო დარბაზში ღვთის მადლის საოცრად აღმამფრენი სურნელი ტრიალებდა, რამეთუ ყველა გულწრფელად ცდილობდა შემოწირულობის სახით გაეღო ის სიკეთე, რისი შემძლებელიც იყო. აშკარა იყო ყველას სურდა მის სახელზე თუნდაც ერთი პაწია აგური ჩაშენებულიყო მშენებარე ტაძრის წმინდა კედლებში.

ჩხოროწყუს რაიონში კომუნისტების რეჟიმის პერიოდში არათუ ტაძარი, პატარა სამლოცველოც არ არსებობდა.

წარმოშობით როგორც ჩხოროწყუელს, სუბიექტურ მიკერძობაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი რომ ჩხოროწყუს რაიონი ერთ-ერთი გამორჩეული იყო და არის გულთბილი, სტუმართმოყვარე, უღალატო ადამიანებით. ასეთი სახის გამორჩეულობას კი ერთადერთი რამ ქმნის: ღვთისადმი რწმენა და მოწიწება.

მე მახსოვს, ჩემი მეზობლები წელიწადში ერთხელ მაინც

ახერხებდნენ ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წასულიყვნენ სალოცავად. 17 წლისა ვიყავი, როცა საშუალება მომეცა მეც გავყოლოდი მათ. იმ დღეს პირველად ვნახე მოქმედი ეკლესია, პირველად დავესწარი წირვას, პირველად დავანთე ხატის წინ სანთელი... იმ წუთების ნეტარება დღესაც მახსოვს.

დღეს კი ჩემს მშობლიურ სოფელში, ულამაზეს მთიან მუხურში, საკუთარი სალოცავი აქვთ და იქ დედები ჩვილ ბავშვებს ამთავითვე აზიარებენ ღვთის მადლს. ეს დიდი ბედნიერებაა და მადლობა მეუფე შიოს ამ ბედნიერების მონიჭებისთვის. მადლობა იმისთვის, რომ ასე ეხმიანება ჩხოროწყუელების გულის ძახილს.

სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჯერ კიდევ 1988 წელს აკურთხა ადგილი, სადაც უნდა აშენებულიყო ტაძარი. 1988 წელს რაიონში ჩამობრძანდა მამა დავითი, რომელმაც დიდი ამაგი გასწია საზოგადოების სულიერი აღორძინების საქმეში. იმ დროს შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანოზაცია „ნერჩი“ მაცხოვრის მირქმის სახელობის ეკლესიის ასაშენებლად.

უფალმა შეისმინა ჩხოროწყუელების დიდი მონდომება და 20 წლის შემდეგ, 2008 წლის სექტემბერში, მეუფე შიოს ძალისხმევით, კეთილი ადამიანების შეწევნით საძირკელი ჩაყარა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარს.

ცხადია, ღვთის ნება იყო იმდღევანდელი საქველმოქმედო კონცერტის დაგეგმვაც. კონცერტის ინიციატორი და ხელმძღვანელი გახლდათ სენაკის №2 საჯარო სკოლასთან არსებული სამუსიკო ათწლედის პედაგოგი, მუსიკათმცოდნე **ქალბატონი ღია ქობალავა**, რომელსაც სათანადო დახმარება და მხარდაჭერა გაუწია ათწლედის დირექტორმა **ქალბატონმა ღია ქაჩიბაიამ**.

კონცერტში მონაწილეობდნენ სამუსიკო ათწლედის მოსწავლეები: **ღიზი ეჯიბია, ნორა აშორტია, რამაზ კარტოზია, ღიკა თუნთია, ნატა შალამბერიძე, თამთა ჯაიანი, მანანა ღოღობერიძე, თეკლა და მარიამ შეროზიები, მარიამ**

მამულია, ემზარ ბებია, მელანო ჯღამაძე, ანი ლაშქარავა, თამარ ახალაია, მარიამ ჭიჭინაძე, პედაგოგები: ლია ქაჩიბაია, ლია ქობალავა, ნინო სერგია, ლია ლეთორდიანი, სენაკის №2 საჯარო სკოლასთან არსებული მგალობელთა ანსამბლი (ხელმძღვანელი ნანა ტყებუჩავა), მომღერლები: ნათია ხუბუა, ლანა შამათავა, გვანცა სახეიშვილი, ბაჩანა სიჭინავა, ჩხოროწყუს კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ბორჯი“, კონცერტმეისტერები: მანანა ზარქუა, ნინო სერგია, მხატვრული კითხვა: ლიკა ფაჩულია, კონცერტის წამყვანი გახლდათ ქალბატონი ლია ქობალავა.

ცოტა მოგვიანებით კი ქალბატონი ლია ქობალავას ჩანაწერების ალბომში ვკითხულობთ მეუფე შიოს მიერ ხელმოწერილ ტექსტს: „თქვენს მიერ ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტები სენაკის საკათედრო ტაძრის მოხატვისა და ჩხოროწყუს საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის შემოწირულობათა შეგროვების მიზნით, დაუფიწყარი და მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც ეპარქიის ისტორიაში, ასევე მთელი ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაში. დიდი მადლობა ასეთი თანადგომისათვის! ღმერთმა შეიწიროს თქვენი ღვაწლი!”

აღნიშნული კონცერტი სენაკის №2 საჯარო სკოლასთან არსებული სამუსიკო ათწლეულის რიგით მესამე საქველმოქმედო კონცერტი გახლდათ და, მართლაც, რომ ამოდ არ დამშვრალან და თავიანთი ძალებით შეძლეს საკმაო თანხით შევსებულიყო შემოწირულობათა ნუსხა.

გამჭვირვალობისათვის (რაც ტაძრის მშენებლობის ფინანსური მენეჯერის, ბატონ თამაზ ნაჭყებუას სურვილიცაა) საჭიროდ იქნა მიჩნეული შემოწირული თანხის საჯაროდ დასახელება:

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ შელია— 700 ლარი; ჩხოროწყუს სამუსიკო სკოლა—100 ლარი; განათლების ცენტრი—100 ლარი; კულტურის ცენტრი—60 ლარი; სასპორტო სკოლა—100 ლარი; რესურსცენტრი— 612 ლარი და 50 თეთრი; შემოწირულობათა ყულაბაში აღმოჩნდა 91 ლარი და 50 თეთრი.

გარდა ფულადი შემოწირულობისა, გაკეთდა განაცხადი სამშენებლო მასალით დახმარებაზე: ბიზნესმენი თორნიკე გულუა— ტაძრის სახურავი (2000 დოლარის ღირებულების); ინდმეწარმე გია როდონაია—ორი ტონა ცემენტი; სამშენებლო ფირმა „სანი“—ხუთი ტონა ცემენტი. ამ წერილის ავტორმა კი მშენებარე ტაძარს შევწირე ამაღლების ხატი (შესრულებული ზუგდიდელი მხატვრის, ხატმწერი ელგუჯა გოგონიას მიერ).

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ჩხოროწყუს რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ლია ჯალაღონიამ.

კონცერტის დასასრულს ქალბატონმა ლია ქობალავამ სიურპრიზის სახით გაახმოვანა კიდევ ერთი მადლიანი ჩანაფიქრი: სენაკში შენდება წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის სკოლა-გიმნაზია, რომელიც 2010-2011 სასწავლო წელს დაიწყებს ფუნქციონირებას. სენაკის №2 საჯარო სკოლასთან არსებული სამუსიკო ათწლედის მოსწავლეები ქალბატონი ლია ქობალავას ხელმძღვანელობით აქედანვე ემზადებიან მორიგი საქველმოქმედო კონცერტისათვის. იგი მიეძღვნება სასულიერო სკოლა-გიმნაზიის გახსნას. შემოწირული თანხით კი გიმნაზიას შეუძენენ როიალს. ამ სასიამოვნო განაცხადზე მეუფე შიომ გულდია მადლიერებით უპასუხა: „ჩვენ პიანინოსაც დაფუძრებით.“

ღარბაზმა ოვაციით აღნიშნა ეს ფაქტი.

მადლიერების, სულიერი აღმაფრენის, სიყვარულის, არდაჩოქების, ხვალისდელი დღის იმედის, რწმენის საოცარი შეგრძნება ჩანდა თითოეული იქ მყოფის თვალებში და ძნელი იყო გაგერკვია ვინ ვის აჩუქა ეს საოცარი, უღამაზესი შეგრძნება. ჩემი აზრით, ყველამ ერთმანეთს ვაჩუქეთ, ქვეცნობიერად სწორედ ამისთვის შევიკრიბეთ აქ.

და მაინც, როგორც საქველმოქმედო კონცერტის ინიციატორი და ხელმძღვანელი, ქალბატონი ლია ქობალავა ამბობს: ის ლამაზი დღე ისე ლამაზად ვერ შედგებოდა, რომ არა მეუფე შიოს კურთხევა, სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეების—ბატონ ხვინა ნარმანიას და ბატონ ანატოლ ლემონჯავას, ჩხოროწყ-

უს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი შახი სიჭინავას თანადგომა და სათანადო დახმარება.

**მადლობა ყველას, რომ არსებობთ და ასე კარგები ხართ!
უფალმა გაგაძლიეროთ!
ინარეთ მრავალჯამიერ!**

ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია
ჟურნალისტი. სენაკის იოანე ნათლისმცემლის
საკათედრო ტაძრის მრევლი.

ძვირფასო სენაკელებო, შემოგვიერთდით!
ქვემოქმედება ჩვენი საქმიანობის შინაარსი
ანუ
ჯაბა ბოჯბუას დასახმარებლად!

მუსიკა და ქველმოქმედება 2010 წლიდან სენაკის მოსწავლეთა და პედაგოგთა ერთი ჯგუფი გაერთიანდა და მიზნად დაისახა თავისი შემოქმედებით უფრო საინტერესო და სასარგებლო გახადოს ყოველდღიურობა. 2015 წლის 25 აპრილს სენაკის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა მე-6 საქველმოქმედო აქცია-კონცერტი. იმ დღეს შეკრებილთა და მონაწილეთა მიზანი გახლდათ თანადგომა დიტო ცინცაძის სახელობის ფონდისა და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ სენაკის მკვიდრის, **მომღერალ ჯაბა ბოჯბუასადმი.**

ამჯერად აქციაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: **ლიზი გაბელია, ანანო ბესელია, ნინო ჩიქოვაგა, მარიამ ზარანდია, მება მარშანია, დავით ნაჭყებია, ქრისტინე ნინუა, ანა სიჭინავა, თეკლა შეროზია, გოგა და გრეტა ჩარჩხალიები.** სადამო მიჰყავდათ მარიამ ადამიას და თეკლა შეროზიას. საინიციატივო ჯგუფის საქმიანობა დაიწყო **მეუფე შიოს ლოცვა-კურთხევით.** პირველი კონცერტი ჩატარდა ა. ხორავას სახელობის

თეატრის სცენაზე. შემოწირული თანხა მოხმარდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის სამუშაოებს. შემდეგი შეხვედრა-კონცერტი ჩატარდა ჩხოროწყუს დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მშენებლობის მხარდასაჭერად.

ქ. ქუთაისში ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარებული შეხვედრაც საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა (მუზეუმში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა). ასევე გაიმართა 2 აქცია-კონცერტი ნიჭიერი მომღერლის **ირაკლი ჩიქობავას** (ბარიტონი) მხარდასაჭერად.

25 აპრილის აქცია კი განსხვავებული, ემოციური გახლდათ. ახალგაზრდა შემსრულებლები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს. ეს აქცია ხომ სიცოცხლის გადასარჩენად ტარდებოდა. ყველაზე ამადლებული მომენტი კი ჯაბა ბოჯგუას დედასთან, ქალბატონ მანანასთან ჩართვა იყო. უკვე მერვე წელი იყო რაც კომაში მყოფი შვილის გადასარჩენად ძალ-ღონეს არ იშურებდა დედა. მან მადლობის სიტყვები არ დაიშურა ჩვენთვის.

მრავალრიცხოვან აუდიტორიას შემოუერთდნენ ექიმები.

პირველი ზარები ორგანიზატორმა ღია ქობალავამ განახორციელა. სოფელი ეკიდან შემოგვიერთდნენ ქალბატონები **ნანა აღლანია და ელისო ხარბედია**, რომელნიც იქ იმყოფებოდნენ სამსახურებრივი მისიით. საკრებულოს თანამშრომლების მხარდაჭერა გამოსატა ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **ინეზა ღვინჯილიამ**.

როგორც ყოველთვის, აქტიურად შემოგვიერთდა ქალაქის სამედიცინო საზოგადოება. ჩვენს მარათონს შემოუერთდნენ: შპს სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივი (დირექტორი **მურმან ბოჯგუა**). შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკის კოლექტივი (დირექტორი **იამზე დგებუაძე**).

ღაფანდა ხურცილავა.

2015 წ.

გაზეთი „თავისუფლების მრწამსით“

დასკვნის სახით):

დასავლეთ საქართველოში პირველი სამრეწველო ობიექტი გახლდათ სენაკის აგურის ქარხანა, რომელიც სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად თბილისიდან მოვლინებული დომენტი ქობლავას ხელმძღვანელობით აშენდა. იქ წარმოებული აგურებით კი აიგო მრავალი შენობა-ნაგებობა მთელს რეგიონში. მამას აქ დახვდა ოდა-სახლების სენაკი და დატოვა მოწითალო აგურის სახლებით დამშენებული ქალაქი.

ამ მხრივ დღეს სულ სხვაა სამეგრელო: სამშენებლო კომპანიები, ტენდერები, ინვესტორები.

ძალიან განვიცდი, როცა ვიგებ რომ დაუდევრობის მიზეზით ადამიანები იღუპებიან მშენებლობებზე. მამას პრაქტიკიდან არ მახსენდება არც ერთი ტრაგიკული შემთხვევა. განვიცდი, როცა ვხედავ მიტოვებულ, დამწვარ-დანგრეულ შენობა-ნაგებობებს. მინდა ჩემი ქალაქი იყოს ყველაზე ლამაზი და მიმზიდველი.

1927 წელს სენაკში დაარსდა სამუსიკო სკოლა, რომელმაც თავდაპირველად ფუნქციონირება დაიწყო ჯორჯიაშილის ქუჩაზე ექიმ ხოფერიას სახლში. სენაკში მუსიკის მასწავლებლად თბილისიდან მოავლინეს ახალგაზრდა, განათლებული პიროვნება, **ქალბატონი მინადორა კიენაძე**. 1984 წელს სენაკის სამუსიკო სკოლას გადაეცა სამსართულიანი შენობა ორმოცამდე საკლასო ოთახით და ორი საკონცერტო დარბაზით. მე ჩემი ცხოვრების 34 წელი პასუხს ვაგებდი სენაკელი ახალგაზრდების მუსიკალურ განათლებაზე. ამ პერიოდის განმავლობაში 2 000-მდე ახალგაზრდას დაუვლოცე გზა. სკოლის მშენებლობა ხომ თავიდანვე ჩემი იდეა იყო, რაც განხორციელდა არაჩვეულებრივი ხელმძღვანელების პერიოდში და რაც არაერთხელ გავაშუქე პრესაში.

დაუვიწყარი საღონური სადამოები ჩავატარეთ 2013, 2015, 2016 წლებში კომპოზიტორ ვაჟა აზარაშილთან, სენაკელ ნიჭიერ ქალბატონებთან – გრიალა რობაქიძესთან და ქეთევან ლატარიასთან, პოეტ ვასილ ბესელიასთან, ექიმ დამირ ზარანდიასთან. ამ შეხვედრებს ვატარებდით მუსიკალურ საღონში, სადაც მუდამ მშვიდი და საქმიანი ატმოსფერო სუფევს.

როგორც აღვნიშნეთ, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება ჩვენი კუთხის აღმშენებლობის პერიოდი.

ვამაყოლები ჩემი მშობლებით. მეც ჩემი კუთხით არაფერი არ დამიკლია ჩემი ქალაქისთვის. მაქვს მიღებული საქართველოს ორი პრეზიდენტის მადლობის ბარათები. მკითხველს ვთავაზობ ამონარიდებს ამ ბარათებიდან: „სამშობლოსა და ერის სადიდებად გაწეული თავდადებული, მამულიშვილური შრომისათვის, ბოლო წლებში შექმნილი სიძნელეების მიუხედავად თქვენი ხელმძღვანელობით სენაკის სამუსიკო სკოლას სასწავლო პროცესი არ შეუჩერებია. ამასთან, აქტიურად ეწეოდით პედაგოგიურ, შემოქმედებით და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას...

მრავალი წლის მანძილზე თქვენ დაუღალავად ემსახურეთ ჩვენს სამშობლოს, რისთვისაც მინდა გულისთადი მადლობა გადაგიხადოთ. ათასობით ჩვენს თანამემამულესთან ერთად, რომლებიც მუშაობდნენ სკოლებსა თუ ბიბლიოთეკებში... თქვენ ქმნიდით იმას, რაც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია – თანაბედროვე საქართველოს!”

2002 წლიდან ვარ სენაკის საპატიო მოქალაქე. 34 წლის განმავლობაში მიღებული მაქვს ყველა მინისტრის მადლობა.

ყოველივე ამის ფონზე ღიმილის მომგვრელია ათამდე თანამოქალაქის მცდელობა ჩემი სახელის დისკრედიტაციისათვის... ამისთვის რა არ მოიმოქმედეს... იყო ცილისწამება, ქრთამის მოცემის მცდელობა, შენობის დაზიანება, ფიზიკური ძალადობა, არშემდგარი ჩინოვნიკების მხრიდან დევნა, რეპლიკები, საყვედურები: „ფულს მაინც არ აკეთებ და რად გინდა დირექტორობა... მიეცი საშუალება იმუშუაოს სხვაში!..”

არასოდეს მქონია ამბიციის, რომ აუცილებლად უნდა მქონოდა თანამდებობა. პირიქით, გაცილებით მეტს გავაკეთებდი თავისუფალი დრო რომ მქონოდა. იყო შემთავაზებები თბილისიდან, ფოთიდან, აჭარიდან, მაგრამ არ დავტოვე ჩემი ქალაქი, ჩემი მშობლების საფლავები. ბოლომდე აქ დავრჩი და არც ვნანობ!..

როგორც აღვნიშნე, დედაჩემი გურული იყო, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურებიდან. იქ გავატარე ბავშვობა და გურული იუმორი სწორედ იქ შევიყვარე. დასასრულს მინდა მკითხველს შევთავაზო გურული შეფასება 2006 წლის ანონიმურ წერილზე, რომელიც ჩემს წინააღმდეგ საჩივრის სახით გაიგზავნა კულტურის სამინისტროში გოკა გაბაშვილის სახელზე. ანონიმური წერილის ბოლო გვერდზე ხელის მომწერად წერია **სამუსიკო სკოლის პედაგოგები** – გვარ-სახელი არაა ჩამოთვლილი. თუმცა არც იყო საჭირო–„აქტივისტებს” ისედაც იცნობს მთელი ქალაქი.

დედაჩემს რომ წაეკითხა ეს ანონიმური „შედეგრი,” ასე იტყოდა: „მოი, ნენა, აქ!... რა წერია იმ ოხერ წერილში იმფერი, რომ ასე ნერვიულობ?... კი, მაგრამ აი მოპარვა ვინ გასწავლა? მამაშენს ერთი ცალი აგური არ მოუტანია სახლში. მე ინჟინრობას თავი დავანებე, რომ შვილები გამეზარდა და შენ მომჭერი თავი? სად წვილე ის დასაწვავი ფარდები და ტელევიზორი?.. რავა გაგიმწარებია მაი ქალები, რომ საფინანსო პოლიციას ნატრობენ?!... ხომ გეუბნებოდი, ცა, მაგნებისგან თავი შორს დეიჭირე-მეთქი, მაგრამ შენ არ გეყურებოდა ჩემი ნათქვამი. ახლა უყარე კეკალი... დაჯეი მანდ და იკითხე მათი ნაჯღაბნი!..

ბებიჩემი **მინაღორა ქორიძე** კი ასე დამამშვიდებდა: „მოი, ბებია, ჩემთან! არ იტირო, სატირლად მაგ უდღეურებს აქვთ საქმე ამდენი ქაღალდი რომ გოუფუჭებიათ... საიდან მოიტანეს ამდენი ტყუილი, დეექცაოთ კერიე... მაი ქალების უნდა გეშინოდეს, ბებია!... აგენი ყოლიფერზე წავლენ... ამიტომ პოლიციამ შენ უნდა დაგიცვას, ნენა!...”

მეგრელი ბებია **ირინე უჩანეიშვილი**, არც წაიკითხავდა იმ „შედეგრს” და მხოლოდ გამოსედვით მიმახვედრებდა, რომ დროს ტყუილად ვკარგავ.

მამა იმ **აბლაუბდას** წაიკითხავდა, მაგრამ მხოლოდ გაიცინებდა, უკომენტაროდ დატოვებდა ყოველივეს.

მახსოვს, მამასთვის მოუშუშებელ იარაღ რჩებოდა 1937 წელი. პირადად ჩემთვის არასოდეს მოუყოლია ეს ამბავი, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ მამა მეგობრობდა ცნობილ ექიმ გივი ღვინჯილიას მამასთან, ბატონ გრიგოლ ღვინჯილიასთან. მეგობრობა იმდენად მყარი იყო რომ მათ გადაწყვიტეს საცხოვრებელი სახლიც ერთად აეშენებინათ. მართლაც ერთი სახურავი ქონდა და ახლაც ასე აქვს მათს საცხოვრებლებს.

ყველამ იცის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში რა სახით შევიდა 1937 წელი... ბატონ გრიგოლ (გრიშა) ღვინჯილიას ტროცკისტობა დააბრალებს...

მამამ შემდგომ სანდო წყაროსგან შეიტყო, რომ ყოფილა ასეთი საუბარი: „თუ ღვინჯილია ტროცკისტია, დომენტი ქობალავაც (როგორც მისი უახლოესი მეგობარი) ტროცკისტი იქნებაო და ამასაც მივხედავთო”...

მამა პოლიტიკაში არასოდეს ერეოდა. იყო თვალსაჩინო სპეციალისტი და სწორედ ამ გარემოებამ გადაარჩინა... სასწრაფოდ მიიწვიეს სამუშაოდ აღმოსაღეთ საქართველოში. გარკვეული

პერიოდი ოჯახი სენაკში არ იმყოფებოდა.

ჩემს ცხოვრებაში 2005-2006 წლები იყო 1937 წელი. ქალაქი არ დავტოვე, არადა, ამაზეც ყოფილა საუბარი... სამწუხაროა, რომ შეიძლება ადამიანი ამ დონემდე დაეცეს. მამა ძველმა მეზობელმა „ჩაუშვა“, ჩემზე იმათმა „იზრუნეს,“ რომელთა გამოც ძალიან ბევრი ვიშრომე, მჯეროდა მათი!..

ცნობისათვის: აღნიშნული ანონიმური წერილი დღესაც „ამშვენებს“ ჩემს საკლასო ოთახს და მსურველებს საშუალება აქვთ გაეცნონ.

წარმოიდგინეთ, ანონიმურმა წერილმა თავისი საქმეც გააკეთა ისე, რომ ბოდიშიც არავის მოუხდია.

მინდა ყველამ ერთად ვილოცოთ, რათა უფალმა შეგვინდოს!..



და გოლოს, გვსურს სიტყვით გადმოცემული ცდა და სურვილი სიკეთის კეთებისა, დავასრულოთ ფოტოკოლაჟით, რომელშიც ასახულია მუშა „შიოს ლოცვა-კურთხევით დაწყებული ნორჩ ქველმოქმედთა შეხვედრები და სხვა-დასხვა ღრთ ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტების მომენტები.

გვჯერა, ისინი კვლავაც გააბრძელებენ თავიანთ კეთილ საქმიანობას. ღმერთი იყოს მათი მფარველი!



















ზაირა ფაჩულია

ზაირა ფაჩულია დაიბადა 1935 წლის 12 დეკემბერს. მისი მოსწავლეობის პერიოდი დაემთხვა მეორე მსოფლიო ომი-



სა და ომის შემდგომი უმძიმეს ეკონომიურ პერიოდს, მაგრამ ნიჭიერ გოგონას არ გაძნელებია თავისი შრომისმოყვარეობით ყოველგვარი ბარიერი გადაეღახა და სენაკის (იმ დროინდელ ცხაკაიას) ქალთა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაემთავრებინა. 1958 წელს კი ასევე წარჩინებით დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიის ფაკულტეტი სილიკატური ტექნოლოგიის ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით.

ქალბატონი ზაირას სტუნდენტური ცხოვრება მარტო წიგნებზე თავაუღებელი, ერთფეროვანი შრომით არ შემოიფარგლებოდა. ის დღესაც ხალისით იგონებს პროფესიული განვითარების მიზნით პრაქტიკებზე პრაქტიკული სწავლების მომენტებს (ბაქოში—კარადაგის ცემენტის ქარხანაში 1955 წელს; ბრიანსკის ოლქში—მინის ქარხანაში 1956 წელს; მეტეხის აგურის ქარხანაში 1957 წელს.).

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ცხაკაიას ქალაქის საბჭოსთან არსებული ტექნოლოგიის ბიუროსა და სამშენებლო-სარემონტო კანტორაში. 1960 წლიდან კი მუშაობდა ცხაკაიას ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკაში. როგორც თავის საქმეზე შეყვარებული და სიახლეებით დაინტერესებული პიროვნება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოსკოვში (შჩერბაკოვის სახელობის აბრეშუმის კომბინატში) იქნა მივლინებული კვალიფიკაციის ამაღლების

მიზნით. აღნიშნული კურსები ფრიადი შეფასებითა და ხაო-
იანი ქსოვილების ღებვა-მოჩითვის ოსტატის წოდებით დაამ-
თავრა.

ქალბატონი ზაირას მონაწილეობით დამონტაჟდა და თანა-
მედროვე ტექნოლოგიით ააწვეეს მუშაობა ფაბრიკის სამღე-
ბრო და მოსახითმა საამქროებმა.

1970 წლიდან მუშაობდა ხალიჩების საქსოვ კომბინატში
ღებვის ტექნოლოგიის ოსტატად, ტექნიკური განყოფილების
უფროსად, კოლორისტად.

1971 წელს ქ. მინსკის მსუბუქი მრეწველობის ფილიალ-
ში გაიარა შალის მრეწველობის ტექნიკური კონტროლის
უფროსების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები (ჩააბა-
რა ხუთი საგანი და გამოსაშვებ თემაზე ფრიადი შეფასება
დაიმსახურა).

წარმოებისგან მოუწყვეტლივ ჩააბარა საკანდიდატო მინ-
იმუმის საგნები და მაძიებლად დაიწყო მუშაობა საქართვე-
ლოს საქსოვი მრეწველობის კვლევითი ინსტიტუტის ქიმიურ
ლაბორატორიაში თემაზე: „შალის კერატინის, რეაქტოფი-
ლურ საღებავებზე ურთიერთმოქმედების კვლევა.“ – თემის ხე-
ლმძღვანელი ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ფინხაძე
(შემდგომში ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი).

1972 წელს დაიბეჭდა სტატია სსრკ მსუბუქი მრეწველობის
სამინისტროს რეფერატულ ჟურნალში „Крашение и отделка
тканей.“ (გვ. 4).

1974 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა საქართველოს სასო-
ფლო მშენებლობის №5 სამშენებლო ტრესტში სამშენებლო
ლაბორატორიის უფროსად.

სამშენებლო ლაბორატორია სტანდარტებისა და ნორმა-
ტივების ყველა მოთხოვნის სრული გათვალისწინებით ჩამოყ-
ალიბდა და დამონტაჟდა ქალბატონი ზაირას ძალისხმევით.

აქვე უნდა ითქვას (თან ხაზგასმით), რომ ეს ნიჭიერი ქალ-
ბატონი ყოველთვის სიახლის ძიებაში გახლდათ და, აქედან
გამომდინარე, სისტემატურად ზრუნავდა პროფესიული კვალი-
ფიკაციის ამაღლებისათვის. 1982 წელს გაიარა მშენებლო-
ბის ხელმძღვანელი მუშაკების და სპეციალისტების კუიბი-

შევის სახელობის მოსკოვის სამშენებლო ინსტიტუტთან არსებული კვალიფიკაციის კურსები სპეციალობით: მშენებლობის ხარისხის მართვა, ეკონომიკა და მშენებლობის ტექნოლოგია.

გარკვეული პერიოდი მუშაობდა სს „არქეოპოლისში“

1997 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე და ლექციებს კითხულობდა ტექნიკურ საგნებში საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის სენაკის ფილიალში.

წლების განმავლობაში იყო გაზეთ „კოლხეთის“ შტატ-გარეშე კორესპონდენტი მშენებლობაში.

დაჯილდოებულია მედლებით, საპატიო სიგელებით, ქების სიგელებით. მადლობებს დებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ტურისტული საგზურებით ნამყოფია აღმოსავლეთ გერმანიაში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში.



და ბოლოს: წინამდებარე ბიოგრაფია სწავლის, შრომის და ნამსახურობის ნუსხათა მრავალფეროვნების თვალსაზრისით მართლაც ნიშანდობლივია და უნებურად დაგაინტერესებთ გენით, რომელიც თავისთავში მოიცავს ქალბატონი ზაირას ინტელექტის საწყისს:

დედა-სოფიო ბეგლარის ასული მიქაია, ინჟინერ-ტექნოლოგი (1908-2000წწ.);

მამა-გიორგი (კოკი) ფაჩულია, ეკონომისტი-მგეგმავი; და-როენა

ფაჩულია, ფიზიკოსი, 47 წელი მუშაობდა სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ბეტონების ლაბორატორიაში მეცნიერ-მუშაკად. ცხოვრობს თბილისში საკუთარ ოჯახთან ერთად.

სამეგრელოს პატარა ქალაქი სენაკი მდიდარია სამშენებლო მასალების ნედლეულით: თიხით აგურ-კრამიტისათვის, მერგელით ცემენტისათვის, სამშენებლო ქვებით (კირქვებით) და სხვა მინერალური რესურსით.

სამეგრელოში ცემენტის მასიურად შემოსვლამდე სამშენებლო მჭიდა (შემკვრელი) მასალად მშენებლობაში იხმარებოდა ჩამქრალი კირი.

სოფიო ბეგლარის ასული მიქაია-ფაჩულია საქართველოს ინჟინერი ქალების პირველი თაობაა. ქალბატონი სოფიო დაიბადა 1908



წელს. დაამთავრა მარტვილის რაიონის სოფელ ონოლის დაწყებითი სკოლა, სოფელი ბანძის ოთხი კლასი და სოფელ ლეხაინდრას არასრული საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის პროფესორ მელიქიშვილის სახელობის ქიმიურ ტექნიკუმში. ტექნიკუმში დაამთავრა 1928 წელს. სწავლას მოწყურებულმა ქალიშვილმა მალე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტის ტიტული მოიპოვა და მაღალი აკადემიური მოსწრებით დაამთავრა აღნიშნული ფაკულტეტის სრული კურსი სილიკატური სპეციალობის ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით (ეს იყო პირველი გამოშვება).

ქალბატონი სოფიო სტუდენტობის წლების მოგონებისას ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით იგონებდა მათემატიკის პროფესორ რუხაძეს, რომელიც სტუდენტებში ცნობილი იყო თავისი სიმკაცრით და რომელიც იშვიათად წერდა კარგ ნიშანს. უმაღლესი მათემატიკის ბოლო გამოცდიდან გამოსული სოფიო კი გამოცდის უმაღლესი შეფასებით ჩაბარების გამო პატივისცემის ნიშნად სტუდენტებმა ხელში აიტაცეს.

სტუდენტებს განსაკუთრებით უყვარდათ პროფესორი ქალბატონი რუსუდან ნიკოლაძე. მხატვარი დავით გურამიშვილის დის—ოლღა გურამიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის უფროსი ქალიშვილი. როცა ქალბატონი რუსუდანი სტუდენტ სოფიოსგან გამოცდას იბარებდა, უთქვამს: შენისთანა წყალზე მოთამაშე ფარდის უკან მყავს დამალული, მაგრამ შენისთანა არ არისო. (ლაპარაკია ქალბატონ რუსუდან ნიკოლაძის მეგობარ პროფესორის ქალიშვილზე, რომელსც აინტერესებდა სტუდენტ მიქაიას პასუხები).

ქნი სოფიო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით იქნა გაგზავნილი სენაკის კირის ქარხნის ტექნიკურ ხელმძღვანელად (მთავარ ინჟინრად).

ახალგაზრდა სპეციალისტის კარგ მუშაობაზე წერდნენ



პირველ რიგში მარცხნიდან მე-4 სოფიო მიქაია და მე-5 დირექტორი ნიკო ბარამია

ცენტრალური გაზეთები. აღნიშნულ თანამდებობაზე იმუშავა 20 წელი. იყო პირველი ინჟინერი ქალი სენაკში. საკვალიფიკაციო კომისიის დადგენილებით მინიჭებული ქონდა ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოების უფლება. უწყვეტი მოქმედების კირის გამოსაწვავ ღუმელებში მისი უშუალო

ხელმძღვანელობით ანთებდნენ ცეცხლს.

ქალბატონი სოფიო ყოველთვის უდიდესი პროფესიონალიზმითა და პატიოსნებით ასრულებდა სამუშაოს. ქარხნის



კიბის ქარხნის კოლექტივი

მედლებით, ქების სიგელებით.

ქნმა სოფიომ 1951-52 წლებში მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურში ააშენა კირის გამოსაწვავი ორი



საველე ღუმელი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

იყო მეგრძოლი ხასიათის. როცა სამსახურში ცნობა მოუვიდა გადასახლებაში ძმის გარდაცვალებაზე, მაგიდაზე დაემხო და უხმოდ იტირა თურმე, მაგრამ ესეც არ აპატიეს გადასახლებულის დას და პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის რიგებიდან გარიცხა.

ქნ სოფიო ამ საკითხზე თბილისში წავიდა და ცეკაში ითხოვა აღდგენა. როცა საკითხს იხილავდნენ პარტბიუროს მდივანს კითხეს:

მიერ გამოშვებული პროდუქცია გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით.

წარდგენილი იყო ლენინის ორდენზე, მაგრამ არ მისცეს, რადგან ინჟინერი ძმა გადასახლებული ყავდა. ძმა რეაბილიტირებულიქნა 1967 წელს-სიკვდილის შემდეგ.

დაჯილდოებული იყო სსრკ საშენ მასალათა მრეწველობის „ფრიალოსნის“ სამკერდე ნიშნით,

–რა, იკივლა გადასახლებაში მყოფი ძმის სიკვდილზე?

–არა. მაგიდასთან დაჯდა და თავჩაქინდრული ხელებზე დაემხო.

–შენი ძმა რომ ყოფილიყო არ იტირებდი?–უკითხავს პარტიზუროს მდივნისთვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან ფილიპე მახარაძეს და მიუღიათ მისი პარტიის რიგებში აღდგენის გადაწყვეტილება.

ქ-ნ სოფიო იყო კარგი შვილების აღმზრდელი დედა, კარგი მეუღლე. იგი ომის მძიმე წლებში თავდაუზოგავად შრომობდა –სამსახურში გამორჩეული იყო და ოჯახსაც შესანიშნავად უძღვებოდა.

მეუღლე, კოკი ფაჩულია, პროფესიით ეკონომისტ-მკვებმავი, მოხალისედ წავიდა ომში. დაბრუნდა 1945 წელს მძიმედ დაჭრილი: სანგარში თანამებრძოლებთან ერთად ყოფნის დროს დაიბოძა ის ადგილი. გვერდით მყოფ ამხანაგს ბომბმა ფეხი მოსწყვიტა და ჰაერში ააგდო. ხოლო თვითონ ნამსხვრევებით დაესერა მთელი სხეული, კბილებიც კი ჩამტვრა, არანორმალურად გასიებული ენა პირში არ ეტეოდა. ბრძოლის ხაზიდან გამოყვანის შემდეგ წინადადება მისცეს: თუ ბრძოლის ველზე დარჩებოდა ლენინის ორდენს მისცემდნენ, არადა სამხედრო ჰოსპიტალში გაგზავნიდნენ სამკურნალოდ. ამ დროს სამხედრო ემელონი ჩამოდგა და ბატონმა კოკიმ არჩია ჰოსპიტალში მკურნალობა–ასე აღმოჩნდა იგი ხანლარის სამხედრო ჰოსპიტალში.

ქალბატონმა სოფიომ თბილისიდან წამოდებული საშვით შეადწია ზონაში მეუღლის სანახავად. დამის გასათენებელი ადგილის გარეშე მყოფი სოფიო ერთმა ქართველმა ქალმა, სომხის მეუღლემ, წაიყვანა თავისთან.

სხეულიდან ამოუღეს ნამსხვრევების ნაწილი. ნაწილმა კი საშარდე მილი გადააკეტა. დაჭრილი სასწრაფოდ გადაიყვანეს თბილისში.

დასავლეთ საქართველოს „საქენერგოს“ გაგრის (მაშინ გაგრის ზონა დასავლეთ საქართველოში შემოდიოდა) მმართველის, ბ-ნ იპოლიტე პავლეს ძე კანკავას, პიკაპი მიაყენეს კიბეს და ისე ჩასვეს მატარებელში.

აღმოჩნდა იმ კლინიკაში, სადაც ქ-ნ თამარ ოჩიგავა-გზირიშვილს უნდა გაეკეთებინა ოპერაცია. ოპერაციის გაკეთებას ჩამოუსწრო ფრონტის ხაზიდან ჩამოსულმა ბატონმა ალექსანდრე გზირიშვილმა და თვითონ გაუკეთა აღნიშნული ოპერაცია.

შემდგომი მკურნალობით ავადმყოფი უკეთესად გახდა. თუმცა ნამსხვრევთა ნაწილი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა სხეულში.

სახლში მწოლიარე ეხმარებოდა ამხანაგებს, კოლეგებს— მათ დახმარებას უწევდა ეკონომიურ საკითხებში, ბუღალტერიაში, აძლევა სათანადო პროფესიულ რჩევებს.

პროფესორი ალექსანდრე გზირიშვილის (უროლოგის, მეცნიერის) სიმპათია ბავშვობიდან დღემდე მომყვება. მან მამა გადამირჩინა სიკვდილს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში პროფესორ ალექსანდრე გზირიშვილზე მეუღლის, თამარ ოჩიგავა-გზირიშვილის, მიერ დაწერილი წიგნი ვიყიდე, რომელსაც აქამდე სათუთად ვინახავ. ახლა, როცა 82 წლის ვარ, დამჭირდა და ხელმეორედ გადავიკითხე. ამდენი წლის გადასახედიდან კიდევ ერთხელ ვიგრძენი ამ ადამიანის სიღიადე.

მამა გამოჯანმრთელების შემდეგ აირჩიეს მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ. გარდაიცვალა 54 წლის ასაკში.

ქალბატონ სოფიოს სიმართლის სიყვარულისა და დაცვისთვის, ჭირთა გამძლეობისთვის, ადამიანური ურთიერთობისთვის „ფოლადის ქალს” ეძახდნენ.

ქალბატონმა სოფიომ ოცი წლის შემდეგ შეიცვალა სამუშაო ადგილი და შვიდი წელი მუშაობდა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მთავარ ინჟინრად. ამ პერიოდში აშენდა ღვინის კომბინატის საამქრო და სხვა სამუშაო ადგილები.

შემდეგ მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სკოლაში, ტექნიკური აღზრდის დარგში. მუშაობდა ტრესტ საქსოფლმშენის ცხაკაიას № 5 სამმართველოში, სამონტაჟო უბანში ოსტატად, აშენებდა მაღალი ძაბვის სატრანსფორმატორო ქვე-

სადგურებს. 55 წლისა პენსიაზე გავიდა. იცოცხლა 91 წელი.

სოფიო იყო განათლებული, საქართველოს ისტორიის მოყვარული. ერთ-ერთი შეხვედრისას ბ-ნ მერაბ ბერძენიშვილთან საუბრის შემდეგ, ბატონ მერაბს დედაჩემზე უთქვამს: რა კარგები არიან მეგრელი ქალბატონები, მოაზროვნეები, განსწავლულები და კარგი მოსაუბრეები.

ბიორბი (ბიბუჩი) გაბისონია

მშენებლობის უამი იდგა. ქალაქში ხარაჩოებში ჩაჯდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები. 10-15 წლის განმავლობაში რამდენიმე ათასმა ადამიანმა იხეიმა ახალმოსახლეობა.



მშენებლებს სენაკში თავიანთი სათაყვანო კერპი ყავდათ—**გიორგი (გიგუჩი) გაბისონია** საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი №5 ტრესტის მმართველი. მისი მუშაობა მშენებლობაში აღინიშნა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით, მთავრობის მრავალი მაღალი ჯილდოთი. იყო უმაღლესი საბჭოს მრავალგზის მოწვევის დეპუტატი. №5 ტრესტი მშენებლობას აწარმოებდა დასავლეთ საქართველოს რეგიონში, ტრესტში შემოდიოდა

გაგრის ზონა. მშენებლობა საკავშირო სტანდარტების დონეზე მიმდინარეობდა, არაერთხელ დაუთვალიერებიათ იგი საკავშირო სამინისტროდან, საკავშირო სახლმშენიდან და ყოველთვის აღუნიშნავთ მაღალი დონე.

ბ-ნ გიორგის დიდი მეგობრობა აკავშირებდა საქართველოს სამშენებლო მექანიკის და სეისმოლოგების ინსტიტუტის სპეციალისტებთან, სადაო საკითხები ყოველთვის

მეცნიერებთან შეთანხმებით წყდებოდა.

ქალაქის პარტიული ლიდერ ბ-ნ ვახტანგ ესვანჯიას და ბ-ნ გიგუჩის ერთიანი მცდელობით ეტაპების დაურღვევლად არაერთი მრავალსართულიანი შენობა შეემატა ქალაქს. №5 სამშენებლო ტრესტის მშენებლები დროულად და ხარისხიანად აბარებდნენ საცხოვრებელ და საწარმოო დანიშნულების ობიექტებს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში:



მესტიაში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილში, აბაშაში, ხობში, ფოთში. ასევე აფხაზეთში—გაგრა, ოჩამჩირე. აშენებდნენ სკოლებს, საბავშვო ბაღებს, ფაბრიკებს, ქარხნებს და ბევრ სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტს.

მისივე მმართველობის პერიოდში მიენიჭა №5 სამშენებლო ტრესტს „საპატიო ნიშნის“ ორდენი. კოლექტივი არაერთხელ გამოსულა საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებული. გამოაწროთ და დამოუკიდებელ გზაზე დააყენა თაობები, კოლექტივები. სანიმუშოდ შეკრული და აწყობილი კოლექტივი ყავდა—შემოკრებილი ყავდა სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური, საჭირო სპეციალისტები.

თავისი ძალ-ღონე, ცოდნა მოახმარა მშობლიური ქალაქის შენებას. გულდასმით აშენებდა რეგიონს, რომ მომავალი თაობებისთვის მკვიდრი მატერიალური ფასეულობა დაეტოვებინა. ცხადია, იყო შური და მტრობა „რატომ კარგი აგიგიაო“, მაგრამ სიყვარულით ნაშენებმა შენობებმა დროს გაუძლო...

მაღალი ზნეობით, შინაგანი კულტურით, საოცარი გულისხმიერებით, სითბოთი და სიკეთით შემკული პიროვნება ბუნებამ ასევე დააჯილდოვა ნიჭით, სიდარბაისლით სისპეტაკით, ფართო ერუდიციით, ორგანიზების უნარით.

მიმტვევებელი ხასიათის გახლდათ—დავრდომილს შეიფარებდა, ფეხზე დააყენებდა. ბუნებით ინტელიგენტი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მშენებლობის საქმეს, საქვეყნო საქმეებს. ქონდა შეთავზება მაღალ თანამდებობებზე, მაგრამ მშობლიური ქალაქი არ დატოვა.

იცხოვრა ოჯახისა და მეგობრების სიყვარულით, ჩვენი ტრადიციების ერთგულებით.

ბატონი გიორგი (გიგუჩი) გაბისონიას—საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, მაღალი კლასის მშენებლის, პატრიოტის სახელი მარადჟამს იბრწყინებს ჩვენი ქალაქის ისტორიაში.

მშენებლებთან შესახვედრად დედაქალაქიდან ხშირად ჩამოდინდნენ პროექტები და ქართველ მოღვაწეთა ჯგუფები. ხვდებოდნენ მათ, აჯერებდნენ ერთმანეთთან თავიანთ შეხედულებებს, აზრებს და ახალი სიო ქროდა ქალაქში.



სტუმრები
თბილისიდან
– N5 ტრესტის
თანამშრომლებთან
შეხვედრაზე.



ცკ წევრებთან
შეხვედრაზე
პროექტის გარჩევა



1. საზეიმო შეხვედრა
კუ სენაკის რაიკომში.

2. სამშენებლო
კონსტრუქციების
კომბინატის საზეიმო
გახსნა.

3. შეხვედრა გაზეთ
«კოლხეთის»
რედაქციაში
ჟურნალისტ გოგოლა
მზარეულასთან





შაბათობა.
ტრესტის
აპარატის
კოლექტივი
მშენებლობაზე

თანამრომელთა
შვილები
N5 ტრესტში
ზეიმზე



5. 12. 80 წელს ბულგარელი ჟურნალისტი, გაზეთ „Антен“-ის კორესპონდენტი გ. ტოდოროვი ჩამოვიდა №5 სამშენებლო ტრესტში. აინტერესებდა შეხვედრა სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატ თანდიკო ძიძიგურთან. АПН-დან (მოსკოვიდან) მოყვებოდა კომენტატორი ნატალია ქრომოვა.

სასტუმროში დაისვენეს საათნახევარი, შემდეგ რესტორან „ტურისტში“ იყვნენ საუზმეზე: გ. გაბისონია, ბ. შენგელია (გაზეთ “კოლხეთის” ჟურნალისტი), ზ. ჯანაშია (მმკ უფროსი), გ. ტოდოროვი, ნ ქრომოვა, ზ. ფაჩულია, შ. ხარებავა (ფოტოკორესპონდენტი).

მე-12 მმკ უფროსი ზ. ჯანაშიას კაბინეტში მამა-შვილი ძიძიგურებისგან ინტერვიუ აიღეს.



ს ტ უ მ რ ე ბ ს
გ ა უ მ ა ს პ ი ნ ძ ლ დ -
ნ ე ნ შ ა მ პ ა ნ უ რ ი თ ,
შოკოლადებით, მან-
დარინებით. თითო
ფილა შოკოლადი
„პუშკინის ზღაპრე-
ბი“ სტუმრებმა სა-
მახსოვროდ თან
წაიღეს. აქვე გა-



დასცეს მათ ჭედური ხელოვნების ნიმუშები. სურათები გა-
დავიღეთ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში. სტუმრებ-
მა სამახსოვრო წიგნში გულთბილი ჩანაწერები დატოვეს.
შემდეგ იყო შეხვედრა პირველი მდივნის კაბინეტში.

შეხვედრების შემდეგ დავათვალიერეთ ვ. მელიქიშვი-
ლის „დიდების მემორიალი“, მფრინავი წურწუმის ძეგლი
პარკში („Морской орёл“), სამხატვრო გალერეა, „არქეოპო-
ლისი,“ ვისადიღეთ რესტორან „ჯიხაში“.

ბულგარელმა შესანიშნავად იმღერა „Очи черные.“
იმპროვიზაციას ზ. ჯანაშია აკეთებდა. თანამგზავრმა ქა-
ლმა თქვა სტუმარი თავშეკავებული ყოფილა, არ სვამსო.
ბალტიისპირეთში მგზავრობისას ერთი მოსკოველი ხლებია
და მას უთქვამს ძალიან დინჯიაო.. აქ კი მთლად გადაირია..

პოეზია ყვარებია, ესენინის ლექსი წაიკითხა.

ფილმი მშენებლებზე

1984 წლის 9 ივნისს კინოთეატრ „რუსთაველში“ შედგა პრემიერა ფერადი სატელევიზიო ფილმის „ოჯახური ტრადიცია“.. ფილმი მიეძღვნა ჩვენი რაიონის მშრომელებს, №5 სამშენებლო ტრესტის მშენებლებს, მამა-შვილს-სახელმწიფო პრემიის ლაურეატ **თ.ს. ძიძიგურსა** და საკავშირო ალკკ პრემიის ლაურეატ **გ. თ. ძიძიგურს**.

სცენარის ავტორია პოეტი ნ. ჯალაღონია, რეჟისორი მიხო ბორაშვილი, ოპერატორი –საკავშირო ალკკ პრემიის ლაურეატი ტრისტან კანდელაკი, ოპერატორის თანაშემწე თ. გერასიმოვი, მემონტაჟე მ. ლომიძე.

ფილმი მოგვითხრობს მშენებელთა ოჯახის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მომენტებზე. ფილმში მთავარი თემაა სიკეთის, ერთგულების, სიყვარულის ტრადიცია.

ძალიან საინტერესოა ფილმის რეჟისურა: კარგად არის წარმოჩენილი ჩვენი კუთხის ბუნება, ვგრძობთ უძველესი ციხე-სიმაგრის ნაშთი. მშენებლობის პროცესები №5 ტრესტის სამშენებლო ობიექტებზე.

საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საკაპიტო ნიშნის ორდენოსანი №5 სამშენებლო ტრესტი

საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №5 ტრესტი შეიქმნა სენაკში 1967 წელს (მმართველი **მარტენ ჭანტურია**, მთავარი ინჟინერი **ალექსანდრე (შურა) ხაჭაპურიძე**).

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში №5 ტრესტი აწარმოებდა მშენებლობას აფხაზეთში, ზემო სვანეთსა და სამეგრელოში.

№5 ტრესტის შემადგენლობაში შედიოდა:

№8 მმკ (მოძრა-მექანიზებული კოლონა) გაგრაში– უფროსი ჯიმშერ ტოგონიძე; **№1 მმკ გალში**– უფროსი გივი სა-

ჯაია; №2 მმრ (მოძრავ-მექანიზებული რაზმი) ოჩამჩირეში – უფროსი გივი ჭითავა, შემდეგ შალვა ფერცხელია; №64 მმკ მესტიაში – უფროსი გ. პირველი; №2 მმკ წალენჯიხაში – უფროსი ალექსანდრე (საშა) კვარაცხელია; №19 მმკ ხობში – უფროსი მ. კინწურაშვილი (შემდეგ გენო ტორჩინავა, ანტიფო შამუგია); №26 მმკ ზუგდიდში – უფროსი ბორის ჯინჯოლავა; №12 მმკ ცხაკაიაში (სენაკში) – უფროსი შოთა ჯავახია, მთავარი ინჟინერი კარლო ფარულავა; მექანიზაციის სამმართველო – უფროსი ანზორ ოდიშარია, მთავარი ინჟინერი ვ. ხორავა); საწარმოო ტექნიკური კომპლექტაციის სამმართველო – უფროსი ნიკოლოზ ეჯიბია.

№5 სამშენებლო ტრისტმა აფხაზეთში ააშენა:

მეფრინველეობის ფერმა გაგრაში (მმკ-8); ჩაის ფაბრიკა ბარდებში (მმკ-11);

აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში: საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, მედპუნქტები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტები, საძროხეები, დაფსაშრობები, პარკსაშრობები, სხვადასხვა დანიშნულების ფარდულები.

შემდეგ აფხაზეთში (ოჩამჩირეში) შეიქმნა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №2 ტრესტი (მმართველი გივი ჭითავა) და მშენებარე ობიექტები გადაეცა მათ.

№5 ტრისტის სამებრელოს ზონაში შეიქმნა:

№49 მმკ ჩხორლწყუში – უფროსი გიგლა ჩიქოვანი; №71 მმკ ჭითაწყარში – უფროსი იანურ ფარცვანია; №50 მმკ ცხაკაიაში (სენაკში) – უფროსი მ. დგებუაძე, მთავარი ინჟინერი სერგო გვალია; №47 მმკ გეგეჭკორში (მარტვილში) – უფროსი პ. გოროზია; №48 მმკ ცხაკაიაში (სენაკში) – უფროსი ტ. ადამია, მცირე მექანიზაციის სამმართველო – უფროსი გია ჭანტურია.

№5 სამშენებლო ტრისტმა სხვადასხვა რაიონში ააშენა შემდეგი ობიექტები:

მმკ-26 ზუგდიდის რაიონში:

კახათის ჩაის ფაბრიკა, ზუგდიდის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, პროფსასწავლებლის კომპლექსი ზედა ეწერში, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხელოვნური განაყოფიერების ცენტრი ზუგდიდში, მეფრინველეობის კომპლექსი ჭითაწყარში (მმკ-71).

ხობის რაიონში (მმკ-19):

ჩაის ფაბრიკა, კოლხეთის წყალსადენი, სასათბურე მეურნეობა პირველ ხორგაში, ხობის საავადმყოფო, ადმინისტრაციული სახლი ხობში, 60-ბინიანი საკუთარი საცხოვრებელი სახლი, სკოლა ჯაფშაქარში, სკოლა ხორგაში და სხვა.

მესტიის რაიონში (მმკ 64):

კინოთეატრი მესტიაში, სკოლა უშგულში, მეცხოველეობის კომპლექსი მულახში და ლატალში, პიონერთა ბანაკი ბეჩოში და სხვა.

აბაშის რაიონში (მმკ 51):

მეღორეობის კომპლექსი აბაშაში, საავადმყოფო აბაშაში, მეღორეობის კომპლექსი ზანათში, 30 ბინიანი (საკუთარი) საცხოვრებელი სახლი აბაშაში, სტამბის შენობის რეკონსტრუქცია აბაშაში, სკოლა კეთილარში.

№5 ტრისტმა ცხაპაიას (სენაკის) რაიონში ააშენა:

(ღამკვეთი სასოფლო მშენებლობის სამინისტრო)

1) №5 ტრესტის ადმინისტრაციული შენობა წმინდა ნინოს (კალინინის) №2. –(მმკ- 12).

2). ადმინისტრაციული კორპუსის რეკონსტრუქცია (მმკ- 12);

3). 5–სართულიანი 60–ბინიანი საცხოვრებელი სახლი: ჭავჭავაძის ქუჩაზე 4 ერთეული, ტერეშკოვას ქუჩაზე–1 ერთეული.

4). 4–სართულიანი, 40– ბინიანი საცხოვრებელი სახლი ჭავჭავაძის ქუჩაზე.

5). საბავშვო ბაღი ჭავჭავაძის ქუჩაზე.

6). №5 ტრესტის პროფტექნიკური სასწავლებელი სენაკში

(მმკ 12) – სამუშაოთა მწარმოებელი ოთარ ბულიაგა, ომეს ყურაშვილი .

7). **რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანა ნოსირში (მმკ- 50)** – უფროსი მურმან ღვებუაძე, მთავარი ინჟინერი სერგო გვალია, სამუშაოთა მწარმოებელი რეზო მაკალათია.

ასევე სხვადასხვა სამინისტროების დაკვეთით აშენდა და რეკონსტრუქცია გაუკეთდა სენაკში:

- 1). № 2 ჩაის ფაბრიკა სენაკში (მმკ-12).
- 2). №1 ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქცია (მმკ-12).
- 3). უშაფათის ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქცია (მმკ-12).
- 4). გეჯეთის მეფრინველეობის რეპროდუქტორი (მმკ-50).
- 5). თეკლათის მეცხოველეობის კომპლექსი (მმკ-12).
- 6). ხალიჩების კომბინატის რეკონსტრუქცია (მმკ-50; სამუშაოთა მწარმოებელი თადეოზ ტაბაღუა).
- 7). მექანიკური ქარხანა თეკლათში (მმკ-50; სამუშაოთა მწარმოებელი თადეოზ ტაბაღუა).
- 8). 8-სართულიანი საცხოვრებელი სახლი რუსთაველის ქუჩაზე (მმკ-50; სამუშაოთა მწარმოებელი თადეოზ ტაბაღუა).
- 9). 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლი ცაგარელის ქუჩაზე (მმკ-50; სამუშაოთა მწარმოებელი თადეოზ ტაბაღუა).
- 10). მექანიკური ქარხნის საცხოვრებელი კომპლექსი.
- 11). 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლები მშვიდობის ქუჩაზე (მმკ-12; მმკ-50).

№5 სამშენებლო ტრესტის საწარმოო-ტექნიკური განყოფილება აწარმოებდა პროექტებიდან რკინა-ბეტონის კონსტრუქციების და სამშენებლო მასალების ამოკრეფვას, მათი დასამზადებლად სათანადო შეკვეთების წარდგენას მომწოდებელ ორგანიზაციებთან და აკონტროლებდა მშენებარე ობიექტებზე ასაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და სამშენებლო მასალების დროულად მოწოდებას სათანადო გრაფიკის მიხედვით.

ასევე კონტროლს უწევდა თითოეული ობიექტის შესრულებული სამუშაოს ხარისხს და მოცულობას. ხშირად სრულდებოდა შესრულებული სამუშაოს აზომვები, რათა არ მომხდარიყო მიწერები.

ტრესტის სასწავლო-ტექნიკური განყოფილება კონტროლს უწევდა ყველა მშენებარე ობიექტზე უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას და დაუყოვნებლივ იღებდა ზომებს უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

№5 ტრესტის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს ხელმძღვანელობდა ტრესტის მთავარი ინჟინერი **ვახტანგ წულეისკირი**.

გამოირჩეოდნენ საწარმო-ტექნიკური განყოფილების გამოსვლილი სპეციალისტები: **ნოდარ გორდელაძე, ნუნუ მაჭავარიანი, გია შალამბერიძე, ლია მამულია, ზურაბ პატარია, თამაზ ცაგურია**.

აღნიშნული სპეციალისტები სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ საწარმო-ტექნიკურ განყოფილებას. საწარმო-ტექნიკურ განყოფილებაში ასევე გამოირჩეოდნენ ინჟინრები: **რეზო გაგულაშვილი, მურმან ნიკოლავა, ლერი ცხვიტავა, ლერი ჯალაღონია, ლორა ცხვიტავა, მერაბ ეჯიბია, გია ეჯიბია, ზურაბ წურწუმია, დაზმირ ბერია**.

სახარჯთაღრიცხვო-სახელშეკრულებო განყოფილება აწარმოებდა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების გადასინჯვას ობიექტების მიხედვით, სათანადო შენიშვნების შედგენას და მათი დროულად წარდგენას დამკვეთ ორგანიზაციებთან, ხარჯთაღრიცხვასა და პროექტებში სათანადო ცვლილებების შეტანას.

პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ აწარმოებდა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებას დამკვეთ ორგანიზაციებთან თითოეული ობიექტის მშენებლობაზე და კონტროლს უწევდა გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით დამკვეთის მიერ ბანკებში სათანადო დაფინანსების დროულად გახსნას. სახარჯთაღრიცხვო სახელშეკრულებო განყოფილებას ხელმძღვანელობდა **ლია მამულია**. მუშაობით გამოირჩეოდნენ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი: დავარ ჭანტურია, ნინო მამულია, ავთანდილ ფოცხვერია, გია ბერია, თადეოზ ტაბაღუა, მელორ ცხაკაია, ნოდარ ლეთორდიანი, ნოდარ შალამბერიძე, ამელი ცხვიტავა და სხვა.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №5 ტრესტს გაწეუ-

ლი მუშაობისათვის, კერძოდ, ობიექტების დროულად და დროზე ადრე ხარისხიანად ჩაბარებისა და სამშენებლო გეგმის დროულად, გადაჭარბებით შესრულებისათვის მიეკუთვნა საკავშირო ჯილდო „საპატიო ნიშნის ორდენი“.

„საპატიო ნიშნის ორდენით“ დაჯილდოვდა ტრესტის მმართველი გ. გაბისონია. სხვადასხვა ჯილდოებით – ტრესტის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

№5 ტრესტის სამშენებლო ლაბორატორია

საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი №5 ტრესტის სამშენებლო ლაბორატორია ემსახურებოდა ცხკაიას, ხობის, აბაშის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წაღენჯიხის, მესტიის მმ კოლონებს. მუშაობდა ადმინისტრაციასთან შეთანხმებული სამუშაო გეგმით.

სრულდებოდა სამუშაოები სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობათა გამოსაცდელად, ბეტონების შემადგენლობის შესარჩევად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შესამოწმებლად

თავის მუშაობაში სამშენებლო ლაბორატორია ხელმძღვანელობდა სამუშაო ნორმებისა და წესების, სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნილების გათვალისწინებით.

რეგულარულად მოწმდებოდა მენჯის, ნოსირის, ხობის რკინა-ბეტონის პოლიგონებზე გამოშვებული ნაკეთობების და ბეტონის ხარისხი. სრულდებოდა ცალკეული სამუშაოები საშენ მასალათა ფიზიკური მახასიათებლების შემოწმებისათვის. სამშენებლო ლაბორატორიაში გამოყენებული იყო უახლესი ტექნიკა: ულტრაბერითი ხელსაწყო (ბეტონოსკოპი) ხარისხიანობის დასადგენად კონსტრუქციის დაურღვევლად, ხელსაწყო პოხისის ჩაქუჩი კონსტრუქციის მარკიანობის დასადგენად დაჩქარებული მეთოდით (არასტანდარტული), ელექტრო-ქიმიური მეთოდი ცემენტის მარკიანობის განსაზღვრისთვის, საერთო სამშენებლო №4 ტრესტის (გურჯაანი) სპეციალისტების და ტრესტ „გრუზორგტექმშენის“ (ხვედელიძე თ. ა.) შემუშავებული ელექტრო ქიმიური მეთოდი ცემენტის გამოსაცდელად (ცდომილება 5%) განსაზღვრის დრო ერთი საათი, ინფორმაცია და შესწავლა

მახათაძის ხელსაწყოთა სეისმომდეგობის 9 ბალიან სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით და სხვა.

საკავშირო სახლმშენიდან ჩამოსულმა მთავარმა სპეციალიტმა (კრიმსკიმ) შეამოწმა ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიის დანერგვა ლაბორატორიაში და კმაყოფილი დარჩა შედეგით.

ასევე თბილისიდან (სასოფლო მშენებლობის სამინისტროდან) ჩამოსულმა სპეციალისტმა „საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსმა ჭყონიამ განაცხადა: ასეთი ლაბორატორია 1942 წელს სპი-საც არ ქონდაო.

სამშენებლო ლაბორატორიას ქონდა მექანიკური და ქიმიური განყოფილებები, ფოტოლაბორატორია.

ტრესტის მმართველობამ 1974 წელს ქალაქ არმავირიდან შეიძინა პრესები საშენი მასალების კლასიკური შემოწმებისათვის, რომელნიც ტრესტის ახალგაზრდა, ნიჭიერმა ინჟინერ-მექანიკოსმა **რომან მიქავამ** ახალგაზრდა მექანიკოსების ფიზიკური დახმარებით დაამონტაჟა ანაზღაურების გარეშე.

ლაბორატორიის მიერ მომზადებულ საპრეტენზიო მასალებს მიმართულებას აძლევდა ტრესტის იურიდიული სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოცდილი იურისტი **ეფრემ საჯაია**.

ოზურგეთის (მახარაძის) რკინა-ბეტონის ქარხანაში ჩასულ მინისტრის მოადგილეს და №5 ტრესტის მმართველ **გ. გაბისონიას** შესჩივლეს: „ის გოგო მოგვაცილეთ და ფულს სახლში გავეუბ ზავნითო“.

მშენებლობის ხარისხის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ მარტვილის №47 მმკ (უფროსი **ნუგზარ ცანავა**), ჩხოროწყუს №49 მმკ (უფროსი **გენო მაღანია**), სენაკის №16 მმკ (უფროსი **ვალერ ღვინჯილია**).

სამშენებლო ლაბორატორიას დარბაზის ერთ კუთხეში ქონდა გამოფენილი საშენ მასალების, აგურ-კრამიტის კოლექცია. მათში გამოირჩეოდა კუთხის გადასახური მე-7 საუკუნის კრამიტი და საფრანგეთის, მარსელის კრამიტი (ადგილობრივები მას მარსელიას კრამიტს ეძახიან).

სამოქალაქო ომის პირზე მისულ ქალაქში „მხედრონის“ ბანდების შემოსევამ შეუძლებელი გახადა მუშაობის გაგრძელება. გამძვინვარებულ მარადიურობას, ქონების დატაცებას, ქურდობას ვერ გადაურჩა და საქართველოს სასოფლო მშენებლო-

ბის №5 ტრესტმა შეწყვიტა მუშაობა. ტრესტისათვის განკუთვნილი შენობა კი საცხოვრებლად გადაეცა აფხაზეთიდან დევნილებს. ლაბორატორიაში მუშაობდნენ კვალიფიცირებული სპეციალისტები: იურა



5 ტრესტის ლაბორატორიაში: ზაირა ფაჩულია, ნესტან ხუსია, სოსო პიჭუტავა, გონა გოგია.


კაკაშვილი, ტანია დადიანი, ნესტან ხუსია, ნათელა ხარჩილავა, გონა გოგია, სოსო პიჭუტავა, ნანი მიხანაშვილი, თინა ქობალავა. ლაბორატორიის უფროსი ზაირა ფაჩულია.

თამაზ ცაბუშრია

№5 სამშენებლო ტრესტის მმართველი გიორგი გაბისონიას სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შემდეგ №5 სამშენებლო ტრესტის მმართველად დაინიშნა თამაზ ცაბუშრია.

სრულად განახლდა ტრესტის შენობის გარე თუ შიდა ინტერიერი. შენობა მოპირკეთდა გაშლიფული ეკლარის ქვით და მარმარილოთი.

სენაკში საკათედრო ტაძრის მშენებლებს, ამბაკუმ (შალვა) სანიკიძეს გვერდით ედგა თამაზ ცაბუშრია.



თამაზ ცაბუშრიას შემდეგ №5 სამშენებლო ტრესტის მმართველები იყვნენ თარაშ ესიავა, ნუგზარ ჭიჭაღუა.

ლია მამულია-სინჯარაძე

ლია მამულია ხელმძღვანელობდა №5 სამშენებლო ტრესტის სახარჯთაღრიცხვო-სახელმშეკრულებო განყოფილებას.

ქალბატონი ღია დაჯილდოებულია საკავშირო ჯილდოთი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, არის შრომის



ვეტერანი და მიღებული აქვს მრავალი სიგელი და მადლობა გაწეული მუშაობისათვის.

ქნ ღიას აქტიურად მიჰყავდა ტრესტის ტექნიკური დოკუმენტაცია, საქმიანი ურთიერთობები, მიწერ-მოწერები ორგანიზაციებს შორის, დამკვეთებთან თუ შემსრულებლებთან.

ქნ ღიას მეუღლე, ბატონი დიმა სინჯარაძე, პროფესიით ექიმი, ცნობილი იყო როგორც შესანიშნავი სპეციალისტი. ბატონმა დიმამ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა უკრაინაში, ქა-

ლაქ უჟგოროდში, სადაც სამამულო ომის დროს გმირული სიკვდილით დაეცა მამამისი.

ბატონი დიმა საქართველოში ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო

დიდი მეგობრობა აკავშირებდა მხატვარ რეზო ადამიასთან. რამდენიმეჯერ ქონდა პერსონალური გამოფენა. ღებულობდა მონაწილეობას **იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის** მშენებლობაში როგორც ფიზიკურად, ასევე ეკონომიურად.

ბატონი დიმას შესრულებულია ნოსირის ეკლესიის ხატები: მარიამ ღვთისმშობლის, იესოს. ასევე საკურთხეველის კარები.

ქალიშვილი მამის კვალს გაჰყვა—ექიმი. ცხოვრობს და მუშაობს თბილისში, სიძე, სოსო ღვებუაძე, ინჟინერ-მშენებელია.

შვილიშვილმა, ირაკლი ღვებუაძემ, წარჩინებით დაამ-

თავრა თბილისის №123 სკოლა-ლიცეუმი, ჩააბარა ეროვნული გამოცდები და ჩაირიცხა უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტი დაამთავრა იურისტ-სამართალმცოდნის სპეციალობით.

წარჩინებით აქვს დამთავრებული უკრაინის ევროპული უნივერსიტეტის მაგისტრატურა.

სრულფასოვნად ფლობს უცხო ენებს—ინგლისურსა და რუსულს.

სკოლაში დაკავებული იყო ფეხბურთით. იყო საფეხბურთო ნაკრები „ოლიმპის“ მეკარე და 19 წლამდე საფეხბურთო ნაკრების წევრი—მეკარე. მუშაობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ფოთის პოლიციის განყოფილებაში, შემდეგ ქ. თბილისში შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ამჟამად მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის დეპარტამენტში დეტექტივების განყოფილების უფროსის მოადგილედ.

არის უცოლ-შვილო.

ნუნუ ხოფერია-მაჭავარიანი

ქ. სენაკის ადგილობრივი მრეწველობის ტრესტის მმართველმა, ხალხური ხელოვნების მოყვარულმა **მიხეილ ხოფერიამ** დროებით დაშლილი მომღერალთა გუნდის აღდგენა და მხარდაჭერა ითავა. ეს იყო 1932 წელი.

მან თავი მოუყარა რაიონის ყველა ნიჭიერ მომღერალს გუნდის ხელმძღვანელად კი დანიშნა ცნობილი ლოტბარი რემა შენგელია.



აღნიშნული გუნდის ჩამოყალიბებით დაიწყო სენაკის რაიონში ხალხური სიმღერის და საგუნდო-საშემსრულებ-

ლო ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი.

ბატონი მიხეილი იყო საწარმოს კარგი ხელმძღვანელი და ძლიერი ორგანიზატორი. მისი ქალიშვილი გახლავთ ამ ნარკვევის რესპოდენტი, ქალბატონი **ნუნუ ხოფერია-მაჭავარიანი**. ვაჟიშვილი კი – საქ. კპ. სენაკის რაიკომის პირველი მდივანი **რეზო ხოფერია**.

ქალბატონი ნუნუ ხოფერია-მაჭავარიანი თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა საყვარელ საქმეს – მშენებლობას. მუშაობდა ენგურჰესის მშენებლობაზე – საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მუშაობდა №2 სამშენებლო ტრესტში, შემდეგ „საპატიო ნიშნის“ ორდენოსან სენაკის №5 სამშენებლო ტრესტში საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროს ინჟინრად. მინდობილ საქმეს ყოველთვის მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდა. იყო შესანიშნავი მეგობარი, კოლექტივის ლიდერი, გული და სული. სადაც იმუშავა, ყველგან სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ქალბატონი ნუნუ გახლდათ კარგი მეუღლე, დედა და ბებია.

აღზარდა სანიმუშო შვილები. ექიმები – **დათო და მანანა მაჭავარიანები**.

მისი შვილებით კმაყოფილი პაციენტების სიხარული ყველაზე დიდი ჯილდო იყო ქალბატონი ნუნუსთვის. ის ამაყობდა თავისი შვილებით.

მეუღლე, **გუბია მაჭავარიანი**, იყო ჩაის მრეწველობის ინჟინერი. გამოირჩეოდა საქმის ცოდნითა და კეთილსინდისიერებით.

ზურაბ პატარაია

ბატონმა ზურაბ პატარაიამ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე (1970 წელს) არქიტექტორად დაიწყო მუშაობა საპროექტო ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტ“-ში.

1976 წლიდან მუშაობდა სენაკში. 1976-79 წლებში იყო სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №5 სამშენებლო ტრესტის ტექგანყოფილების უფროსი ინჟინერი. საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსი.


1981-85 წლებში მუშაობდა №12 სამშენებლო ტრესტის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად.

1998 წლიდან გადაყავთ სენაკის რაისაბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების საწარმოო ჯგუფის (საპროექტოს) უფროსად. ხოლო 1998 2007 წლებში გახლდათ სენაკის რაიონის გამგეობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი, რაიონის მთავარი არქიტექტორი.

შემდგომი ოთხი წელი იმუშავა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსად, მთავარ არქიტექტორად.

2011-2016 წლებში იყო სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების გაყოფილების უფროსი.

2017 წლის 1 მარტიდან კი გახლავთ ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი.



ბიორბი შალამბერიძე

გიორგი შალამბერიძე დაიბადა 1960 წელს. სპეციალობით გახლავთ ინჟინერ-მანქანათმშენებელი უმაღლესი განათლებით.



ბატონი გიორგის შრომითი ბიოგრაფია იწყება სენაკის №5 სამშენებლო ტრესტის სახარჯთაღრიცხვო-სახელმეკრულებო განყოფილებაში უფროსი ინჟინრის თანამდებობიდან. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა 1982-83 წლებში. №5 ტრესტიდან გადაიყვანეს №50 მმკ-ში, სადაც ხუთი წელი იმუშავა საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფოსად.

1988-92 წწ. ისევ ბრუნდება №5 სამშენებლო ტრესტში საწარმო-ტექნიკური სახარჯთაღრიცხვო-სახელმეკრულებო განყოფილების უფროსად. შემდგომი ორი წელი კი იმავე ტრესტში იყო სამსახურის უფროსი, მთავარი ინჟინრის მოადგილე.

1994-2011 წლებში მუშაობდა სენაკის რაიონის გამგეობაში სამსახურის უფროსად, გამგებლის თანაშემწედ, აპარატის უფროსად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად.

2012-14 წლებში სამშენებლო საპროექტო კომპანია შპს „ავანგარდი 21-ე“ ტექნიკური სამსახურის უფროსია.. 2015-16 წლებში ჯერ ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ტექნიკური ზედამხედველია, შემდეგ კი სამშენებლო-საპროექტო კომპანია შპს „დაგი-ს“ ტექნიკური სამსახურის უფროსი.

2017 წლიდან მუშაობს მშენებლობის ინსპექტირების აკრედიტებული ორგანოს ექსპერტად (ტექნიკურ მენეჯერად).

ბატონი გიორგი შალამბერიძე დაჯილდოებულია ქების სიგელებით, მადლობებით.


რომან მიქავა

ახალგაზრდა ნიჭიერმა ინჟინერ-მექანიკოსმა **რომან მიქავამ** უსასყიდლოდ დაამონტაჟა №5 სამშენებლო ტრესტის ლაბორატორიის აპარატურა, პრესები და საგლეჯი მანქანა (Разрывная машина).

ბატონ რომან მიქავას დამთავრებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკური და პოლიტოლოგიის ინსტიტუტები.

მუშაობდა №5 სამშენებლო ტრესტში ინჟინერ-მექანიკოსის სხვადასხვა თანამდებობებზე.

ყავს მეუღლე და კარგი შვილები, შვილიშვილები.




ავთანდილ ფოცხვერია

ბატონ ავთანდილ ფოცხვერიას დამთავრებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებელი ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაციით და ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1977-90 წლებში მუშაობდა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №5 ტრესტის ჯერ მთავარ არქიტექტორ-ტექნოლოგად, შემდეგ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სამრეწველო საწარმოთა გაერთიანების დირექტორად.

1994–2007 წწ. შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამსახურის მთავარ სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზეა.



2014 წლიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრევლები“ თავმჯდომარე.

ბატონ ავთანდილ ფოცხვერაიას აქვს შესანიშნავი ოჯახი: მეუღლე **მანანა მაჭავარიანი** ექიმ-ოფთალმოლოგად მუშაობს სენაკის ამბულატორიულ კლინიკაში.

ქალიშვილი **ანა ფოცხვერაია** ექიმად მუშაობს თბილისში—სტომატოლოგიური კლინიკა „დენს“—ში.

ვაჟიშვილი, **დავით ფოცხვერაია**, მუშაობს თბილისის მერიის იურიდიული დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტად. სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში.

ვიჩხელავე (სლავე) ბარუჩავე

ვიჩხელავე (სლავე) ბარუჩავე დაიბადა 1948 წლის 24 სექტემბერს სენაკში, რაიონში ცნობილი პედაგოგების, გიორგი და ვალენტინა ბარუჩავეების, ოჯახში. 1966 წელს დაამთავრა ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოს სწავლებიანი მეოთხე საშუალო სკოლა. სასკოლო პროგრამასთან ერთად მიიღო პროფესიული განათლება, ხოლო სწავლა, შრომასა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

უმაღლესი განათლება მიიღო ქ. სარატოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1973 წელს სპეციალობით: საწარმოს და სამოქალაქო მშენებლობა. მიიღო ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ვიჩხელავე ბარუჩავემ თავისი სპეციალობით იმუშავა ქვეყნის მრავალ მნიშვნელოვან ობიექტზე.

1973-76 წლებში ქ. შვეჩენკოს (ყაზახეთის რესპუბლიკა) კასპიის ზღვის სანაპიროს სამშენებლო სამმართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად, სადაც ორჯერ დაჯილდოვდა რაციონალური წინადადებებისათვის.

1976 წელს ვ. გარუჩავა ბრუნდება მშობლიურ საქართველოში და მუშაობას იწყებს სენაკში №5 სამშენებლო ტრესტში ტექნიკური განყოფილების ინჟინრის თანამდებობაზე. 1977 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2 ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციებში იმუშავა მანამ, ვიდრე ტრესტმა არსებობა არ შეწყვიტა, რომელიც დაემთხვა ქვეყნის მმართველობაში გლობალურ ცვლილებებს.



ვ. გარუჩავა მუშაობდა სამტრედიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში ტექნიკური განყოფილების ინჟინრად; გალის სამშენებლო სამმართველოში ტექნიკური განყოფილების ინჟინრად, გალის სამშენებლო სამმართველოში მთავარ ინჟინრად; სენაკის სარაიონთაშორისო სამშენებლო სამმართველოში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 1983 წლიდან—სენაკის სპეცსარემონტო-სამონტაჟო სამმართველოში მთავარ ინჟინრად. 1986 წელს ასრულებდა სამმართველოს უფროსის მოვალეობას.

1995 წელს ვ. გარუჩავამ მონაწილეობა მიიღო ომისგან დანგრეული ქ. გროზნოს (ჩეჩნეთის რესპუბლიკა) აღდგენითი სამშენებლო სამუშაოებში, მუშაობდა სამუშაოთა მწარმოებლად.

2000-2007 წლებში მუშაობდა შპს „შავი ზღვის ნავთობტერმინალში“ მშენებლომაზზე სამუშაოთა მწარმოებლად—ორგანიზაციის დაარსებიდან ობიექტის ექსპლოატაციაში შესვლამდე.

ვ. გარუჩავა ყველგან, სადაც კი უმუშავია, სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით, ნდობით, პატივისცემით, სიყვარულით. გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, იყო კორექტული, დინჯი, მომთმენი, ჭირში და ღხინში თანამდგომი, ქართული ტრადიციების მატარებელი.

ვ. გარუჩავას ყავდა საუკეთესო ოჯახი. მეუღლე **მედეა წირღვაფასთან** ერთად გაზარდა შესანიშნავი ქალ-ვაჟი—**მაგდა და გიორგი**. თვითონ სწავლა განათლებას ანიჭებდა პრიორიტეტს და შვილებიც ასევე განათლებული, კარგი სპეციალისტები არიან.

მისი გატაცება იყო ასტრონომია, ისტორია, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა. ბევრს კითხულობდა. მისდევდა სპორტს.

2017 წელს ვიაჩესლავ (სლავა) გარუჩავა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან კარგი სენაკელი, გულთბილი პიროვნება, საუკეთესო მეგობარი.

მურმან ღებუაძე

ბატონი მურმან ღებუაძე პროფესიით გახლდათ ინჟინერი. მუშაობდა №5 ტრესტის №50 მმკ-ის უფროსად. სწორედ №50 მმკ-ის აშენებულია სენაკში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი „KCK“ (სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატი). —მშენებლობის ფართო მასშტაბები მოითხოვდნენ ახალი არ-



ტიკულის სამშენებლო მასალებს. აქედან გამომდინარე, ამ მეტისმეტად საჭირო, საშური ობიექტის დროზე და ხარისხიანად ჩაბარება დროის მოთხოვნა იყო, რასაც შესანიშნავად გაართვა თავი ბატონმა მურმან ღებუაძემ.

ობიექტის გახსნის საზეიმო მიტინგს ესწრებოდნენ სტუმრები თბილისიდან: მინისტრი ბატონი ი. ხარატიშვილი, ცკ-ის სამშენებლო განყოფილების უფროსი ბ-ნი ვ. ანდრონიკაშვილი, ვ. ესვანჯია, მხატვარი-კარიკატურისტი გიგლა ფირცხალავა და სხვა საპატიო სტუმარი.

ბ-ნი მურმანი დინჯი, აუჩქარებელი, ხელმძღვანელი გახ-

ლდათ. მეუღლე ნათელა ბერულავა-დგებუაძე სამუსიკო სკოლის პედაგოგია.

ბატონი მურმანი ადრე გარდაიცვალა. მისი ნაადრევად შეწყვეტილ სიცოცხლეს სამი კარგად აღზრდილი, განათლებული ვაჟკაცი აგრძელებს. ორი მათგანი საზღვარგარეთ მუშაობს.

დახმირ ბერია

პროფესიით ინჟინერ-მშენებელი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კვების სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ინჟინრად, ნოსირის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ინჟინრად, „საქკურორტმშენის“ წყალტუბოს სამმართველოს სენაკის უბნის სამუშაოთა მწარმოებლად, №5 სამშენებლო ტრესტის კომპლექტაციის სამმართველოს უფროს ინჟინრად, №5 სამშენებლო ტრესტის საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროს ინჟინრად, სენაკის მექანიკური ქარხნის მშენებლობის განყოფილების ინჟინერ-ტექნიკურადამხედველად, სენაკის აეროპორტის სამსახურის უფროსად, შპს „მოზაიკის“ წარმოების უფროსად, მცირე საწარმო „მარჯის“ დირექტორად, გახლავთ შპს „მარჯის“ დამფუძნებელი.

ზურაბ ჯანაშია

ზურაბ ვარლამის ძე ჯანაშია დაიბადა 1942 წელს. 1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის №1 საშუალო სკოლა. ასევე წარჩინებით დაამთავრა საინჟინრო ფაკულტეტი.

ბატონი ზურაბის შრომითი ბიოგრაფია იწყება სენაკის №5 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს ჩხოროწყუს სამშენებლო უბანში სამუშაოთა მწარმოებლად, საიდანაც 1968 წელს გადაყვანილიქნა №5 ტრესტის №12 მმ კოლონის საწარმოო ტექნიკური განყოფილების ინჟინრად. ხოლო 1978-

1985 წლებში მუშაობდა იმავე საწარმოს უფროსად.

1978 წლიდან უკვე კერძო სტრუქტურებში იწყებს მუშაობას: იყო შპს „პროგრესის“ ხელმძღვანელი. ხოლო 2009 წლიდან გარდაცვალებამდე იყო შპს „მარჯის“ დირექტორი.

ყველგან, სადაც კი უმუშავია ზურაბ ჯანაშიას, გამოირჩეოდა მისთვის დამახასიათებელი ხელწერით–მინდობილი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით და მაღალი ორგანიზებული მიდგომით. სენაკში მისი ხელმძღვანელობით აშენდა არაერთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სამხატვრო გალერეა, სკოლები.

ზურაბ ჯანაშია მრავალგზის დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით, ქების სიგელებით და ფულადი პრემიებით.

შოთა ძიძავა

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი–სპეციალობით: მრეწველობა და სამოქალაქო მშენებლობა.

1973 წლის ნოემბრიდან 1974 წლის თებერვლამდე მუშაობდა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №5 ტრესტის №12 მმკ–ში მშენებლობის ოსტატად ტრესტის მექანიზაციისა და ტრანსპორტის სამმართველოს საწარმოო ბაზის მშენებლობაზე.

შემდგომი ოთხი წელი იმუშავა სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2 ტრესტის ცხაკაიას სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში სამუშაოთა მწარმოებლად. ამ შუალედში ააშენა ნოსირის დაფნის მეურნეობის ბაგა-ბაღი, სოიოს სამრობი, საკლანტაციო გზები და შემოკავებითი სამუშაოები ნოქალაქევის სათესლე მეურნეობაში, ნოქალაქევის პიონერთა ბანაკში ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრების მწარმოებელთათვის ააშენა საცხოვრებელი კორპუსი, სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყლის რეზერვუარები. 1978-80 წლებში მუშაობდა სასოფლო

მშენებლობის სამინისტროს №5 ტრესტის №12 მმ კოლონაში უფროს სამუშაოთა მწარმოებლად.

ამ პერიოდში კურირებდა კოტიანეთის, ნოქალაქევის და გეჯეთის მეურნეობებში წარმოებულ მშენებლობებს (ბაგა-ბაღებს, საცხოვრებელ ბინებს, საძროხეებს, საღორე ეზოს).

1980 წლის სექტემბრიდან 1984 წლის დეკემბრამდე მუშაობდა №5 ტრესტის №12 მმ კოლონაში უფროსის მოადგილედ და კურირებდა კურორტ მენჯის სანატორიული კომპლექსის მშენებლობას. ამის შემდეგ იყო №5 სამშენებლო ტრესტის საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი, პარალელურად კი ასრულებდა ტრესტის საბინაო-კომუნალური განყოფილების უფროსის მოვალეობას.



1985 წლიდან 1988 წლის დეკემბრამდე მუშაობდა რ/გ „საქაგრომშენის“ №5 ტრესტის №50 მმ კოლონის უფროსად. ამ პერიოდში აშენდა სენაკის პროკურატურა-სასამართლოს შენობა, მექანიკური ქარხნის საცხოვრებელი კორპუსი, ნოსირისა და გეჯეთის საბჭოთა მეურნეობების შენობები, ჰიგიენის სახლი, ქალაქის ფეკალური კანალიზაცია, ხალიჩების კომბინატის რეკონსტრუქცია

1988-92 წლებში მუშაობდა რ/გ „საქაგრომშენის“ №5 სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილედ მომარაგების დარგში. ახდენდა აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, სობის, ზუგდიდის, წალენჯიხის და მესტიის მმკ-ების მშენებარე ობიექტების მომარაგებას სამშენებლო მასალებით.

1992 წლის ივლისიდან 1994 წლის სექტემბრამდე მუშაობდა რ/გ „საქაგრომშენის“ №5 ტრესტის მთავარ ინჟინრად. 1994 წლის სექტემბერში №5 ტრესტი გადაკეთდა სააქციო საზოგადოება „ლაზიკად“, სადაც დაინიშნა გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ.

ბატონი შოთა ძიძავა 1998 წლის დეკემბრიდან 2003 წლის

მარტამდე მუშაობდა ქ. სენაკის გამგეობის მთავარ მრჩეველად (ჯგუფის უფროსად) ურბანიზაციისა და მშენებლობის საკითხებში.

თადეოზ ტაბაღუა

ბატონი თადეოზი ენერგიული, გამოცდილი და დაკისრებული საქმის უნაკლო შემსრულებელი გახლავთ.

აქვს ლამაზი ოჯახი. მეუღლე, მანანა ალანია—უცხო ენის სპეციალისტი, კეთილშობილი ქალბატონია. პედაგოგი ვახტანგ ალანიას ქალიშვილი საზოგადოებაში სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით. ყავთ კარგი შვილები, პატარა შვილიშვილი ნიკოლოზი.



როცა მშენებლობაზე დასაწერად მასალებს ვაგროვებდი, თადეოზი შემხვდა გზაზე. ვეკითხები:

—თათა, რუსთაველის ქუჩაზე რვასართულიან საცხოვრებელ სახლს შენ აშენებდი არა?

—დიახ, დაგაავიწყდა საძირკვლის ბლოკები რომ დამიწუნე და ამომაყრევინე?

—მახსოვს, ბატონო თადეოზ, მაგრამ ეს ჩემი ნებით არ მომხდარა. სტანდარტმა არ მომცა უფლება


მშენებლობაში გამეშვა ლილოს რკინა-ბეტონის ქარხნის დაბალმარკიანი საძირკვლის ბლოკები.

მერე კი რამდენი ახალმოსახლე გავახარეთ მკვიდრად ნაშენები, ხარისხიანი ბინებით!...

ბია ჭანტურიძე

დაიბადა 1941 წელს ქ. ცხაკაიაში. 1959 წელს დაამთავრა ცხაკაიას №2 საშუალო სკოლა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკურ ფაკულტეტზე, პარალელურად მუშაობდა ქიმიურ ქარხანაში ოპერატორად. სწავლას აგრძელებს იმავე ინსტიტუტის სადამოს დასწრეებულ განყოფილებაზე და ლაბორანტად იწყებს მუშაობას კვლევით ინსტიტუტში.



1965 წლიდან ოსტატად დაიწყო მუშაობა ბათუმის ინსტრუმენტალურ ქარხანაში. 1969 წელს უკვე დიპლომით ხელში ბრუნდება მშობლიურ სენაკში და მუშაობას იწყებს სამშენებლო სამმართველოში მთავარ მექანიკოსად. 1970-73 წლებში კი ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მთავარი ინჟინერია. ამ თანამდებობიდან გადაყავთ №5 სამშენებლო ტრესტის მცირე მექანიზაციის უფროსად და ემსახურება დასავლეთ საქართველოს.

1982-84 წლებში მუშაობს №2 სამშენებლო ტრესტის მთავარ ინჟინრად.

ბატონ გიას ინჟინრად მუშაობის პერიოდში ჩაბარებული აქვს ათეულობით განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი.

მინისტრისგან დაჯილდოებულია ქების სიგელით.

ყავს მეუღლე, ორი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

როგორც თვითონ სთქვა ჩემთან საუბარში, მისი პატიოსნება და შრომა დააფასეს თანაქალაქელებმა და ამაყად დადის მშობლიური სენაკის ქუჩებში.

დემურ ჯანაშია

დემურ ჯანაშია დაიბადა 1947 წელს. აქვს მშენებლისა და სამართალმცოდნის სპეციალობები.



ბატონი დემურის შრომითი ბიოგრაფია იწყება ქ. ფოთიდან. 1978 წლიდან მუშაობდა №5 სამშენებლო ტრესტის №2 მმ კოლონაში ჯერ ბრიგადირად, შემდეგ სამუშაოთა მწარმოებლად, №5 ტრესტის რეინა-ბეტონის საამქროში საამქროს უფროსად.

1993 წელს №5 სამშენებლო ტრესტთან ჩამოაყალიბა მრავალდარგოვანი სამშენებლო კოოპერატივი, რომელიც ასრულებდა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს.

1996 წელს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სენაკის ბატალიონში.

2002 წელს მუშაობდა შხევის უბნის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ.

2004 წლიდან მუშაობდა შპს „კეთილმოწყობისა და მშენებლობის“ განყოფილების უფროსად, კეთილმოწყობის დირექტორად. აიპ სენაკის დასუფთავებისა და გამწვანების დირექტორის მოადგილედ მუშაობს დღემდე.

2013 წლიდან არის სამშენებლო-სარემონტო კომპანია „მშენსერვის“-ში დამფუძნებელი.

ჩატარებული აქვს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ერთი სიტყვით, მრავალფეროვანია ბატონ დემურის ხელმძღვანელობით შესრულებული სამოშაოთა ნუსხა: შხეფში, ყოფილი ჩაის ფაბრიკის გვერდით, ახალი პარკის მშენებლობა; ჭავჭავაძის ქუჩაზე პარკის კეთილმოწყობა-შემოკავება; ცენტრალური გზის განათება ფოთის მიმართულებით; ასევე ხორშის მიმართულებით გარე განათების სამუშაოები; ღვინ-ჯილიას ქუჩაზე გზის განათება, სახლების რემონტი.

ნოქალაქევი—სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები; ძველი სენაკში—კლუბის რემონტი, სანიაღვრე არხების მშენებლობა; სოფელ ზანაში— სკოლის რემონტი, ადმინისტრაციული სახლის რემონტი, გზების რეაბილიტაცია; სოფელი მენჯში—სკოლის, გზების რემონტი, ბაგა-ბაღის მშენებლობა; წყლის შეყვანა სოფელ რეკას უბანში; ს. ჭალადიძეში—წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ გეჯეთში ბავშვთა სახლის მშენებლობა, ბაგა-ბაღის კეთილმოწყობის სამუშაოები; თეკლათში—ტყირის უბანი— ფეხბურთის მოედნის მშენებლობა; სენაკის №1 და №2 სკოლების რემონტი; სასულიერო სკოლის წინ ხიდისა და სანიაღვრე არხის მშენებლობა; სოფელ ნოსირში ბაღის კეთილმოწყობა, ფეხბურთის მოედნის მშენებლობა.

აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სენაკში იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ეკლესიის მშენებლობაში.

კუკური ნინუა

კუკური ნინუას სენაკში იცნობენ როგორც ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას. თავისი ადამიანური თუ მოქალაქეობრივი ხედვის, მრწამსის თვალსაზრისით მას დიდ პატივს სცემდნენ თანაქალაქელები. პატივისცემასა და სიყვარულს მეტსახელებით („დავიდოვიჩი“, „ქილიმი“) გამოხატავდნენ.



წლების განმავლობაში მუშაობდა №5 სამშენებლო ტრესტში მთავარ ინჟინრად, შემდგომ დირექტორად. საქმის მცოდნე, კეთილსინდისიერი მუშაკი, დავალების უნაკლოდ შემსრულებელი—ასე იცნობდნენ ყოველთვის.

ბატონი კუკური ნინუას აქვს დიდებული ოჯახი: ყავს

მეუღლე, ქალბატონი ლეილა, სამი შესანიშნავი შვილი-თამარი, მაია, ირაკლი. რძალი ხათუნა. შვილიშვილი დათა სკოლის პარალელურად ღებულობს განათლებას სამუსიკო სკოლაში.

ვენედიქტი (ვენე) არჩაია

ვენე (ვენედიქტი) ვლადიმერის ძე არჩაია დაიბადა 1918 წელს სენაკში, პროვინციის ოჯახში. 1935 წელს წარჩინებით დაამთავრა №2 საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. ინსტიტუტი დაამთავრა მშენებელ-არქიტექტორის სპეციალობით და ინჟინრად დაიწყო მუშაობა ქ. სენაკში საქართველოს შს სახ. კომისარიატის №142 სპეც მშენებლობაზე.

1946 წელს გადაყავთ საქ. კპ სენაკის რაიკომში ინსტრუქტორად. 1947 წლიდან ინიშნება სენაკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის გამგედ. საცხოვრებლად ტყვარჩელში გადასვლასთან დაკავშირებით ინიშნება ტრესტ „ტყვარჩელმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად, შემდეგ უფროსად.

1957 წელს მუშაობს სენაკის კირის ქარნის დირექტორად. 1960 წლის იანვრიდან გადაყავთ სენაკის ხალიჩების საქსოვი კომბინატის მშენებლობის უფროსად. 1962-66 წლებში არის სენაკის საქალაქო საბჭოს კომუნალურ საწარმოთა კომბინატის დირექტორი..

ბატონი ვენედიქტი დაჯილდოებული იყო მრავალი მედლითა და სიგელით. იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერი, დამსახურებული არქიტექტორი, არქიტექტორთა კავშირის წევრი. რაიონის პირველი საპატიო მოქალაქე.

გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 1991 წელს) ვენედიქტი არჩაიას სახელი მიეკუთვნა ქ. სენაკის ერთ-ერთ ქუჩას.

ვლადიმერ არჩაია

ვლადიმერ ვენედიქტეს ძე არჩაია დაიბადა 1943 წელს ქ. სენაკში. დედა გახლდათ პედაგოგი. მამა—არქიტექტორი.

სენაკის №1 სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით.

მუშაობდა თბილისის ზონალური სამეცნიერო ტიპიური და ექპერიმენტული პროექტების ინსტიტუტში (თბილზნიიე-პი). 1974 წლიდან საკავშირო მშენებლობის სამინისტროს მშენიანდუსტრიის თბილისის ტექნოლოგიური ბიუროს მშენებლობის გამგე იყო.

ხოლო 1975 წლიდან გადაჰყავთ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში. მუშაობდა №5 ტრესტის №12 მმკ—ს მთავარ ინჟინრად; №10 ტრესტის №6 კოლონიის უფროსად; №5 ტრესტის № 50 მმკ უფროსად; სამშენებლო-სამრეწველო კომბინატის დირექტორად.

1990-93 წლებში ფოთის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსია. 1993-95 წლებში კი მუშაობდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სამშენებლო ფორმა „ავ-ეს“-ს დირექტორად.

1995-96 წლებში ფოთის სამშენებლო-სამრეწველო კომპლექს „ფაზისის“ გენერალური დირექტორი ხდება. 1996-98 წლებში კი მუშაობდა ურბანიზაციისა და სამინისტროს ქ. ფოთის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილედ.

ბატონი ვლადიმერ არჩაია გარდაიცვალა 2003 წელს.

რაულ ოდიშარი

საშუალო განათლება მიიღო ნოსირის საშუალო სკოლაში. 1964 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა დო-

ნის როსტოვის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში.

მუშაობდა რუსეთის დიდ ქალაქებში სხვადასხვა ობიექტებზე: როსტოვ-ბატაისკის ხიდის მშენებლობაზე, გაგრაში, სოჭში, მაცესტაში, ტიხარეცკში, პიატიგორსკ-ესენდუჟკის-ლოვოდსკის მონაკვეთზე გზაგამტარებზე და ხიდებზე, კისლოვოდსკის თეატრის რეკონსტრუქციაზე და სხვადასხვა ობიექტებზე ასრულებდა ფართო მასშტაბიან სამშენებლო სამუშაოებს. 1970 წელს, როსტოვის სამშენებლო სამმართველოში მუშაობის დროს, რაულ ოდიშარიამ ააშენა ხიდი მდინარე ცხენისწყალზე. საქართველოში პირველად იქნა გამოყენებული ბურჯებში 1,6 მეტრიანი მრგვალი მილების ჩასმა. აშენებული ხიდი სპეციალისტებმა საუკეთესოდ ჩათვალეს.

რაულ ოდიშარია 1983 წელს (ბატონი ნოდარ ჭითანავას რეკომენდაციით) გადაყვანილ იქნა თბილისში სასოფლო მშენებლობის აპარატში განყოფილების უფროსად. მან თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარა რესპუბლიკის მასშტაბით არაერთი სასოფლო დანიშნულებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტის მშენებლობას.

რაულ ოდიშარიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აშენდა ნოსირში კულტურის ორი სახლი, სასოფლო საბჭოს შენობა, გაყვანილიქნა სატელეფონო ქსელი და გზაგამტარი, დაპროექტდა მიწისქვეშა გასასვლელი ბაქანთან. 2006 წელს აშენდა რკინიგზის ხიდი მდინარე ტეხურზე.

რაულ ოდიშარიას პირად არქივში ინახება მადლობის მრავალი წერილი, სიგელი. აქვს მრავალფეროვანი ფოტომატრიანე, დამსახურებული ღვაწლისათვის დაჯილდოებული იქნა **ღირსების ორდენით**.

ჟორა კაშიბაძე

ბატონი **ჟორა კაშიბაძე** წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სენაკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს (მოადგილე გახლდათ **გ. ლომია**). აღნიშნული ორგანიზაცია ცნობილია რაიონის სოფლის მშ-

რომელთათვის საჭირო, აუცილებელი ნაგებობების შენებით.

ორგანიზაციის მიერ აშენებულ აუცილებელ და საჭირო ნაგებობათა ნუსხას მიეკუთვნება: საიჯარო ბრიგადის მუშაკთა დასასვენებელი სახლი, მეცხოველეობისათვის განკუთვნილი კომპლექსები თეკლათში.

რაც მთავარია, ყველა ნაგებობა მკვიდრად, ხარისხიანად იყო ნაშენები.

ნოდარ ჯობაჯა

ბატონი ნოდარი სკოლის დამთავრების შემდეგ ფიზიკურად მუშაობდა: კოლმეურნეობაში, რუსთავის მეტალურგმშენის ტრესტში მებეტონედ, მუშაობდა კალატოზად.

სწავლობდა საბუღალტრო ტექნიკუმში. შემდეგ დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი 1974 წლიდან მუშაობს ჯერ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოების სპეციალიზებული სამმართველოს ხელმძღვანელად, შემდეგ ტრესტ „ოლიმპიადმშენში“.

ბატონი ნოდარის თაოსნობით აიგო ათეულობით სპორტული კომპლექსი, სკოლა, საბავშვო დაწესებულება თუ საცხოვრებელი სახლები. იგი მონაწილეობდა სენაკის ყველა სპორტული ნაგებობის აშენებაში.

ნოდარ ჯობაჯას გაჭირვების ტალკეკეს ეძახდა ყველა. ვინ მოსთვლის რამდენ ხელმოკლე ოჯახს გაუმართა ხელი.

ქველმოქმედება ბატონი ნოდარისთვის განსაკუთრებული ჰობი იყო.

ამონარიდი 1984 წლის 11 სექტემბრის გაზეთ „კოლხეთიდან“: „ცხაკაიას მშრომელებმა კიდევ ერთი შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს: საზეიმო ვითარებაში გაიხსნა და მწყობრში ჩადგა ახალი, ყველაზე დიდი სპორტული კომპლექსი.


საზეიმო მიტინგზე განსაკუთრებით აღნიშნეს ტრესტ „საქსოფლსპორტმშენის“ ცხაკაიას №3 სპეციალიზებული რესპუბლიკური სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს შრომითი კოლექტივის (უფროსი ნ. ჯობაჯა) შესახებ, რომელმაც ყვე-

ლაფერი გააკეთა სპორტული კომპლექსის მაღალი ხარისხისა და ექსპლოატაციაში დროული გადაცემისათვის.

ბატონი ნოდარ ჯობავა სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ორგანიზაციას.

იუზა ნადარეიშვილი

იუზა გალაქტიონის ძე ნადარეიშვილი დაიბადა 1924 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.



ბატონმა იუზამ შრომითი საქმიანობა დაიწყო სენაკის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების მთავარ ინჟინრად.

სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსის თანამდებობაზე. აღნიშნული ორგანიზაცია ქალაქის მასშტაბით ატარებდა სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. მისი მუშაობის პერიოდში განხორციელდა სასტუმრო „ვერისის“, რესტორან „ტურისტის“, კინოთეატრ „ოქტომბრის“ შენობების, ა. ხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

1975 წლიდან მუშაობს კოლხიდმშენის ხობის საგზაო სამშენებლო სამმართველოს უფროსად. მის სახელთან არის დაკავშირებული კოლხეთის ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა და სასოფლო გზების შავი საფარით (ასფალტით) დაფარვის და სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

მშობლები პედაგოგები იყვნენ. ყავს სამი ვაჟი, სამივე ექიმი: გარი, ბაჩანა და ზაზა.

ახლობლებში, მეგობრებსა და მეზობლებში სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით.

გარდაიცვალა 1991 წელს.

ბივი ბალათურია

გივი ბალათურია დაიბადა 1927 წლის 1 აგვისტოს. 1948 წელს ჩაირიცხა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, დაამთავრა 1953 წელს ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით.

1965 წლიდან მუშაობს გაზის სამმართველოს მშენებლობზე, შემდეგი ცხრა წელი კი უფროსი გახლდათ.

იყო №2 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსი, იმ პერიოდში გაშენდა ბაგა-ბაღი (ახლანდელი „მარიოტა“).

გივი ბალათურიას იცნობდნენ როგორც განათლებულ პიროვნებას, ნიჭიერ ინჟინერს, სანდო სპეციალისტს. მეგობრებში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა.

ბატონი გივის შვილიშვილი გივიკო ახლა სტუდენტია. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ბატონი გივის მეგობრებმა სახელითა და გვართით ამოიცნეს მისი შვილიშვილი.

გივიკოს ეამაყება რომ ასეთი ბაბუას სახელს ატარებს.



ივლიანე ბარშჩავა

ივლიანე ანტონის ძე გარუჩავა დაიბადა 1918 წლის 5 მარტს ახალსენაკის მაზრის სოფელ ზემო ჭკალადიდში. 1931 წელს დაამთავრა სენაკში არსებული საშუალო სკოლა. ხოლო 1936 წელს—ფოთის ინდუსტრიული ტექნიკუმი. 1936-38 წლებში პედაგოგად მუშაობდა სენაკში. 1938 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში და ჩაირიცხა სამშენებლო ფაკულტეტზე. 1941 წელს მეოთხე კურსიდან იქნა დემობილიზებული წითელი არმიის რიგებში. 1942 წლის თებერვალში კი წარმატებით დაამთავრა ქ. თელ-

ავის სამხედრო სასწავლებლის ექვსთვიანი (დაჩქარებული) კურსები და ლეიტენანტის ჩინით იქნა გაგზავნილი დადესტნის ქალაქ ბუინაკსკში ფორმირებადი 414 –ე ქართული დივიზიის განკარგულებაში. მონაწილეობა აქვს მიღებული



ბრძოლებში: კავკასიის დაცვისათვის; პირველი უკრაინის ფრონტის მე-11 არმიის რიგებში უკრაინის განთავისუფლებისათვის, ვარშავის განთავისუფლებისათვის, მდინარეების: ვისლას, ოდერისა და სპრეეს ფორსირებისათვის, ბერლინის აღებისათვის. მონაწილეა ამერიკელებთან პირველი შეხვედრისა მდინარე ელბას ნაპირებზე ქ. ტორგუაში. ომის დამთავრების შემდეგ 16 მაისამდე იბრძოდა პრადის განთავისუფლებისათვის. 1945-46 წლებში მონაწილეობდა გერმანიაში ზოგიერთი

სტრატეგიული დანიშნულების ობიექტის დემონტაჟსა და საბჭოთა კავშირში გაგზავნაში.

მიღებული აქვს: წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის, საპატიო ნიშნის და ღირსების ორდენი, 20-ზე მეტი საბრძოლო მედალი, მათ შორის: კავკასიის დაცვისათვის, კიევის, ვარშავის, პრადის განთავისუფლებისა და ბერლინის აღებისათვის.

თადარიგის კაპიტანმა დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა და 1948 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით. 1949 წლიდან მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროს ინჟინრად, 1972 წლიდან – მთავარი სამმართველოს უფროსად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა მეფრინველეობის მსხვილი ფაბრიკები, რეპროდუქტორები, მეცხოველეობის კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლები, კლუბები, წყალსადენები და სხვა.

ბატონ **ივლიანე გარუჩავას** მინიჭებული აქვს „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება, 2002 წელს მიღებული აქვს საქართველოს ღირსების ორდენი.

გარდაიცვალა 2007 წელს.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლები

საწარმო პირველად №2 სამშენებლო ტრესტს ეკუთვნოდა. №-2 ტრესტში შედიოდა საავტომობილო გზების მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანება. №2 ტრესტის მშენებლებს ჩვენი ქალაქის მშენებლობაში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ. გაზეთი „კოლხეთი“ წერდა: „ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს №2 ტრესტის საავტომობილო გზების მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანების კოლექტივი (უფროსი დ. **გადელია**, მთ. ინჟინერი **გ. რობაქიძე**).

ინჟინერ-მექანიკოსმა, ბტონმა **დემურ გადელიამ**, 1980 წელს პატარა „რონოდით“, ექსავატორითა და რამდენიმე თვითმცლელი ავტომანქანით ჩაუყარა საფუძველი იმ დროისათვის უმსხვილესი საწარმოს მშენებლობას სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკში, მდინარე ტეხურას პირას, დაჭაობებულ და ეკალ-ბარდით დაფარულ ტერიტორიაზე.

ბატონი დემურ გადელიას დამთავრებული აქვს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით; საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი; თბილისის საბანკო –საფინანსო ინსტიტუტი, აქვს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. არის სახელმძღვანელოების: „კორპორაციათა



ფინანსები”, „ფინანსური მენეჯმენტი”, მონოგრაფიების და სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. იყო საქართველოს ორგზის პარლამენტარი.

1983 წლის მიწურულს საწარმო გადაკეთდა „საავტომობილო გზების მშენებლობის”, მექანიზაციისა და ავტოტრანსპორტის გაერთიანებად—იქცა დამოუკიდებელ ორგანიზაციად.

მთელ დასაველეთ საქართველოში მშენებლობები ერთდროულად მიმდინარეობდა. სამუშაოების მოცულობათა მკვეთრად ზრდამ ბატონი დემურის გადააწვევტინა შეექმნა მძღავრი საკუთარი სამშენებლო ბაზა. გადაწვევტიღება მოკლე დროში მოიყვანა სისრულეში და 1989 წლიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში შეუღვა ფართო მასშტაბიანი სამუშაოთა შესრულეებას აგროსამშენებლო ფირმა „სენაკი“.

ფირმა 1996 წლიდან ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად და ეწოდა „არქეოპოლისი.” დღეს იგი ერთ-ერთი წარმატებული საგზაო სამშენებლო კომპანიაა ჩვენს ქვეყანაში.

აქ,მარადმწვანე ნაძვებითა და ყვავიღებით დამშვენებულ ეზოში, ყვეღაფერი გეგმიანადაა განაწიღებული: საერთო საცხოვრებელი ბინები, სასტუმრო, საწვავის გასამართი სადგური, სასადილო, გარაჟი, სახერხი საამქრო, რკინა-ბეტონის პოლიგონი, ასფალტის ქარხანა, საქონლის ფერმა, თევზების აუზი, ბოსტანი, ყანა, საღისპეტჩერო საგუშაგოები.

საქმიან ეზოში მთასავითაა დასაწყოებელი ინერტული მასაღები, ყვეღაფერს მზრუნველი ხელი ეტყობა, სარევეღა ბაღახიც არ ჭაჭანებს თვალსაწიერზე. აქ ვინმე უსაქმურად მოყიღლეს ვერ ნახავ. ყვეღგან და ყვეღაფერში წესრიგია. თითოეული დასაქმებული პირი მისთვის მინდობიღ საქმეს პასუხისმგებლობით ეკიღება და ზეღმიწვენით სრულფასოვნად ასრულეებს.—უფროსი მათ სიყვარულით ეღახის „ჩემს გუნდს.”

დასაქმებულთა უმრვეღესობა ძირითადად ადგიღობრივები არიან: ახაღგაზრდა მექანიზატორები: ვეღლოღი ბჟაღაღვა და გივი ხუბუნაია; ასფალტზე მომუშავეები—არკად შათირიშ-

ვილი და შუქურ დავითაია; სამსხვრეველას მუშები—ნოკოშა ჩიქობავა, ტარიელ ცოშია, ზაზა კილასონია და რამინ სიმონია; მხერხავეები დამირ ჯანჯღავა და კარლო მაჭავარიანი; გუშაგები— ვაჟა ტორჩინავა, ბორია ჩალიგავა, გუგუშა ჯიქია; ელშემდღებელი გია ადამია; სოფლის მეურნეობის მუშა ილუშა კუპრეიშვილი ყოველთვის საქმის კურსში არიან და თავგამოდებით მუშაობენ. უვლიან ყანას, ეზოს.

მთავარი ბუღალტერი არის **ლენორა ბაღათურია-აბდუშელიშვილი**.

მაღალია წარმოების კულტურა. ბატონი დემური სისტემატურად აკონტროლებს ტექნიკურ მაჩვენებლებს, ელექტროენერჯისა და საწვავის ყაირათიან ხარჯვას.

განათლებული სპეციალისტი საერთო-საინჟინრო გათვლას უნდა აკეთებდესო. აღნიშნულ საწარმოში უახლესი ტექნიკური ლიტერატურის სიახლეებს ყოველთვის ეცნობიან. საწარმოში საკმაოდ მდიდარი ტექნიკური ბიბლიოთეკა აქვთ.

მეც ამ საწარმოში ვმუშაობდი, როცა მუშაობა თითქმის ყველა საწარმოში შეწყდა (მე-20 საუკუნის 90-იანი წლები).

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი პარალიზებული იყო, იქ მუშაობა მაინც მიდიოდა. საარსებოდ სამყოფ საშუალებას დებულობდი. როცა პური არ იშოვებოდა, იქ პურს გაძლევდნენ, ხელფასიც იყო.

დიდი მადლობა ბატონ დემურის კაცთმოყვარეობისათვის, გვერდში ამოდგომისათვის, ადამიანური თანადგომისათვის.

ბატონი დემური ნიჭიერი, განათლებული, ნებისყოფიანი, ამტანი, კარგი ორგანიზატორია. ის მუდმივად ისწრაფვის სრულყოფისაკენ და ამიტომაც ძალიან მომთხოვნია საკუთარი თავისა და სხვების მიმართ.

ამბობენ: ბევრს თხოულობს, მაგრამ უფრო მეტს გასცემსო. მისი უღალატო თვისებებია: თავაზიანობა, ტაქტიანობა, დიპლომატია, ინტელექტი და შორს ხედვის, განჭვრეტის უნარი.

ხალხმა თუ ნდობა გამოგიცხადა, უფროსად გცნო, არ უნდა უღალატო, არ მოატყუო რამეთუ საზოგადოების სამ-

სახური ყველაფერზე მაღლა დგას და მას პატივისცემითა და სიყვარულით უნდა მოეკიდო.

როცა თანამშრომელი (ზაზა) დაჭრეს, სენაკის გზები გადაკეტილ-ჩახერგილი იყო კონსტრუქციებით. მთელი კოლექტივი ფეხზე დადგა სიცოცხლის გადასარჩენად. სამმა მათგანმა საკუთარი სისხლი გაიღო, უცებ გაჩნდა მედიკამენტები. უფროსმა დიდი რისკის მიუხედავად მოახერხა საკუთარი მანქანით ჩამოეყვანა ქუთაისიდან ექიმი. სადამოს, როცა ახალგაზრდა სიცოცხლე გადარჩა, კოლექტივმა სიკვდილთან ჭიდილისა და გამარჯვების დიდი სიხარული განიცადა.

სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისი“

მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე იქ, სადაც ძველი სენაკი და ნოსირი ხიდით უერთდება ერთმანეთს, მდებარეობს სს „არქეოპოლისი“.

არქეოპოლისი, ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში მდ. ტეხურთან, ისტორიული წყაროების მიხედვით ააგო ეგრისის და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ, ძვ. წ.

მესამე საუკუნის დასაწყისში. სიტყვა არქეოპოლისი ბერძნულია. მისი ქართული შესატყვისია „ნაქალაქევი.“

გავიდა დრო... თაობები შეიცვალა. ძველთაგან ბევრი აღარ არის. სამუშაო ადგილები ახალი მუშახელით შეივსო. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნები წამოჭრა საწარმოს წინაშე.

შს „არქეოპოლისი“ დღეს მუშაობს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად: მოდერნიზებული ასფალტო-ბეტონის ორი ქარხანა, ქვის სამსხვრევი ოთხი საამქრო, გერმანულ-ავსტრიული ფირმის ახალი, მოძრავი ქვის სამსხვრევი დანადგარი, რკინა-ბეტონის ტექნიკურ ნაკეთობათა პოლიგონი, არმატურის, სამშენებლო ბლოკის, სახარატე, ავტოსაზეინკლო, სამხატვრო-სადიზაინერო საამქროები, დიდი

მოცულობის სასაწყობე-საქვებზე და დამხმარე მეურნეობები. დამონტაჟებულია ლითონის 1200 ტონის ტევადობის ბითუმის ორი რეზერვუარი, ფუნქციონირებს განახლებული ავტოსატრანსპორტო პარკი, თევზის საშენი ტბორები, უფასო სასადილო და პურსაცხობი.

საწარმოს გააჩნია ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკა; ხე-ტყის სახერხი, საღურგლო და ცემენტო-ბეტონის საამქროები; საკუთარი მოხმარების ელსადგური და მასთან დაკავშირებული სატრანსფორმატორო კომუნიკაციები; ორი 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც ძირითადად შესახლებულია დევნილთა ოჯახები; კეთილმოწყობილი-თანამედროვე ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ოფისი საკონფერენციო, სატრენაჟორო დარბაზებით, საოფისე ოთახებით, ეზოს შადრევნითა და დასასვენებელი პარკ-ხეივანით. საწარმო მთლიანად გაზიფიცირებულია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექნიკის განახლებასა და შევსებას. ბოლო წლებში აქ შეძენილია მძიმე ტვირთამწეობის ავტომანქანები— „კამაზები“, „მანები“, ე.წ. „უნაგირსაწევალი“, მისაბმელები, ასფალტის ვიბრაციული დამტკეპნი, იტალიური საგზაო „ფრეზე“, იაპონური და გერმანული წარმოების ექსკავატორები, გრეიდერები, ასფალტო-ბეტონის ნარევის დამგები მექანიზმები.

2009 წლიდან საწარმოში საფუძველი ჩაეყარა მშენებლობაში ახალი ტექნოლოგიის ათვისებას, კერძოდ, გზებზე ცემენტ-ბეტონის საფარის დაგებას, რისთვისაც შეძენილია ცემენტო-ბეტონის ორი ქარხანა, რვა ერთეული ბეტონ-მრეველზიდი „მიქსერი“, „ბეტონის დამგები დანადგარი“, დიზელგენერატორი, ვიბრატორი და სხვა.

საწარმოს ქვედანაყოფები, საამქროები, სამშენებლო ობიექტები დაკომპლექტებულია გამოცდილი, პროფესიონალი მუშაკებით, რომელთა საერთო რაოდენობა 500-ზე მეტია.

კომპანიას, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი მნიშვნელობის ტენდერებში გამარჯვებულს და ძირითად კონტრაქტორს, შესრულებული აქვს საავტომობილო გზების, ხიდების, სამშენებლო, სარეაბილიტაციო სამუშაოთა მთელი

კასკადი უახლესი ტექნოლოგიების მოთხოვნათა შესაბამისად.

სამუშაოთა მოცულობით, ფინანსური ბრუნვითა და სტაბილური შედეგებით „არქეოპოლისი“ ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია. მას სოლიდური თანხები შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში, ეწევა ფართომასშტაბიან საქველმოქმედო საქმიანობას: ეხმარება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ინვალიდებს, ვეტერანებს, ლტოლვილებს, მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს, ნიჭიერ შემოქმედ ახალგაზრდებს, სპორტსმენებს, გარდაცვლილთა ხელმოკლე ოჯახებს.

შეაქვს გარკვეული წვლილი სასულიერო ცხოვრების აღორძინებაში. სენაკის სასულიერო სკოლასთან საქველმოქმედო წესით აშენდა **წმინდა ალექსი ბერის (შუშანიას)** სახელობის ტაძარი, აღდგენილიქნა საკალანდარიშვილოს სასაფლაოზე არსებული **წმინდა გიორგის** სახელობის ეკლესია, კეთილმოეწყო მარტვილის საკათედრო ტაძართან და ბაღდის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზა, რომელიც მთლიანად ასფალტირებულია. აშენდა ქვისთაღოვანი ხიდი სოფელ სალხინოს დადიანისეულ სასახლეში, მდინარე ონტოლოზე, გაეწია დახმარება ქალაქის **იოანე ნათლისმცემლის**, შხეფის **მთავარანგელოზის** სახელობის, რაიონში და მის ფარგლებს გარეთ ქალაქებსა და სოფლებში მშენებარე ეკლესია-მონასტრებს.

2016 წელს სულ შესრულდა 13 მილიონი ლარის სამუშაოები. მათ შორის სენაკის რაიონში: სენაკში, ზანაში, ლეძაძამეში, ძველ სენაკში, უშაფათში, ფოცხოში, ეკში, გეჯეთში, ნოსირში, მენჯში, თეკლათში, ახალსოფელში.

კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით, ლამაზი გაზონებით, სკვერებითა და ღამის განათებით გაცისკროვნებული „არქეოპოლისი“ სანახავადაც მომხიბვლელი და თვალწარმტაცია.

სს „არქეოპოლისის“ ინჟინერ-ტიქნიკური პერსონალი:

1. ჩვამანია ნუგზარი—დირექტორი
2. ყურაშვილი ომეხი—მთავარი ინჟინერი
3. თოდუა ალანი—დირექტორის მოადგილე
4. ჭანტურია ლევანი—დირექტორის მოადგილე
5. ჯაჯანიძე ეკატერინე—მთავარი ბუღალტერი
6. წოწონავა იზარდი— კადრების სამსახურის უფროსი
7. შარტავა სოსო—წარმოების მენეჯერი
8. ლაშქარავა ლოვარი—ტექნიკური განყოფილების უფროსი
9. გვასალია პაატა—ტექნიკური განყოფილების სპეციალისტი
10. გვაძაბია ელვარდი—მთავარი მექანიკოსი
11. სიმონია რამინი—მექანიკოსი
12. ოჩიგავა გიგლა—საწყობის გამგე
13. ჩიქობავა ნუნუ—მთავარი ბუღალტრის მოადგილე
14. გახოკია ნანა—ბუღალტერი
15. ლოლუა ეკა—კადრების განყოფილების სპეციალისტი
16. ბჟალავა გივი— გზის მშენებლობის ოსტატი
17. მარკოზია ბეჟანი— „————“
18. ჩალიგავა ხვიჩა — „————“
19. გეგენავა ელვარდი — „————“
20. ტაგანაშვილი ავთანდილი —სამუშაოთა მწარმოებელი
21. გეგეჭკორი ჭაბუკი — მთავარი ენერგეტიკოსი
22. კალანდარიშვილი დევი —ასფალტო-ბეტონის ქარხნის უფროსი
23. ბარკალაია ალექსანდრე—აღმრიცხველი ოპერატორი
24. ჭითავა პაატა— დაცვის უფროსი.



21-ე საუკუნის დასაწყისი

შეიქმნა სენაკის მუნიციპალიტეტი. გამოიყო გამგეობის მშენებლობის სამსახური.

სტრუქტურა ასე გამორიყურება:

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი

მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ ი

სამსახურის უფროსი: ვახტანგ შაცაცია

1. სივრცითი არქიტექტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება

განყოფილების უფროსი: გელა ჯანაშია

განყოფილების უფროსი სპეციალისტები: ზურაბ პატარაია, ზაზა ჯანჯღავა, ედიკა ბერაია.

2. ზედამხედველობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: გელა ჯანაშია

განყოფილების უფროსი სპეციალისტები: მამუკა კუბცია, მერაბ წოწონვა, გიგლა ელიავა. ირაკლი საჯაია.

3. ინფრასტრუქტურის განვითარების, ტრანსპორტის საზოგადოებრივი მომსახურების განყოფილება.

განყოფილების უფროსი: რომან თოდუა.

განყოფილების უფროსი სპეციალისტები: ბესიკ ბაჩილავა, ეკატერინე კიზირია, ლევან ხუხუა, პროკოფი ჯაიანი.

ობიექტების მშენებლობა

1. სენაკის სპორტის სასახლე–შ. დვინჯილიას ქ. №3 ა. მშენებლობის დწყება – 2016 წელი; დასრულება 2017 წლის დეკემბერი.

დამკვეთი: ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო.

მშენებელი: შ. კირკიტაძე.

2. **კურორტ მენჯის სანატორიუმ „კოლხიდის“ მაღლივი შენობა**—გ. ღვინჯილიას ქ. №4

მშენებლობის დაწყება—1981 წელი, დასრულდა 1987 წელს.
დამკვეთი: საქართველოს კურორტების მართვის სამინისტრო.
მშენებელი: საქკურორტმშენის მენჯის სარემონტო-სამშენებლო უბანი—დირექტორი შოთა ჯავახია.

3. **თეკლათის მეცხოველეობის კომპლექსი.**

მშენებლობის დაწყება —1966 წელი; დასრულება—1972 წელი
დამკვეთი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მშენებელი: საკოლმეურნეობათა შორისო მშენებლობის სამმართველო—დირექტორი ჟორა კაშიბაძე და №5 სამშენებლო ტრესტის №12 მმკ.

4. **ქალაქის ცენტრალური სტადიონი**— ჭავჭავაძის ქ. №25.
მშენებლობის დაწყება— 1976 წელი; დასრულება— 1981 წელი
დამკვეთი: საქართველოს სპორტის სამინისტრო.

5. **სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი** —რუსთაველის ქ. №237.

პიონერთა სახლის რეკონსტრუქცია დაიწყო 1987 წელს. მშენებლობა დასრულდა 1988 წელს.

მშენებელი: №2 ტრესტის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო—დირექტორი დიდიკო ხუბულავა; პროექტის ავტორი: ვენე არჩაია.

სხვადასხვა ღრუს ღირეშტორეში იქვნი: ვალერიან კალანდარიშვილი, შალვა გაბისკირია, ლიდა გვასალია, აკაკი კვიციანი, ბორის შენგელია, ხუტა ბალათურია, შურა ჭედია, ლიანა ყურაშვილი, შოთა შალამბერიძე, აზა მატახერია, ნატო ბაკურაძე, ნუნუ გურჩიანი, დარეჯან შურღია, ლევან უჩანეიშვილი.



ზაზა ჯანჯღავა

არქიტექტორ **ზაზა ჯანჯღავას** ბაბუა–**ლავრენტ ჯანჯღავა**– იყო სოფ. ნოქალაქევის სოფელსაბჭოს თავმჯდომარე; ბებია– იუსტინე წითლიძე– იყო სამაგალითო დედა და ბებია.



ბაბუა–**აკაკი კილასონია**– 1941-42 წლებში იყო საქართველოს კპ სენაკის რაიკომის პირველი მდივანი, იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ბებიას–**ქალბატონ ნინა ხაჩიძეს**– ჩვენი ქალაქი კარგად იცნობდა და პატივს სცემდა, იყო დამსახურებული პედაგოგი.

ზაზას მამა–**კოტე ჯანჯღავა**– საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს გამოთვლითი ცენტრის განყოფიების გამგე. დედა–**ლამარა კილასონია**–გერმანისტი, დამსახურებული პედაგოგი, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციას. შემდგომ წლებში კი იყო ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილების დირექტორის მოადგილე.

ზაზა ნიჭიერი, პერსპექტიული არქიტექტორია. ცხოვრობს და მოღვაწეობს სენაკში, აგრძელებს წინაპრების კარგ ტრადიციებს.

დაიბადა 1958 წლის 7 დეკემბერს ბათუმში. 1972 წლამდე სწავლობდა სენაკის №1 საშუალო სკოლაში. 1972 წელს უგამოცდოდ, კონკურსგარეშე ჩაირიცხა კომაროვის სახელობის სკოლაში. ჯანმრთელობის გაუარესების გამო დაბრუნდა ბათუმში და 1975 წელს დაამთავრა ბათუმის №9 საშუალო სკოლა.

ზაზა ჯანჯღავას ესკიზებით შეიქმნა „აიეტის“ დეკორაციები ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მაგრამ „რატომღაც“ მისი გვარი არსად გაუდერებულა.

1975 წელს ყველაზე მაღალი ქულებით ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. მე-3; მე-4; მე-5 კურსზე ერთდროულად მუშაობდა არქიტექტურულ ფაკულტეტთან არსებულ სტუდენტურ საპროექტო ბიუროში, როგორც წარჩინებული სტუდენტი.

მოწონება დაიმსახურა მისმა მე-3 კურსის საკურსო პროექტმა „**მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.**”

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისში ქალაქის საბჭოსთან არსებულ საპროექტო ინსტიტუტში „თბილქალაქპროექტში” ქალაქგეგმარების განყოფილებაში.




ნამუშევარი პროექტებიდან ერთ-ერთმა – „**მრავალ-**

ფუნქციური პარკი გლდანში” გაიმარჯვა საკავშირო არქიტექტორთა კონკურსში.



ქონდა მიწვევები მოსკოვში, შუა აზიაში, თურქეთში, მაგრამ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო ვერ განახორციელა. იგივე მდგომარეობის გამო ვერ წავიდა ბულგარეთში, მსოფლიო არქიტექტურის აკადემიაში.

1988 წელს ზაზა ჯანჯღავა (ორი წარგზავნილიდან ერთ-ერთ-



თი) საბჭოთა კავშირის ლანდშაფტური არქიტექტურის პირველი პლენუმის ყველაზე ახალგაზრდა დელეგატი. სადაც აირჩიეს მმართველი საბჭოს წევრობის კანდიდატად და ამავე წელს საქართველოს

ლანდშაფტური არქიტექტურის საბჭოს წევრად.

1990 წელს მისი პროექტი გაიგზავნა ახალგაზრდა არქიტექტორების კონკურსზე „მოსკოვი – 90“, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა საკონკურსო პროექტმა.

მეოთხე კურსზე ყოფნისას სოხუმის ხელოვნების მუზეუმის პროექტმა უდიდესი წარმატება დაიმსახურა, რის გამოც პედაგოგების რჩევით პრაქტიკა გაიარა მოსკოვში, „მოსკოვპროექტ-1“- ში, რათა უკეთ წარმოეჩინა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი.

1993 წელს გაკეთდა ბათუმის ჩოგბურთის კორტების პროექტი. არის რამდენიმე პროექტის ავტორი და თანაავტორი. გააკეთა ამერიკელების ტექსტილის საგამოფენო დარბაზის ინტერიერის დიზაინი თბილისში, რამდენიმე ბინის ინტერიერი (ბათუმში, თბილისში), სამი კაფე-ბარის პროექტი და სხვა.

ზაზა ჯანჯღავა წარმატებული მხატვარიცაა. მონაწილეობდა 18 გამოფენაში, აქედან 8 პერსონალური გამოფენა გახლდათ. ანკარაში უფოლოგების მსოფლიო გამოფენაზე გამოფენილი იყო მისი 22 ნახატი.

1975 წელს პარიზში გამოფენაზე მისი გობელენი საკმაოდ მაღალ ფასად გაიყიდა.

ზაზა რცხილას ნიშნითაა დაბადებული და ამ ნიშნისთვის დამახასიათებელი თვისებები: ესთეტიურობა, ინტელექტუალობა, ინტუიცია, ფანტაზია, არტისტიზმისადმი მიდრეკილება კარგად ჩანს მის ნაშრომებში.

სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეა

სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეა დაარსდა 1979 წელს მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის, ვახტანგ ესვანჯიას, ინიციატივით. შენობის არქიტექტორები იყვნენ: აკადემიკოსი **ვახტანგ დავითაია**, **გიული გეგელია**, **შოთა ბოსტანიშვილი**.

იდეა—სენაკში (მაშინდელ ცხაკაიაში) აშენებულიყო კულტურის ისეთი ძლიერი კერა, როგორც სამხატვრო გალერეა გახლავთ—წარმოშვა აქ ხალიჩების საქსოვი კომბინატის არსებობამ და მხატვართა დიდი რაოდენობით ყოფნამ: **რევაზ ადამია**, **ჰაიკო და ჰაინარ გახარები**, **დიმიტრი ბარქაია**, **ოთარ პარკაია**, **ლერი ელიაშვილი**, **ნადეჟდა ერესენკოვა-გვაძაბია**, **კოვალი ხუნწარია**, **ზეინაბ ყურაშვილი**, **ზაურ გაბესკირია** და სხვა. აი არასრული სია იმ მხატვრებისა, რომლებიც იმ დროისთვის მოღვაწეობდნენ რაიონში.

მიზანი: ადგილობრივი მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერი და ესთეტიკური აღზრდა და აგრეთვე მხატვრების სტიმულირება.

სამხატვრო გალერეის პირველ დირექტორად დაინიშნა პროფესიით ისტორიკოსი **ველმირ ჩემია**. ფონდების მთავარ მცველად—**ლერი კართხია** (მხატვარი). იმ მიზნით, რომ გალერეაში გამოფენილი ექსპონატები ყოფილიყო მრავალფეროვანი და მიმზიდველ, რაიონის ხელმძღვანელობა შეუთანხმდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექციას (დირექტორი პროფესორი თამაზ სანიკიძე) სენაკის გალერეა ფილიალის სახით მიეღო მის შემადგენლობაში. ამ გადაწყვეტილებამ უდაოდ გაამართლა. გამოფენები გახდა მრავალფეროვანი, მდიდარი და შემოქმედებითი. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა მუდმივ გამგებლობაში გადასცა გალერეას მხატვრების: ნ. ფიროსმანიშვილის, ლ. გუდი-

აშვილის, ქ. მაღალაშვილის, მ. თოიძის, გ. გაბაშვილის, ალ. ციმაკურიძის, მ. ხვიციას და სხვა დიდი მხატვრების უნიკალური ფერწერული თუ გრაფიკული ტილოები.

დაარსების დღიდან უკვე შესრულდა 264 გამოფენა, დარბაზებში 3348 ექსპონატი იქნა ატვირთული. გამოიფინა ქართველი და რუსი მხატვრების, ირანული ხალიჩების, ჩინური მინანქრისა და ტუშის, აზიის, ესტონეთის, ადგილობრივი მხატვრების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხობის, ჩხოროწყუს რაიონების მხატვრების პერსონალური და შერეული გამოფენები.

თავის დროზე გააღერეა დაათვალიერეს ქეთევან ბაგრატიონმა, თურქეთის მინიმეჯლისის პარლამენტარებმა (ლაზებმა), დანიის პრინცმა, კოსმონავტებმა, სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის მოხელეებმა. გამოფენის დასათვალიერებლად ჩამოდიოდნენ როგორც ქართველი, ასევე სხვა ეროვნების პოეტები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. ისინი აღტაცებას ვერ მაღავდნენ გააღერეის შენობისა და შენობაში განთავსებულ დარბაზებში გამოფენილი ნამუშევრების ხილვისას.

თავისი არსებობის მანძილზე გააღერეის ფონდსაცავში დაგროვდა და სამუდამო ბინა დაიდო მნიშვნელოვანი ექსპონანტთა რაოდენობამ. მათ შორის: ლ. გუდიაშვილის, ა. ვარაზის, გ. თოიძის, გ. მირზაშვილის, ჯ. ხუნდაძის, ედ. კალანდაძის, ვ. დუგლადის, ჰ. არრაკის, რ. ადამიას, ვ. ბესელიას, გ. მესხიშვილის, მოსკოვის ტრეტიაკოვის სახელობის გააღერეიდან 27 მაშინდელი საბჭოთა მხატვრების ნამუშევრებმა.

განუზომელი, ფასდაუდებელია ამ საქმეში **ვანტანგ ესვანჯიას** ღვაწლი. მან ლ. გუდიაშვილის ფერწერული ტილო „მეჩაიე“, რომელიც თავის დროზე ავტორმა უსახსოვრა, საჩუქრად გადასცა გააღერეის ფონდს. ამჟამად გააღერეის ფონდში დაცულია 200-ზე მეტი ექსპონატი.

გალერეის ბაზაზე შეიქმნა სენაკის სამხატვრო სკოლა, რომელიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს.

1989 წლიდან 2007 წლამდე გალერეას ხელმძღვანელობდა **ლერი კართხია**.

ავბედითი აღმოჩნდა გალერეისთვის 1989-1993 წლები. საქართველოში განვითარებულმა არასასურველმა მოვლენებმა, სამოქალაქო დაპირისპირებამ აიძულა გალერეის ხელმძღვანელობა მიეღო გადაწყვეტილება დაებრუნებინა თბილისისთვის ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, რადგან ამ მძიმე პირობებში შეუძლებელი და მეტად საშიში გახლდათ ექსპონანტთა დაცვა საიმედო მდგომარეობაში.

2007 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმი შეუერთდა ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმს, რის შედეგადაც შეუძლებელი შეიქმნა სენაკის სამხატვრო გალერეის მუზეუმის შემადგენლობაში ყოფნა.

გალერეა იმავე წელს დაექვემდებარა სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრს.

2017 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის, გოჩა დგებუაძის, ინიციატივით და დიდი ხელშეწყობით შესრულდა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. მთლიანად შეიცვალა და გარემონტდა როგორც ექსტერიერი, ისევე ინტერიერი. შენობამ მიიღო მნიშვნელოვანი დატვირთვა. მასში პირველ სართულზე განთავსდა საბავშვო ბიბლიოთეკა, ვრცელი საკონფერენციო დარბაზი და საოფისე ფართი. მეორე სართული მთლიანად დაეთმო საგამოფენო დარბაზებს და იქ მომუშავე პერსონალისთვის სრულყოფილი თანამედროვე ტიპის სათავსოებს.





თეატრი სენაკში

ახალი თეატრის მშენებლობა ქალაქისთვის იყო დიდი სიხარული. სენაკი გამორჩეული იყო თეატრის მოყვარული საზოგადოებით. ბავშვობის მოგონება: თეატრში შემოსასვლელი მაშინ გვერდითი ქუჩიდან იყო. მახსოვს, მეორე სართულზე ასასვლელი ხის კიბის უჯრედი. ფოიეში კიბის მოაჯირთან ვიდექით სპექტაკლის დაწყებამდე.

აღბათ სამი წლის ვიქნებოდი, დედას მაშინდელ მოდაზე შეკერილი ლურჯი კოვერკოტის ლამაზი პალტო ეცვა კრაველის დიდი საყელთი. სპექტაკლის დაწყების წინ კიბესთან ფოიეში მდგარმა რაღაც მომენტში პალტოს კალთა გადმომაფარა და დამმალა. მივხვდი ვიღაცას უმაღლავენენ ჩემს იქ ყოფნას (აღბათ ბავშვებისთვის არ იყო ნებადართული სპექტაკლზე დასწრება).

თეატრში სენაკის საუკეთესო საზოგადოება იკრიბებოდა. ჩემი სტუდენტობის პერიოდში, როცა დედა ან მამა თბილისში ჩამოდიოდნენ მივლინებით, პირველ კურსზე ყოფნისას სადამოს აუცილებლად მივყავდით თეატრში სპექტაკლზე

დასასწრებად. შემდგომ გზა ჩემით გავიკვლიე და სტუდენტობისას არცერთი სპექტაკლი არ გამომიტოვებია.

თეატრისადმი სიყვარული მშობლებისგან ბავშვობიდან გადმომედო. მე და ჩემი და ბავშვობისას ოჯახში სპექტაკლებს ვმართავდით. მე რეჟისორიც ვიყავი და მსახიობიც, როგორც უფროსი.

არქიტექტორ ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძის ქალიშვილი, ქალბატონი დალილა იგონებს თეატრის მშენებლობის დეტალებს: „თეატრის დამპროექტებელი და მშენებელი იყო **ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძე**. თეატრის მშენებლობა დაიწყო 1953 წელს. თავიდან გადაწყვეტილი იყო არსებული შენობის (კულტურის სახლის) რემონტი.

მამამ შესთავაზა ახალი შენობის დადგმა. ასე გადაწყდა თეატრის მშენებლობა. მან მოითხოვა ახლანდელი კინოთეატრ „რუსთაველის“ ადგილი, მაგრამ არ დააკმაყოფილეს.



ამიტომ დაიწყო მშენებლობა კულტურის სახლის ადგილზე, სადაც ფუნდამენტი უკვე ჩაყრილი იყო და, შესაბამისად, თეატრის დარბაზი და სცენა გამოვიდა შედარებით პატარა, ხოლო ფოიე და ფასადი დიდი. მამა ღამე ხაზავდა პროექტებს, დღისით კი იყო მშენებლობაზე და აშენებდა. ქონდა დიდი წინააღმდეგობები—დროულად არ აფინანსებდნენ, თვითონ სესხულობდა ფულს დროულად რომ გადაეხადა ხელფასები ბრიგადებისთვის.

მოქანდაკეები თბილისიდან ჩამოიყვანა. თვითონ წავიდა მოსკოვში და ბროლის ქარხანაში შეუკვეთა ჭალი. როდესაც ჩამოიტანა, გამოუცხადეს საყვედური, რადგან ჭალი იყო ძვირადღირებული. მას დარბაზი გაკეთებული ქონდა ბერძნულ-რომაულ სტილში. შეღებილი იყო ოქროს ფერებში, ფარდა იყო თამბაქოს ფერი. მერე გადაღებეს ლურჯ ფერებში და შეუცვალეს იერი, რასაც მამა განიცდიდა.

სასურველია, რომ თეატრს დაუბრუნდეს პირვანდელი

სახე. მამას ასევე უნდოდა თეატრის სახურავზე დაემონტაჟებინა საათი, რომელიც ოთხივე მხრიდან გამოჩნდებოდა. ეს საათი მამას აქვს დაპროექტებული.

მამამ თაობებს დაუტოვა ულამაზესი შენობა–თეატრი.

ქალაქ სენაკში თეატრალურ მოედანს სენაკის მკვიდრის, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრის, ღირსეული მამულიშვილის, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრის დამპროექტებლისა და მშენებლის ვახტანგ (ხუტა) გოგოლაძის სახელი მიაკუთვნეს და თეატრზეც გაკეთდა მემორიალური დაფა.”

თეატრის ჭალი იყო ულამაზესი და საუკეთესო ნაკეთობა, უზარმაზარი, მოსკოვის პირველი ლითონნამოსასხმელი ქარხნის სპეციალური გამოშვება 32 ულამაზესი „პლაფონით“. „პლაფონები“ რემონტის დროს მოიპარეს. ულამაზესი დეტალების ჭალისთვის მოშორება სირცხვილიც კია. სივრცეც სამყოფი იყო და ადგილიც ჭერის მოსახატავად.

ჭალს დიდებულება მაინც არ დაუკარგავს. იგი ჩვენი ქალაქის განძია.

ბიული გეგელია

გიული გრიგოლის ძე გეგელია–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და ღიზანის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი 2013 წლიდან–დაიბადა 1942 წელს ქ. სენაკში მედიცინის მუშაკთა ოჯახში.

დედა–**მარგარიტა ხოჭოლავა**–ოფთალმოლოგი; მამა–**გრიგოლ გეგელია**–სამხედრო ექიმი-თერაპევტი. მეუღლე–**ლარისა ლავრელაშვილი**–ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი; შვილები: **მარიკა პიტი**–იურისტი (ოჯახით ცხოვრობს და მოღვაწეობს ლონდონში, დიდი ბრიტანეთი), **გრიგოლ გეგელია**–ვეროპის უნივერსიტეტის (ფლორენცია, იტალია) ისტორიისა და ცივილიზაციის დეპარტამენტის დოქტორანტი პოლიტიკის ისტორიისა და ფილოსოფიის განხრით. ძმა–


ბადრი გეგელია—არქიტექტორი.

1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. სენაკის №3 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა და 1965 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი არქიტექტურის სპეციალობით.

არქიტექტურული საქმიანობა დაიწყო 1964 წელს საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქ პროექტში“. 1965-66წწ. მუშაობდა „საქქალაქ მშენსახპროექტში“. 1966-67 წწ. არქიტექტორის თანამდებობაზეა სპი-ს ექსპერიმენტალური პროექტირების ბიუროში.

ბატონი გიული გეგელია 1967 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის გეგმარების კათედრაზე: ასისტენტის, ასპირანტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის თანამდებობაზე.

მისი ხელმძღვანელობით სტუდენტ-დიპლომანტებს საკავშირო არქიტექტურული სკოლების კონკურსებზე მიღებული აქვთ ცხრა პირველი პრემია, მათ შორის უმაღლესი ჯილდო „ვარსკვლავი“. ძირითადი რეალიზებული ნამუშევრები: საცხოვრებელი მიკრორაიონი „სანზონა“ თბილისში (1965წ.); საცხოვრებელი რაიონი ბახტრიონისა და იყალთოს ქუჩებს შორის (1967-68 წწ.); ბაკურიანის საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი (1969-70); სამხატვრო გალერეა და „ხსოვნის კუბი“ სენაკში (1984 წ.); თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ-დრამატული თეატრის შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია (1988 წ.); მოქანდაკე ე. ამაშუკელის სახლი-სახელოსნო თბილისში (1996 წ.); ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლი გოგოლის ქუჩაზე თბილისში (1993 წ.); ქ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს რეკონსტრუქცია (2000 წ.); საქალაქო სა-



სამართლო ქ. ფოთში (2002 წ. წარდგენილი იყო სახელმწიფო პრემიაზე); ძვ. თბილისის ერეკლე მეორის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (2003 წ.); სიღნაღში გორგასლის, თამარ მეფის, ქეთევან წამებულის ქუჩების, საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (2009 წ. საერთაშორისო კონკურსი-გამოფენის ლაურეატი); მცხეთა, სვეტიცხოვლის მიმდებარე არეალის (გამსახურდიას, არსუკიძის, კალანდაძის, კოსტავას ქუჩების საცხოვრებელი სახლები, მოედანი) რეკონსტრუქცია ანტიოქიამდე (2012 წ.); სასტუმრო 100 ადგილზე მცხეთაში (2011 წ.); მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი კლდიაშვილის ქ. (ქ. ბათუმი). ბათუმში აბაშიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (2010 წ.); თბილისში შავთელისა და ჩახრუხაძის ქუჩების საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია-რესტავრაცია (ლაურეატი უ. „სტილის“ კონკურსზე 2014 წ.); საოფისე შენობა ავლაბარში ქეთევან წამებულის ქუჩაზე (2012 წ.); ქ. თბილისის ადმინისტრაციული შენობა მაზნიაშვილის ქუჩაზე №4 (2013 წ.); ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი მცხეთაში (2014 წ.); სასტუმრო მეტეხის პლატოზე, ჯორბენაძის 37-ში რეკონსტრუქცია (2013 წ.).

თეორიული კვლევები: „თბილისის ისტორიული ბირთვის შესწავლის წინმსწრები სამუშაოები“ (1977 წ.); „საპროექტო წინადადებები ძველი თბილისის ადაპტაციისათვის“ (1980 წ.); „ძველი თბილისი – ზემო კალას საცდელი პროექტი“ (2003 წ.).

ბატონი გიული გეგელია მონაწილეობდა 16 რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსში. მიღებული აქვს სხვადასხვა პრემია. აღსანიშნავია პირველი პრემია ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკისა და ცენტრის განვითარების პროექტზე (1996 წ.).

გახლავთ 100-ზე მეტი პროექტისა და მშენებარე ობიექტის, სამეცნიერო-მეთოდური და საპროექტო ხასიათის გამოკვლევების, სტატიების (ქართულ, რუსულ და პოლო-

ნურ ენებზე) თბილისის ისტორიული უბნების მხატვრული შეფასების ადაპტაციის, ძველი და თანამედროვე განაშენიანების ურთიერთკავშირის სფეროში.

სხვადასხვა პერიოდში უხდებოდა როგორც საგამოფენო, ასევე სამუზეუმო ექსპოზიციების განხორციელება. ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მხატვრული გაფორმების პროექტების შესრულება, მცირე არქიტექტურულ ფორმებზე და ძეგლებზე მუშაობა მოქანდაკეებთან ერთად (მოქანდაკეები: ბ. ავალიშვილი, ო. პარკაია, ა. მჭედლიშვილი, გ. ნიკოლაძე, ვ. მელიქიშვილი, გ. ზაქარია). შესრულებული აქვს სხვადასხვა პლაკატები და აფიშები, რომლებიც დაიბეჭდა და მასიურად გავრცელდა. გაფორმებული აქვს მხატვრული და ტექნიკური ხასიათის წიგნები, ბუკლეტები და ბროშურები. მუშაობს ფერწერაში.


მიღებული აქვს საქ. არქიტექტორთა ასოციაციის საპატიო ჯილდო არქიტექტურასა და პედაგოგიურ საქმიანობაში ნაყოფიერი წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობისათვის (2015 წ.); ამჟამად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტზე. გახლავთ არქიტექტურულ გეგმარების სრული პროფესორი,

თანამშრომლობდა და ახლაც აგრძელებს მუშაობას საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სააგენტოს, ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ისტორიული ქალაქების სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოში, როგორც საბჭოს წევრი.

ბატონი გიულის გვარი შეტანილია ლექსიკონში „ვინ ვინ არის“ თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში (1999); ენციკლოპედია „საქართველო“ (1997 წ.); „SAUR – ALLGEMEINES KUNSTLER – LEXIKON“ - , MUNCHEN – LEIPZIG 2006 (გერმანია) „საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია.“ 2017 წ.

თამაზ ბუნია

1995 წელს სახელმწიფო პრემია მიიღეს ხუროთმოძღვარმა **თამაზ გუნია**მ და მოქანდაკე **მერაბ ბერძენიშვილმა** დიდგორის მემორიალური კომპლექსის შექმნისათვის. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბატონი თამაზ გუნია ჩვენი თანაქალაქელია.



მდიდარია ბატონი თამაზის შემოქმედება, მისი ნახატები მნახველს იზიდავს ნაირფეროვნებით, სილამაზით, მოხდენილობით, ლაზათით, მდიდარი წარმოსახვითი ხედვით, რეალობის მხატვრული აღქმით. მისი შემოქმედების მაღალმხატვრულობა კი შედეგია ავტორის შეუპოვარი შრომისა და იმ გარემოცვისა, რომელშიც იზრდებოდა.

ბატონი თამაზი სენაკის მკვიდრის, ექიმ **ემელიანე (კუკური) გუნია**ს, ოჯახის ინტელექტურ გარემოში გაიზარდა. დედა, **ქალბატონი ელენე**, პედაგოგი გახლდათ. სწორედ მან უანდერძა შვილებს, თამაზსა და გურამს, რბილი ხასიათი, გულუხვობა, კეთილშობილება, მუსიკის სიყვარული, აზიარა შვილები მშვენიერების აღქმას.

თამაზმა სკოლის ასაკიდან დაიწყო ხატვა, ძერწვა, ხეზე ჭრა, ჭედურობა. აკეთებდა გატაცებით. ასჯერ დაარღვევდა მანამ, სანამ სასურველ შედეგს მიიღებდა. მისი ადრინდელი ნამუშევრები საუკეთესო ნაწარმოებებია.

მე ვიცნობ მის ნამუშევრებს: ხეში გაბნეულ ჩუქურთმებს, ნახატებს, ჭედურობას, ქვაზე ამოჭრილ სილუეტებს... აღტაცებაში მოვდივარ და ვფიქრობ, რომ ჰაერი, სინათლე, სხივი ჰარმონიულად აუღერებულან, მუსიკად აკინძულან.

შემდეგ იყო თბილისი. შემოქმედებითი ცხოვრება მოთხოვნილებად ექცა—რასაც ხელს ახლებდა სიყვარულით და

რუდუნებით აკეთებდა.

სენაკიდან წასული იგონებს ბატონი თამაზი-მოხვდი ჯულიეტა ვაშაყმაძესთან, ვახატანგ დავითაიასთან, გიგა ბათიაშვილთან, ქეთინო კობახიძესთან, თემურ მიქაშავიძესთან, ლევან ბერძენიშვილთან და სხვა.

შემოქმედებით ცხოვრებაში სტუდენტობიდან ჩაერთო.

პროფესორმა გარაყანიძემ თამაზი და ვახატანგ დავითაიას ექსპედიციაში წაიყვანა. ნაშრომს წერდა საქართველოში ხის ხუროთმოძღვრებაზე. გამოუშვა წიგნი. ნაშრომში სტუდენტების ნამუშევრებიცაა. ისინი იღებდნენ სურათებს, ზომავდნენ ლაზების გაშენებულ სახლებს და თბილისში სახელოსნოში ამუშავებდნენ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა აკადემიკოს შავიშვილთან, რომელიც იმ ხანებში მუშაობდა უნივერსიტეტის მეორე კორპუსისა და ქუთაისის თეატრის დაპროექტებაზე. შემდგომ წლებში მონაწილეობას დებულა ტიპიური სკოლების დაპროექტებაში. აქედან „გიპროშახტში“ გადავიდა განყოფილების უფროსად. მისი მუშაობის პერიოდში გაკეთდა ტყვარჩელის, ტყიბულის მშენებლობები, საბაგირო გზები, საცხოვრებელი სახლები. განყოფილება აპროექტებდა საკავშირო ობიექტებს, დასასვენებელ სახლებს, სანატორიუმებს, ყარაგანდაში დააპროექტეს კოსმონავტების დასასვენებელი სახლი.

აქედანვე გაგზავნეს (1979 წელს) ირანში, სადაც დააპროექტა პროფტექნიკური სასწავლებელი მეშახტეებისთვის 1200 კაცზე.

ბატონი თამაზის წარმატებებს ისიც განაპირობებს, რომ იგი თვითონ აპროექტებს, ამუშავებს, ქმნის, ხეზე ჭრის, აკეთებს ექსტერიერს, ინტერიერს. თვითონ ამზადებს საპალუსისმგებლო დეტალებს.

სიყვარულით იგონებს სანატორიუმის კომპლექსს კისლოვოდსკში, რომელზედაც 15 წელი იმუშავა. მისთვის ასევე დაუვიწყარია დამსახურებულ მხატვარ საურმაგ დამბაშიძესთან მუშაობა, ოკამის ღვინის ქარხანაში გა-

კეთდა ვაზისა და ღვინის სასახლე. აქ ბატონი თამაზის ჩუქურთმამ ხეში საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

ბატონი თამაზი ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ჭიდაობაში შოთა ჩოჩიშვილმა მიიწვია სახლმუხეუმის გასაკეთებლად.

ბატონი თამაზი მრავალმხრივი შემოქმედია: მუშაობს ხეზე ჭრაზე ძველ კოლხურ სტილში, მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია ტანსაცმლის მაღაზია წითელ ხეში აღმაშენებლის ქუჩაზე თბილისში. ახლახან გააფორმა ამერიკის მსოფლიო ბანკის ოფისიც..

იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის მშენებლობიდან არქიტექტორ თ. გუნიას სახელოსნოში ჩაიტანეს ქვა მოსახატად ფასადისათვის. ქვა მოიხატა, მაგრამ ზომის გამო ფასადისთვის მოუხერხებელი აღმოჩნდა და ჩადეს საძირკველში.

შეხვედრისას ვთხოვე ბატონ თამაზის ორიოდე სიტყვა ეთქვა ბატონ მერაბ ბერძენიშვილზე, იმაზე თუ როგორ აეწყო ბატონი მერაბის და მისი ერთობლივი მუშაობა:




—დიდი შრომა ჩავდეთ მემორიალში. ბატონი მერაბი დიდი შემოქმედია, არქიტექტურას გრძნობს, შორსმჭვრეტელია, ძლიერი მონუმენტალისტია, არ გამოეპარება არქიტექტურის ნიუანსები. აქედან გამომდინარე, კარგად შევეწყვეთ. ჩემი ყველა ნიუანსი კარგად ესმოდა, ურთიერთშეჯერებული აზრებით და კამათით კარგი კომპოზიციები გამოგვიოდა.

...დგას დიდგორის მემორიალი—სიმბოლო ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებისა, ქართული სტრატეგიისა, რომელიც ზვიადად გადაჰყურებს სუკუნებს!

ვახტანგ ღავითაია

დაიბადა 1934 წლის 22 დეკემბერს სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკში. პედაგოგების ოჯახში. დაამთავრა სენაკის №1 საშუალო სკოლა. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიარა სტუდენტობა, ასპირანტურა, უფროსი მასწავლებლობა, ასისტენტობა, დოცენტობა, პროფესორობა, სრული პროფესორობა. ხელმძღვანელობდა არქიტექტურული გეგმარების კათედრას, მონაწილეობდა მრავალ ფორუმში.

ბატონ ვახტანგ ღავითაიას, საქართველოს საამაყო და სახელოვან შვილს, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მრავალი ქვეყნის პრემიების მქონე ადამიანს მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქში ქონდა გამოფენები და ლექციები, მრავალი წიგნისა და ნაშრომის ავტორია. საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ახალგაზრდებს ასწავლიდა და უზიარებდა თავის გამოცდილებას.



ბატონი ვახტანგ ღავითაია არის ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო პროფესორი, არგენტინის და მექსიკის არქიტექტურული კლუბის საპატიო წევრი, აშშ ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის და ქალაქის დაგეგმარების კოლეჯის მიწვეული პროფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალეს სამეზის ლაურეატი.

„როგორც ყოველთვის, საავტორო გამოსვლებს უცხოეთის უნივერსიტეტებსა და საერთაშორისო ფორუმებზე ჩემი მოხსენებების პირველი ნაწილი ეძღვნებოდა საქართველოს ისტორიას, არქიტექტურას, ხელოვნებას.“—აღნიშნავს ბატონი ვახტანგი.

საქართველოში, სენაკში, 80-იანი წლების დასაწყისში შექმნილი მემორიალური „ხსოვნის კუბი“ (1975-84 წწ.) არქიტექტურ-

ის და მონუმენტალური ხელოვნების ჭეშმარიტი სინთეზის ნათელი სახეა. ნაწარმოების საფუძველია სივრცობრივი იდეა. იგი ადგილის სულის, ეროვნულობის, რეგიონალიზმის მიღწევის უმთავრეს წყაროს სივრცის ხასიათში ეძებდა.

„ალგეთის ბაზილიკა,” „მზიური ველი,” ნოქალაქევის სანატორიუმის კომპლექსი და ძალიან ბევრი სხვა დიდებული ნაწარმოები შექმნა. შრომა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა, როგორც თვითონ ამბობს, არქიტექტორის ფუნქციაა მიანიჭოს ადამიანებს სიხარული და ბედნიერება.

59996 მეტრძოლი გააცილა სენაკის რაიონმა დიდ სამამულო ომში. მათ შორის 3171 დაეცა მამაცთა სიკვდილით.



მათ ეძღვნებათ
 ,, ს ხ ს ო ვ ნ ი ს
 კუბი”. ეს გა-
 სული სამხ-
 ედრო საომ-
 არი დღეების
 მ ო გ ო ნ ე ბ ა ა ,
 გაფრთხილე-
 ბაა, აგრეთვე
 მ ო წ ო დ ე ბ ა ა
 სიფხიზლისაკ-
 ენ!

კუბი—მთლიანობის და სამყაროს სიმბოლო—გახლეჩილ-ია შუაზე და ამ ჭრილში შესული ადამიანი აღმოჩნდება ომის საშინელებით გაწამებულ ადამიანთა ტრაგიკულ გარემოში. სიცოცხლისა და სიკვდილის კონტრასტის ეფექტს აძლიერებს ჭრილში შემოსული მზის სხივები, განგმირავს „ჭრილობას” და ამტკიცებს სიცოცხლის მარადისობის თემას.

კუბში შეცვლილია ტრადიციული თანაფარდობა ქანდაკების მიმართ, იგი იმყოფება ირგვლივ, ჩვენ ვიმყოფებით მასში.

ადამიანები, რომლებიც გადიან ჭრილში, თვალნათლივ ხედავენ სიკვდილისა და სიცოცხლის კონტრასტებს.

ხლეჩილში ჩანს ხელი—გამაფრთხილებელი, მფარველი

და თითქოს მბრძანებელიც: წუთით შეჩერდით, მუხლი მოიყარეთ ადამიანური ტრაგედიის წინაშე.

სენაკის მემორიალი ტრაგიკული უანრის ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება. როცა ესთეტიკურ იდეალს ამკვიდრებს, ტრაგიკული იქცევა მშვენიერების ამაღლებულ ფორმად.

მარადიული სიცოცხლის თემას, ტრაგიკულსა და სიცოცხლის პათოსს მიეძღვნა შესანიშნავი მემორიალი. ალვიქვით იგი ჩვენ ძეგლად, რომელიც ეროვნული დრამის საზღვრებს სცილდება და ზოგადსაკაცობრიო ტრაგედიის უღერადობას იძენს.

პროექტის ავტორები: ვ. მელიქიშვილი, არქიტექტორები: ვახტანგ დავითაია, გ. გეგელია, შ. ბოსტანიშვილი.

დატყვევებული ხარ ჩანაფიქრის ორიგინალობით და უნებურად იხრი თავს ავტორთა წინაშე.

ბატონი ვახტანგ დავითაია აგრეთვე ავტორია სენაკში სამხატვრო გალერეის. გალერეა დიდებული ნაგებობაა გამორჩეული არქიტექტურული გადაწყვეტით.

ძნელია დაასახელო არქიტექტორი, რომელსაც აქვს ამგვარი აღიარება, ცნობადობა, როგორც აქვს ბატონ ვახტანგ დავითაიას.

„საქართველოს მრავალი მამულიშვილი ყოლია თავისი ურთულესი ისტორიის მანძილზე, რომელთაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გაწეული ღვაწლისთვის ხალხის სიყვარული უდიდეს ჯილდოდ ჩაუთვლიათ, სხვა დანარჩენ მატერიალურ ჯილდოსა თუ რეგალიათა შორის. ეს ისეთი ჯილდოა, რომელსაც ვერც მთავრობა და ვერც აკადემიები ვერ გასცემენ.

ამ ჯილდომდე შენ თვითონ უნდა ამაღლდე ათასი დაბრკოლების, ცდუნებების, გუნდრუკის კმევის გვერდის ავლით, ბრძოლით, შრომით, თავგანწირვით, სიმართლით, ეს მხოლოდ რჩეულთაგან რჩეულის ხვედრია, ჩემს თანამედროვეებში ამ ჯილდოს ერთ-ერთი ღირსეული მფლობელი ბატონი ვახტანგ დავითაიაა.” (თამაზ დოგრაშვილი. არქიტექტორი).

რწმენა – ძლიერი სულის ბალავარი

ჩემი ბებია, **ქიონია ივანეს ასული ხუხუნი-ფაჩულია**, სენაკის მაზრაში საეპარქიო ბლადოჩინი (კეთილმოწესე) ივანე ხუხუნის ქალიშვილი გახლდათ, ლეძაძამედან.

ნაქალაქევის საბლადოჩინო ოლქის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი ეკლესიები: ნაქალაქევის, აბედათის, ნახუნუს, უშაფათის, ფოცხოს, თამაკონის და სალხინოს.

ბლადოჩინის რეზიდენცია ნაქალაქევის „ორმოც მოწამეთას“ სახელობის ეკლესიაში ყოფილა.

დეკანოზ ივანეს ნაქალაქევში, ეკლესიის ეზოში, ცალკე კანცელარია ქონდა, სადაც სასულიერო ხასიათის საქმეებს არჩევდა, ჰყავდა მდივანიც.

მამა **ივანე ნიკოს ძე ხუხუნი** მსახურობდა მიურატების კარის მღვდლად. იგი დროგამოშვებით ეწეოდა ღვთისმსახურებას გორდში, დადიან-მიურატების საზაფხულო რეზიდენციაში.

1901 წელს ლეძაძამის მაცხოვრის სახელობის ეკლესიასთან დეკანოზი ივანე ხუხუნის ინიციატივით ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა გაიხსნა. გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო საბჭომ სკოლა დაამტკიცა, სასულიერო უწყების ხარჯზე აიყვანა სკოლის გამგედ მისი დამაარსებელი დეკანოზი ივანე ხუხუნი.

1917 წლიდან ხსენებული სკოლა საერო დაწყებით სკოლად გადაკეთდა.

დეკანოზ ივანეს ყავდა მეუღლე **ოლღა აფაქიძე** და რვა შვილი. მათ შორის **აკაკი ივანეს ძე ხუხუნი** სარატოვის სასულიერო სემინარიისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ეკონომისტი. მუშაობდა მოსკოვის ნობელის კანტორაში, ხასავიურტში ნავთის მრეწველობის უფროსად. გარდაიცვალა 1918 წელს. დასაფლავებულია ლესაჯეს წმინდა ბარბარეს ეკლესიის გალავანში.

ბებია იგონებდა, რომ პატარა გოგონა ერთხელ მამას

მიურატების სახლში წაუყვანია. პრინც მიურატის პატარა გოგონა ბებე ეზოში ოჩოფეხებზე მდგარა. მას უცებ ძაღლისთვის დაუძახია: „უღა, უღა! ქსა, ქსა!“...

შემდეგ ბეთლემის დასახლების ერთ ნაწილს „ბებე“ ერქვა.

ქიონია ივანეს ასულის მეუღლე, ჩემი ბაბუა **გიორგი ფაჩულია** – იურისტი, განსწავლული პიროვნება, 1924 წლის გამოსვლების დროს უდანაშაულოდ მოჰყვა დაჭერაში და თეკლათის მიდამოებში დახვრიტეს. ღამის ორ საათზე დაიძახეს ფაჩულიაო. ბაბუას გონებია მანთავისუფლებენო, სირბილით გამოსულა და დაუძახია: „აქა ვარ, ბატონო, მოვდივარო.“ მაგრამ დასახვრეტად წაუყვანიათ. დახვრეტა ვიდაც ფაჩულიამ აღასრულა. ბაბუას მისთვის დაუძახია: „ბიჭო, გიორგი ვარ ფაჩულია, ვერ მიცანიო?!“

დილით დ. ვახანიას (ყოფილი თამარ მეფის, ლიბკნეხტის, 9 აპრილის) ქუჩაზე მდებარე ფაჩულიას, შონიას, ჯოჯუას ოჯახებიდან ერთდროულად გაისმა კივილი... დახვრეტილთა ტანისამოსი მოიტანეს.

ოჯახი დაშინებული იყო და ბავშვის მონათვლის ემინოდათ. თუმცა ბებიას, ძალიან უნდოდა ჩემი მონათვლა. მპირდებოდა ძიძავა მღვდელს მოვანათლინებ შენს თავსო. ძალიან მინდოდა მონათვლა.

მღვდელი ძიძავა ხალხს ძალიან უყვარდა. ის ხშირად დადიოდა ჩემი ქუჩით. იმ პერიოდში მოსწავლე ვიყავი. როცა დავინახავდი მომავალ ძიძავას, მაშინვე ბებიას დავუძახებდი მეგრულად: „ე, ბები, ძიძა პაპა!... ძიძა პაპა!“ ბებია პასუხს არ მაძღვედა.

მოვინათლე ძალიან გვიან, თბილისში, სამებაში. მომნათლა პ. ბერიშვილმა. ნათლიები არიან **ღალი თევზაია** და **ვეგენინა სალაყაია**, ნათლობის სახელია ქეთევანი.

სენაკში იქ, სადაც ახლა ახალგაზრდობის სახლია, პარკში იყო წმინდა გიორგის ტაძარი. ხუთი წლის მამა სტიქაროსნის სამოსით დადიოდა სალოცავში.

მოსახლეობას ძალიან უნდოდა, რომ სენაკის ცენტრში

ქონოდათ სალოცავი. ბატონი ჟორჟი ჭანტურია (იურისტი) ადგენდა ტაძრის აშენების მთხოვნელთა სიას და თითოეულ მსურველს ხელს აწერინებდა. იმ სიაზე ჩემი ხელმოწერაცაა.

2009 წელს, სამეგრელოში ვიზიტისას, კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე სენაკსაც ეწვია და წმინდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში მღვდელმთავრებისა და მრავალრიცხოვანი სამღვდელოების თანამწირველობით აღავლინა საღვთო ლიტურგია.

მან გავიხსენა ცნობილი სენაკელი სასულიერო პირები: „მინდა გავიხსენო სენაკის მკვიდრი დიდი მოღვაწენი: ჩემი მოძღვარი არქიმანდრიტი შიო (ძიძავა), დიდი სულიერი მამა კონსტანტინე (ქვარაია), დედები: ფავსტო და აკეფსიმე. ისინი დიდი პიროვნებები და წმინდა ადამიანები იყვნენ და ჩვენ ვმადლობთ უფალს რომ დღეს აქ, მათს ნალოც კუთხეში ვიმყოფებით.”

შემდეგ პატრიარქმა დასძინა: „ასევე მინდა გავიხსენოთ ერთი პიროვნება, რომელსაც მე პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრი რამ მსმენია მასზე—ეს იყო უთუთი ფაჩულია (მონაზვნობაში ონისიფორე-მიტრ. შიო). იგი აქ შრომობდა, ქონდა თავისი სახლი, კარ-მიდამო, ხალხი მიდიოდა მასთან და სულიერ დახმარებას იღებდა.”

სენაკელ მოღვაწეებზე საუბრის დასასრულს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ასევე აღნიშნა: „ეს არის დიდი მოღვაწეების აღმზრდელი მხარე, რომელსაც მუდამ დიდი სიხარულითა და სიყვარულით ვიგონებ.”

გაკვეთილი პერიოდი **დეკანოზი ზურაბ ცხვარაძე** ცხოვრობდა სენაკში. 2000 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მას ვთხოვე ჩემი გარდაცვლილი დედისთვის აეგო წესი. წესიც აუგო და და სახლიც დამილოცა. უკეთილშობილესი იყო, ადამიანის მოყვარული და გამგები. იგი სენაკში ძალიან უყვარდათ.

1986–92 წლებში ქალაქ სენაკის პროკურორი იყო ზურაბ ჯორჯიკია. 1992 წელს გადაიყვანეს ქ. თბილისში, საქა-

რთველოს გენერალურ პროკურატურაში სამმართველოს უფროსად, შემდეგ ციხე-კოლონიების პროკურორად.

ბატონი ზურაბი სამღვდელოების წრიდან მოდის. ბაბუა ისაკ ჯორჯიკია ნოჯიხევის ეკლესიის მღვდელი იყო. მამა—რკინიგზელი, გზათა ოსტატი.

1921-22 წლებში ბაბუა მოკლეს ნოჯიხევაში. დაკრძალულია ეკლესიის ეზოში.

იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე სენაკელთა უმეტესობა ღებულობდა მონაწილეობას —ზოგი ფიზიკურად მუშაობდა და ძალას არ ზოგავდა მშენებლობის წარმატებით დასამთავრებლად, ზოგიც შემოწირულობით იღებდა წვლილს ამ საშვილიშვილო კეთილ საქმეში.

ბატონი ზურაბი არაოფიციალურად ბევრ საქმეს აგვარებდა: აწარმოებდა შემოწირულობებით შემოსული მასალების ოფიციალურ აღრიცხვას და მშენებლობისათვის დროზე მიწოდების ორგანიზაციას. ძალიან ხშირად სადილის ორგანიზაციასაც აკეთებდა მშენებელი მუშებისათვის. იყო შემთხვევა რომ წასახალისებლად ფეხზე დამდგარი, შემწვარი თიკანი მოურთმევია მშენებლებისათვის სადილად. წრფელად, შინაგანი ძლიერი მოთხოვნილებითა და სურვილით ემსახურებოდა კეთილ საქმეს. ამ კეთილ საქმეში ასევე დიდი წვლილი აქვს ბატონ ნუგზარ ბოკუჩავას.

კათალიკოს-პატრიარქმა აკურთხა ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის საძირკველი.

ბ-ნი ზურაბ ჯორჯიკია წარუდგინეს კათალიკოს-პატრიარქს როგორც სენაკელი და 7 შვილის მამა. კათალიკოს-პატრიარქმა ბატონი ზურაბი დალოცა და იქვე მოატანინა 7 ვერცხლის ჯვარი ბავშვებისათვის, 2 ოქროს ჯვარი—ცოლ-ქმრისათვის.

სენაკელებმა ღვთის მადლად ჩათვალეს გადაწყვეტილება სენაკში იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის შესახებ.

ტაძრის პროექტი გაკეთდა თბილისში, საპროექტოში **რეზო ჯანაშიას** მიერ (ბატონი რეზო სენაკელია). ეკლესიის გუმბათის ჯვარი შესწირა პროფესორმა ბატონმა **შალვა ნატყეობიამ**.

მშენებლობა დაიწყო 1998 წელს. მშენებლობას სათავეში ჩაუდგა სენაკის მკვიდრი ბატონი შალვა სანიკიძე. მან ეს გადაწყვეტილება მიიღო თავისი შვილის, კახა სანიკიძის, ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ. ლოცვა-კურთხევა ამ საქმის აღსრულებაზე მიიღო ფოთისა და სენაკის ეპისკოპოსი გრიგოლისაგან.



საკმაოდ ბევრი შემომწირველი შეგროვდა. ტაძრის აშენებაში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა სენაკელმა. ისინი ფიზიკურად თუ ფინანსურად მონაწილეობდნენ ტაძრის აშენებაში. განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს თბილისსა და რაიონის გარეთ მცხოვრებმა სენაკელებმა, სამშენებლო და სამრეწველო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, სამშენებლო მასალებითა და მოწყობილობებით ხელს უწყობდნენ ტაძრის აგებას.

სამშენებლო მოედნის წინ იდგა ვაგონი, მშენებლები დილით ჯერ ლოცულობდნენ, შემდეგ იწყებდნენ მუშაობას. ტაძრის მოპირკეთება შეასრულეს გუგუთელმა მოპირკეთებლებმა.

დედო-ზარი გაიღო გონელი ყურაშვილის ოჯახმა.

სენაკელი ასირიელების უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის მშენებლობაში. მათ შორის ლევან ბიკაიძემ ფარდაგი დააგო საკურთხეველში.

ტაძრის მსახურ იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის კეთილმოწყვე დეკანოზ **იოანე კუპრეიშვილის** ნაამბობი: „1996 წლის 6 მაისს ჩამობრძანდა კათალიკოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარი ეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე, რომელმაც სენაკის ცენტრ-

ში, წერეთლის ქუჩაზე აკურთხა წმინდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის საძირკველი.

სენაკის საკათედრო ტაძრის მშენებლობას ხელმძღვანელობდა მღვდელ-მონაზონი **ამბაკუმ (შალვა) სანიკიძე**. ტაძრის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა მაშინდელმა გამგებელმა **ტარიელ დგებუაძემ** და გამგებლის მოადგილე **გია ოჩიაგამ**.

ტაძარი აშენდა ღვთის მადლითა და წყალობით, აშენდა სენაკის მოსახლეობის ნაწილობრივი შემოწირულობებით.

2001 წლის 21 ოქტომბერს დასრულდა ტაძრის მშენებლობა.

2001 წლის 22 ოქტომბერს ფოთის, ხობისა და სენაკის ეპისკოპოსმა **მეუფე გრიგოლიმ** აკურთხა ტაძარი.

ტაძარში 2001 წლიდან მსახურობს ამჟამად ტაძრის მსახური, სენაკის იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძრის კეთილმოწესე **დეკანოზი იოანე კუპრეიშვილი**.

ტაძარში 2015 წლის 2 ივნისიდან დაინიშნა მეორე მოძღვარი, **მღვდელი ეროსი ივანოვი**.

სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიას 2003 წლიდან ხელმძღვანელობდა მისი მაღალი ყოვლადუსამღვდელესობა **მიტროპოლიტი შიო (მუჯირი)**.

ტაძრის 26 მშენებელი დაჯილდოვდა მეუფე გრიგოლის სიგელებით.

ღიღმა მებობრობამ, ერთბაშულებამ, ღვთისაღმი უღიღმსმარწმენამ და სიყვარულმა ააბო ეს ტაძარი!



ცნობისათვის: საჭიროდ მივიჩნეით მკითხველისთვის მიგვუწოდებინა მონაცემები იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან:

იოანე ნათლისმცემლის შობა

(ლუკა I. 5-26)

იოანეს მამა, ზაქარია, იყო მღვდელი. მის ცოლს ელისაბედი ერქვა. ისინი ძლიერ მოხუცდნენ და შვილი არ ყავდათ. ერთხელ, როცა ზაქარია ტაძარში ღვთისმსახურებას ასრულებდა და საკურთხეველში შევიდა საკმეველად, მოულოდნელად გამოეცხადა მას გაბრიელ მთავარანგელოზი და უთხრა: „ვედრება შენი შეისმინა ღმერთმა: **მოგეცემა ბე და უწოდებ მას იოანეს!**“...

...მთავარანგელოზის სიტყვა აღსრულდა – ზაქარიას და ელისაბედს მიეცათ ვაჟი... ბოლოს მიუტანეს ზაქარიას ფიცარი და ანიშნეს, რომელი სახელი სურდა დაერქმია შვილისთვის. ზაქარიამ დაწერა სახელი „ი ი ა ნ ე.“

იოანე ნათლისმცემლის შობა არის 7 ივლისი.

ნათლისღება

(მათე 3. 13-17)

როცა იოანე ნათლისმცემელი აღიზარდა, შეუდგა თავისი დანიშნულების აღსრულებას: მივიდა უდაბნოში იორდანეს მდინარესთან, უქადაგებდა ხალხს იესო ქრისტეს მოსვლას და ურჩევდა მოენანიებინათ ცოდვები და ღირსეულად მიგებებოდნენ მას. მრავალი ისმენდა მის რჩევას. მიდიოდნენ მასთან და აღიარებდნენ ცოდვებს. ზოგიერთებს თვითონ იოანე ეგონათ მაცხოვარი, მაგრამ იგი არწმუნებდა რომ მე არ ვარ ქრისტეო, უჩვენებდა მისი მოახლოების ნიშნებს.

ამ დროს მართლაც მივიდა მასთან იესო ქრისტე, რომელიც მაშინ 30 წლისა იყო და უთხრა მომნათლეთ. იოანე ჯერ უარზე დადგა და უთხრა: „**უფალო მე თვითონ**

შენგან მეკუთვნის ნათლისღებაო.” მაგრამ ქრისტემ უპასუხა მას, რომ ეს ღვთის ნება არისო. იოანე დაემორჩილა. ქრისტე ჩაბრძანდა წყალში და იოანემ ნათელი სცხო. როცა ნათლისღება დასრულდა და ქრისტე წყლიდან ამოვიდა, ცა გაიხსნა და სულიწმინდა გადმოვიდა მასზე მტრედის სახით. ამის გარდა, ზეციდან მოისმა ხმა მამადმერთისა: „**ესო არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთო.**”

ნათლისღების შემდეგ იესო ქრისტე იორდანეს უდაბნოში დარჩა. იქ ორმოცი დღე იმარხულა და მერე ქადაგება დაიწყო.

ნათლისღებას ვდღესასწაულობთ 19 იანვარს.

თავისკვეთა კატიონისა დიდებულია

წინასწარმეტყველისა

და

ნათლისმცემლისა იოანესი

უფლის ნათლობის შემდეგ გალილეის მმართველმა ჰეროდე ანტიპამ იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში ჩააგდო. წმიდა წინასწარმეტყველი დაუფარავად ამხელდა ჰეროდეს კანონიერი ცოლის, არაბეთის მეფის არეთას ასულის დაგდებასა და თავისი ძმის ფილიპეს მეუღლესთან, ჰეროდიადესთან, თანაცხოვრებაში.

ჰეროდემ თავის დაბადების დღეს დიდებულებს, უხუცესებს და ასისტავებს ვახშამი განუმზადა. ჰეროდიადეს ასული სალომეა როკავდა სტუმრების წინაშე, რითაც ჰეროდეს დიდად ასიამოვნა. მოხიბლულმა მმართველმა ქალწულს ფიცით აღუთქვა, რომ უბოძებდა ყველაფერს, რასაც ითხოვდა – თუნდაც ნახევარი სამეფო ყოფილიყო.

ბილწმა მოცეკვავემ თავისი ბოროტი დედის, ჰეროდიადეს შეგონებით ლანგარზე დადებული იოანე ნათლისმცემლის თავი მოითხოვა. ჰეროდე დამწუხრდა–ეშინოდა

ღვთის რისხვისა, ეშინოდა ხალხისაც, მაგრამ არ ისურვა დაერღვია სტუმრების წინაშე დადებული ფიცი და ბრძანა წმინდანისთვის თავი მოეკვეთათ და სალომეასთვის მოერთმიათ.

გადმოცემით, სინანულის ქადაგის მოკვეთილი თავის ბაგეები კიდევ ერთხელ განიხენა და წარმოთქვა: „ჰეროდე, შენ არ უნდა გესვას შენი ძმის, ფილიპეს, ცოლი.“ სალომეამ ლანგარი თავის დედასთან მიიტანა. გახელებულმა ჰეროდემ ნემსით დაჩხვლიტა წინასწარმეტყველის ენა და წმინდა თავი უწმიდურ ადგილას დაფლა, მაგრამ კეთილმსახურმა იოანამ, ჰეროდეს ეზოს მოძღვრის ქოზას ცოლმა, სიწმინდე ამოთხარა, თიხის ჭურჭელში ჩაასვენა და ელეონის მთაზე–ჰეროდეს ერთ-ერთ მამულში დაკრძალა. იოანე ნათლისმცემლის წმიდა გვამი კი მისმა მოწაფეებმა იმავე ღამეს მიაბარეს მიწას სებასტიაში, სადაც ბოროტმოქმედება აღესრულა.

იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა–11 სექტემბერი.

გიორგი იოსელიანი “ქართველი წმინდანები”
თბილისი 1991 წ.



სენაკის მშენებლები

სენაკს ბევრი სახელოვანი და გამოცდილი მშენებელი ყავდა და ყავს. მშობლიური ქალაქისადმი ყველა მათგანის ღვაწლისა და სიყვარულის აღწერა პატარ-პატარა ნარკვევების სახით ვცადეთ, მაგრამ წიგნის დაგეგმილი ფორმატისა და რაოდენობრივი სიმცირის გამო (რაც გამოწვეულია საერთო ეკონომიური შეზღუდულობით) ყველა მათგანის მოფერებასა და შთამომავლობისათვის საჩუქრად გადაცემას (მიუხედავად დიდი სურვილისა) ვერ ვახერხებთ. მაგრამ არც ის შეგვიძლია, რომ მათი დამსახურების წინაშე თავი არ დავხაროთ, მათი სახელი და გვარი არ შევახსენოთ თანაქალაქელებს:

ბერაია გივი—ცეკავშირის სამშენებლო სამმართველოს უფროსი; **გაბედავა ომარი**—№2 სამსენებლო ტრესტის მმართველი; **გოგია შოთა**; **დინამინჯია ზურაბი**; **ეჯიბია ნიკუშა**; **ვახანია დათო**—რკინა-ბეტონის ქარხნის დირექტორი (ქ.თბილისი); **თოდუა რომანი**; **კვირაია კუკური**—№2 სამშენებლო ტრესტის მმართველი; **კინწურაშვილი მურმანი**; **კოკაია ქოქოშა**; **მგალობლიშვილი ამირანი**—საგზაო სამმართველოს უფროსი; **ნოდია ტონი**; **ცომაია გია**; **წურწუმია ზურაბი**; **ჯანაშია გელა**, **ჯავახია შოთა**, **გვასალია გურამი**, **ადამია ტონი**, **ყურაშვილი დოდო**, **ყვანია კუკური**.

ცხადია, კვლავაც გაგრძელდება აღმშენებლობა და ამ დარგის მუშაკები თავიანთი ნახელავით კვლავაც დაამშვენებენ ჩვენს ქალაქებს, სოფლებს და ეს ნაგებობები ხმას გადააწვდენენ მომდევნო თაობებს, გააცნობენ მათ თავიანთი წინაპრების საქმიანობას და ილაღადებენ იმაზე, თუ როგორ უნდა იბრძოდეს ყოველი მშენებელი მისმა ნახელავმა დროს რომ გაუძლოს!

იმედია, ცალკე გამოიცემა სრულყოფილი წიგნი სათაურით: „სენაკის მშენებლები.“

ს ა რ ჩ ე ვ ი

სენაკი..... 3
მოგონება მამაზე4
იზაბელა და მე18
სიდარბაისლით გამორჩეული ჩვენებური კაცი23
წიგნის დაბადება26
ეპიზოდი წრსულიდან28
მარიამობა.....29
ქველმოქმედება32
საქველმოქმედო კონცერტები35
სენაკის პატარა მუსიკოსები
ქველმოქმედებას ეწევიან37
თანადგომა რჩეულებს41
ქველმოქმედების ეგიდით42
საქველმოქმედო კონცერტი44
„რაოდენი უყავთ ამას მცირეთაგანსა,
იგი მე მიყავთ”46
ტაძარი აშენდა ზეცაში50
ძვირფასო სენაკელებო, შემოგვიერთო!54
დასკუნის სახით56
ფოტოკოლაჟი59

ზაირა ფაჩულია68
სოფიო მიქაია-ფაჩულია71
გიორგი (გიგუჩი) გაბისონია76
ფილმი მშენებლებზე 82
№5 სამშენებლო ტრესტი 82
№5 სამშენებლო ტრესტის ლაბორატორია87
თამაზ ცაგურია 89
ლია მამულია-სინჯარაძე 90
ნუნუ ხოფერია-მაჭავარიანი91
ზურაბ პატარაია93
გიორგი შალამბერიძე94
რომან მიქავა 95
ავთანდილ ფოცხვერია95
ვიანქსლავ გარუჩავა96

მურმან დგებუაძე	98
დაზმირ ბერია	99
ზურაბ ჯანაშია	99
შოთა ძიძავა	100
თადეოზ ტაბაღუა	102
გია ჭანტურია	103
დემურ ჯანაშია	104
კუკური ნინუა	105
ვენე არჩაია	106
ვლადიმერ არჩაია	107
რაულ ოდიშარია	107
ჟორა კაშიბაძე	108
ნოდარ ჯობავა	109
იუზა ნადარეიშვილი	110
გივი ბალათურია	111
ივლიანე გარუჩავა	112
მე-20 საუკუნის 90-იანი წლები	113
სს „არქეოპოლისი“	116
სენაკი – 21-ე საუკუნის დასაწყისი	120
ზაზა ჯანჯღავა	122
სენაკის ხელოვნების გალერეა	125
თეატრი სენაკში	128
გიული გეგელია	130
თამაზ გუნია	134
ვახტანგ დავითაია	137
რწმენა–ძლიერი სულის ბალავარი.....	140
დასკვნის სახით: „სენაკის მშენებლები“	149

კომპიუტერული უზრუნველყოფა, დიზაინი

შავლეგო ხოშტარია